



# საქართველოს ივლიანობა

1239  
2008



ISSN 1512-0880  
№3 (32) 2008

# საქართველოს



# ბიბლიოთეკა



რედაქციის მისამართი:  
 თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7  
 საქართველოს პარლამენტის  
 ეროვნული ბიბლიოთეკა  
 ტელ.: 36-09-51



ქურნალის რედაქცია:  
 ადექსანდრე ღორია  
 - მთავარი რედაქტორი  
 გურამ თაყნიაშვილი  
 - მთავარი რედაქტორის  
 მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი  
 მზია რაზმაძე  
 - კომერციული დირექტორი  
 გუდნარა სცურუა  
 - სამეცნიერო-მეთოდური და  
 კორექტორ-კორინდინატორი



ინსანარმო „ალი“  
 დამფუძნებლები: საქართველოს  
 პარლამენტის იდია ქავჭავაძის  
 სახელობის ეროვნული  
 ბიბლიოთეკა; საქართველოს  
 საბიბლიოთეკო ასოციაცია.



საქართველოს ბიბლიოთეკა № 3 (32) - 08  
შინაარსი

აგრესია .....	4
<b>ოკუპაცია</b>	
სტივენ ჯონსი – საყოველთაო ტრაგედია .....	8
მიმართვა საბიბლიოთეკო-საინფორმაციო საქმის მოღვაწეებისადმი .....	10
<b>ახალი სასწავლო წელი</b>	
სექტემბერი გვეძახის .....	11
<b>ფილოლოგიური ძიებანი</b>	
რამაზ მეფარიშვილი – გრიგოლ რობაქიძე და „ბედისწერის სიყვარული“ .....	12
ინგა ქონიაშვილი – ცურტაველის „შუშანიკის ნამება“ და მისი ისტორიულ-კულტურული ფესვები .....	13
გურამ თაყნიაშვილი – „კაცთა მონიჭებული პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღურებაი არს“ .....	17
<b>ღირსეული წინაპრები</b>	
დარეჯან კოტეტიშვილი – ჭეშმარიტად სახალხო .....	20
<b>სიტყვა პროფესიონალზე</b>	
ლია გურეშიძე – 1. წიგნი მისი ბიოგრაფიის ნაწილი .....	21
2. ბედნიერი პროფესია .....	22
<b>კვირეული – 2008</b>	
კვირეულის გახსნა .....	23
მასალების მიმოხილვა .....	24
კვირეულის ფინალი .....	30
<b>კორესპონდენციები</b>	
ზეინაბ ჟიჟილაშვილი – ერთი ლამაზი დღე .....	31
ციცინო ქველიძე – 1. უსინათლოთა და მცირემხედველთა საბიბლიოთეკო მომსახურების ცენტრი.....	32
2. საინტერესო კოლექციათა გამოფენა და პრეზენტაცია .....	34
ქეთევან კენკეზაშვილი – პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით .....	35
ნანა მერებაშვილი – მოდით ბიბლიოთეკაში .....	36
ლუიზა ქუმელაშვილი – სურნელი თეთრი აკაციების .....	39
<b>მოგონებები</b>	
ნანა კანდელაკი – მის გვერდით – ნ. დუმბაძე-80 .....	40
ალექსანდრე ლორია – ნიჭიერება განუზომელი .....	41
<b>რეცენზია</b>	
თამუნა ბჟალავა – ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების სრულყოფისათვის .....	44
<b>ინფორმაციები</b>	
ახალი შეხვედრა ანა ერისთავთან .....	45
ჩვენი კოლეგის მხატვრული სიტყვა .....	46
სასწავლო წიგნის მეორე ნაკვეთი .....	47
ჯამილა გაჯიევა – მნიშვნელოვანი გამოცემა .....	47
<b>ქრონიკა</b>	
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: .....	48
<b>კონწარას კლუბი</b>	
კონწარა – „ჩტო ს ვოზუ უპალო“ .....	49
<b>ნეკროლოგი</b>	
მერი იაშვილი .....	52

## Georgian Library, 3 (32) - 08

## Table of content

Агрессия .....	4
<b>Окуупация</b>	
Стивен Джонс – Всеобщая трагедия .....	8
Обращение к деятелям библиотечно-информационной работы .....	10
<b>Новый учебный год</b>	
Сентябрь зовет .....	11
<b>Филологические изыскания</b>	
Рамаз Мепаришвили – Григол Робакидзе и «Любовь рока» .....	12
Инга Кониашвили – «Мученичество Шушаник» Цуртавели, историко-культурные корни .....	13
Гурам Такниашвили – «Истинное богатство для человечества – это учение о книгах» .....	17
<b>Прославленные предшественники</b>	
Дареджан Котетишвили – Истинно народное .....	20
<b>Слово о профессионале</b>	
Лиа Гурешидзе – 1. Книга часть биографии .....	21
2. Счастливая профессия .....	22
<b>Неделя библиотеки -2008</b>	
Открытие недели .....	23
Обзор материалов недели .....	24
Финал недели .....	30
<b>Корреспонденция</b>	
Зейнаб Жижилашвили – Один прекрасный день .....	31
Цицино Квелидзе – 1. Центр библиотечного обслуживания для слепых и слабовидящих ...	32
2. Выставка и презентация интересных коллекций .....	34
Кетеван Кенкебашвили – С учетом профессиональных интересов .....	35
Нана Меребашвили – Приглашаем в библиотеку .....	36
Луиза Кумелашвили – Аромат белых акаций .....	39
<b>Воспоминания</b>	
Нана Канделаки – Рядом с ним – Н. Думбадзе-80 .....	40
Александр Лория – Неизмеримая одаренность .....	41
<b>Рецензии</b>	
Тамуна Бжалава – Для усовершенствования детского библиотечного обслуживания .....	44
<b>Информация</b>	
Новая встреча с Анной Эристави .....	45
Художественное слово нашего коллеги .....	46
Вторая часть учебника .....	47
Джамиля Гаджиева – Значительное издание.....	47
<b>Хроника</b>	
Хроника библиотечной жизни Грузии .....	48
<b>Клуб Концара</b>	
Концара – «Что с возу упало» .....	49
<b>Некролог</b>	
Мери Иашвили .....	52

**БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ, №3 (32) -08**
**Содержание**

Aggression .....	4
<b>Occupation</b>	
Stephen Jones – Everybody's Tregedy .....	8
Appeal ti Library and Information Workers .....	10
<b>Back to Shool</b>	
September Calls .....	11
<b>Philological Exploration</b>	
Ramaz Meparishvili – Grigol Robaqidze and „Love for Fate“ .....	12
Inga Qoniashvili – Martyrdom of Shushanik by Tsurtaveli and its Historical and Cultural Roots .....	13
Guram Takhbiashvii – „The Book is the Prior Gift to Man“ .....	17
<b>Praiseworthy Ancestors</b>	
Darejan Kotetishvili – Truly Folk .....	20
<b>A Few Words on a Professional</b>	
Lia Gureshidze – 1. The Book – a Part of the Life .....	21
2. A Happy Profession .....	22
<b>Library Week 2008</b>	
Opening of the Week .....	23
Review of the Library Week Materials .....	24
Close of the Week .....	30
<b>Correspondence</b>	
Zeibav Jijilashvili - One Lovely Day .....	31
Tsitsino Qvelidze – 1. Library Service Centre for the Blind and Visually Inpaired .....	32
2. Exposition and Presentation of interesting Collections .....	34
Qetevan Kenkebashvili – Considering Professional Interests .....	35
Nana Merebashvili p Come to the Library .....	36
Luiza Qumelashvili – Fragrance of White Acacias .....	39
<b>Recillections</b>	
Nana Kandelaki – Beside Him – N., Dumbadze-80 .....	40
Alexander Loria – Immeasutable Talent .....	41
<b>Review</b>	
Tamuna Bjalava – On Pergecting Library Services for Children .....	44
<b>Information</b>	
Meeting Ama Eristavi Once More .....	45
Belles Littres by a Colleague of Ours .....	46
Section Two of a Study Book .....	47
Jamila Gajieva – Important Publicaton .....	47
<b>Chronucle</b>	
The Chrinuicle of the Georgian Library Life .....	48
<b>Kontsara's Club</b>	
Kontsara – „Chto s vozu upalo“ („What Has Fallen from the Wagon“ .....	49
<b>Obituary</b>	
Meri lashvili .....	52

# აგრესია

აგრესია საერთაშორისო ურთიერთობაში ერთ-ერთი უმძიმესი მოვლენაა, რაც კაცობრიობის განვითარების შეფერხების უმთავრესი აქტია. ისტორიის განვითარების სხვადასხვა დროსა და ვითარებაში იგი სხვადასხვაგვარად ვლინდებოდა და ყოველთვის მძიმე შედეგით მთავრდებოდა. ამ მოვლენაში უეჭველად ორი მხარე არსებობს – აგრესორი და აგრესიის ობიექტი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აგრესიის, როგორც მოვლენის, განსაზღვრებას, რაზედაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხდებოდა დეფინიცირება. საბოლოოდ სავსებით ჩამოყალიბდა მისი განმარტება და ამჟამად საყოველთაოდ ცნობილია, რას წარმოადგენს ის, რა არის და როგორ უნდა იქნეს გაგებული.

აგრესიის ცნება ლათინურიდან არის წარმოშობილი და კონკრეტულად თავდასხმას გულისხმობს. ქსე-ს განმარტებით, იგი არის „სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი კატეგორიულად კრძალავს აგრესიას, როგორც საერთაშორისო მშვიდობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, აგრესიის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მისი ჩამდენი, აგრესორი, პირველი ესხმის თავს მეორე სახელმწიფოს, ამიტომ აგრესიის მსხვერპლის თავდაცვითი ღონისძიება და სხვა სახელმწიფოთა დახმარება, აგრეთვე გაეროს ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის კოლექტიური ღონისძიებანი აგრესიის აღსაკვეთად სავსებით კანონიერია და არ წარმოადგენს აგრესიას, თუნდაც ეს თავდაცვითი ღონისძიებანი შეტევით საომარ მოქმედებაში გადაიზარდოს“ (ქსე: ტ. 1, გვ. 68).

ნამდვილ ცინიზმად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლი-

ტიკის პირველ აქტს წარმოადგენს „დეკრეტი ზავის შესახებ“, რომელშიც აგრესია ცხადდება კაცობრიობის საწინააღმდეგო უმძიმეს დანაშაულად, აქედან მოყოლებული, საბჭოთა კავშირი, სარგებლობდა რა თავისი სამხედრო პოტენციალით, სრულებითაც არ დაგიდევდათ თავისი პირველი დეკრეტით გამოცხადებულ პრინციპებს აგრესიის წინააღმდეგ. მთელი შუა აზია, ციმბირის ქვეყნები, კავკასია, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები არაერთხელ გამხდარან რუსეთისა და შემდეგ უკვე საბჭოთა კავშირის (სსრკ) აგრესიის ობიექტები, რასაც მოყვებოდა ოკუპაცია და



ანექსია. სწორედ ამ გზით გახდა შესაძლებელი უზარმაზარი ტოტალიტარული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც სიტყვით მუდამ მოწინავე პრინციპებს იზარებდა და პროგრესულ იდეებს ქადაგებდა, მაგრამ შინაარსით ყოველთვის აგრესიულად მოქმედებდა, ხშირად სავსებით დაუფარავადაც კი, ან რაიმე „მიზეზის“ გამოგონებით, როგორც, მაგალითად, „მცირე ერების დაცვის“ საბაზი იყო, რასაც დღესაც წარმატებით იყენებს საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთი.

მსოფლიოს ხალხთა მიერ არაერთი აქტია შექმნილი აგრესიისა და აგრესორთა საწინა-



აღმდევოდ, მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო მოქმედი სამართლის ერთ-ერთ ძირითად ოპერატიულ პრინციპებს გაეროს წესდება შეიცავს, რომლის თანახმადაც, ამ ორგანიზაციის უპირველესი ამოცანაა „შეინარჩუნოს საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება და ამ მიზნით განახორციელოს ეფექტური კოლექტიური ღონისძიებანი მშვიდობისათვის საფრთხის ასაცილებლად და აღსაკვეთად და აგრესიის აქტების ან მშვიდობის სხვა დარღვევათა ჩასახშობად...“ (მუხლი 1., პარ. 1). გაეროს წესდება ავალებს ორგანიზაციის წევრებს „თავი შეიკავონ თავიანთ საერთაშორისო ურთიერთობებში ძალისმიერი მუქარისაგან ან ძალის გამოყენებისაგან ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ“... (მუხლი 2, პარ. 4). სხვათა შორის, აგრესია უმძიმეს საერთაშორისო დანაშაულად არის აღიარებული ნიურნბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალების წესდებებსა და განაჩენებში. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით აგრესიის დაგეგმვაში, გაჩაღებასა და განხორციელებაში.

აგრესიის პასუხისმგებლობის პრინციპი განხორციელდა II მსოფლიო ომთან დაკავშირებულ საერთაშორისო აქტებით, რომელთა გაცნობა საკმაოდ იოლია ისტორიულ დოკუმენტების მიხედვით; ისინი მრავლადაა გამოქვეყნებული და ადვილად მოსაპოვებელია ყველა დაინტერესებული პირისათვის. თანამედროვე სიტუაციაში ჩვენი ბიბლიოთეკები აქტიურად უნდა აწარმოებდნენ მათ მოპოვებას, გამოვლენასა და პროპაგანდას, რითაც ხელს შეუწყობენ ხალხის გაცნობიერებას მეცნიერულ დონეზე. ეს ამჟამად მეტად აქტუალური და საჭირო საქმეა.

როგორც ცნობილია, II მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირმა განაახლა მეცადინეობა აგრესიის განსაზღვრებისათვის. არაერთი დებულება წარმოადგინა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, რომელზედაც ეს ორგანიზაცია სხვადასხვა დროს იხილავდა კიდევ ამ საკითხებს (1950-1957 წ. წ.). საგულისხმოა, რომ 1953 წ. სწორედ საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა ინიციატივა, შემოსულიყო ტერმინები – ეკონომიკური აგრესია და იდეოლოგიური აგრესია, როგორც ერთგვარი არაპირდაპირი

აგრესია. უნდა ითქვას, რომ ორივე ამ სახის აგრესია შეიძლება ცალ-ცალკე იქნეს გამოყენებული, მაგრამ როგორც წესი, ისინი უმთავრესად სამხედრო აგრესიიდან გამომდინარეობენ ხოლმე.

1967 წ. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მოიწონა სსრ კავშირის წინადადება, სპეციალური კომიტეტის შექმნისა და აგრესიის ცნების გადახედვა-გადასიჯვნისა და ახლებურად გაგების შესახებ. 35 სახელმწიფოსაგან შემდგარმა კომიტეტმა 1968 წელს დაადგინა, რომ, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო განსაზღვრულიყო შეიარაღებული აგრესიის ცნება. 1970 წელს საბჭოთა კავშირმა წარადგინა თავისი პროექტი. გენერალურმა ასამბლეამ შეიმუშავა ტექსტი და საბოლოოდ დაამტკიცა ის. მისი მიხედვით, „აგრესიის აქტად ჩაითვლება (მიუხედავად იმისა, ომი გამოცხადებულია თუ არა), სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა ან თავდასხმა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დამისიოკუპაცია თუ ანექსია; სხვა სახელმწიფოს ნავსადგურის ან საზღვაო ნაპირის სამხედრო ბლოკადა; თავდასხმა მის შეიარაღებულ ძალებზე; შეთანხმების თანახმად სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი შეიარაღებული ძალების იმგვარი გამოყენება, რაც არღვევს შეთანხმების პირობებს, აგრეთვე მათი იქ დატოვება შეთანხმების მოქმედების მიღწევის შემდეგ; სხვა სახელმწიფოსათვის ნების დართვა, რომ მან მის განკარგულებაში გადმოცემული ტერიტორია გამოიყენოს აგრესიისათვის მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ; სხვა სახელმწიფოში შეიარაღებული ბანდების, არაღეგულარული ძალების ან დაქირავებულთა შეგზავნა, რომელთა მოქმედება აგრესიას უთანაბრდება. განსაზღვრება ითვალისწინებს, რომ უშიშროების საბჭოს შეუძლია სხვა აქტებიც მიიჩნიოს აგრესიად. ვერავითარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ სხვა მოსაზრება აგრესიას ვერ გაამართლებს. იგი იწვევს საერთაშორისო პასუხისმგებლობას“ (ქსე: ტ. 1, გვ. 69).

ცხადია, საბჭოთა კავშირის ამგვარი გააქტიურება „აგრესიის“ განსაზღვრებასთან დაკავშირებით პროპაგანდისტულ მიზნებს ისახავდა, რათა „ცივი ომის“ პირობებში როგორმე მშვიდობისმოყვარეობის იმიჯი შეექმნა, თორემ სინამდვილეში სრულებით სანინააღმდეგო მოვლენებთან გვაქვს საქმე, რაც სხვადასხვა დროს გამოვლინდა

აღმოსავლეთ ბერლინში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ავღანეთში, საქართველოში, აზერბაიჯანსა და სხვა რეგიონებში. დღეს ყოველივე ამის გაცნობა ქართული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ნათლად იქნეს გაანალიზებული, რაც მოხდა საქართველოში მიმდინარე წლის აგვისტოში.

ჩვენ ტყუილად არ შევცხეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩამოყალიბებულ განსაზღვრებებს აგრესიის ცნებასთან დაკავშირებით, – შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის შემოჭრა საქართველოში ყველა პუნქტს არღვევს და უგულვებელჰყოფს, რაც გაეროს დოკუმენტებშია ჩამოყალიბებული. ამ შემოჭრას თან ახლდა არა მარტო საერთაშორისო ნორმების დარღვევა, არამედ ამის განსაკუთრებული სისასტიკით გაკეთება. საერთაშორისო ორგანიზაციები და ცივილიზებული ქვეყნები რომ არ ჩარეულიყვნენ, ვინ იცის, რამდენად უფრო მძიმე ვითარება შეიქმნებოდა, თუმცა ის, რაც არის, ყოველგვარ ადამიანურ სანყისებს უგულვებელჰყოფს – ქალაქებისა და სოფლების დაბომბვა, სახლების გადანვა, მძიმე ტექნიკის თანხლებით შემოსულ ჯარისკაცთა მარადიურობა, მოსახლეობისა და დაწესებულებების გაძარცვა, ოჯახებიდან მიტოვებული ქონების დასაკუთრება, ტექნიკის გატანა და განადგურება, და, რაც მთავარია, მშვიდობიანი ადამიანების მსხვერპლი, მათი შეგნებულად დახოცვა და დახვრეტა, ლტოლვილებისა და დაჭრილებისათვის დახმარებისათვის ხელის შეშლა. მიუხედავად ჯარების გაყვანის შეთანხმებისა, რუსეთის ტანკები მაინც დაძრწიან საქართველოს დიდ ნაწილში, მათი თვითმფრინავები მაინც არღვევენ საქართველოს საჰაერო სივრცეს. დაანგრის გორი, ააფეთქეს საკვანძო ხიდები, ფოთში ჩაძირეს გემები და კატარღები, მთლიანად გააპარტახეს საზღვაო ბაზა, დაანგრის ასაფრენი ბილიკები, გადანვეს გამუხურის ბავშვთა ბანაკი, მრავალ ადგილას ცეცხლი გაუჩინეს ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკს, რაც მათ ველურ პოლიტიკაზე მეტყველებს. ვითომ ადამიანებს არაფერს ერჩიან, მაგრამ რამდენიმე კაცი გაიტაცეს, რამდენიმე პირდაპირ მოკლეს, დაიღუპა 5 ჟურნალისტი, ამათგან ერთი ჰოლანდიელი, ერთი რუსი, არიანდაჭრილები. ჟურნალისტებს განსაკუთრებით ემტერებიან ოკუპანტები. ასეულ ათასს ბევრად

აჭარბებს დევნილ ადამიანთა რაოდენობა, რომელთა შორის უამრავი ბავშვია. აგრესორები არ მოერიდნენ არც სხვა ქვეყნების ზარალს – დაბომბეს ბაქო-ჯეიხანის ნავთობსადენი, შეუტიეს სუფსიისა და ფოთის ტერმინალებს, სადაც უცხოეთის სატრანსპორტო ოპერაციები მიმდინარეობდა; ააფეთქეს ხიდები, ამით განყვიტეს ურთიერთმიმოსვლა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის, აგრეთვე სომხეთთან.

ცინიზმი იმის იქით სად წავა, როდესაც რუსეთის ხელისუფლება უსირცხვილოდ აცხადებს, რომ ამას ისინი საკუთარი მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით სჩადიან, წარმოგიდგენიათ, ზუგდიდი იმიტომ დაიკავეს, გორი იმიტომ გაანადგურეს, ფოთში იმიტომ შეიჭრნენ, მთელი სამეგრელო იმიტომ ააწიოკეს, კოდორი იმიტომ დაიკავეს, თურმე აქ თავიანთ მოქალაქეების უსაფრთხოებას იცავენ, სინამდვილეში მთელ სამაჩაბლოში – ე. წ. სამხრეთ ოსეთში შეგნებულად, წინასწარგანზრახულად და გეგმიურად შეუდგნენ ტერიტორიის „წმენდას“ ქართველებისაგან.

ქართველი ხალხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ვერ შეძლეს მისი გატეხა, დაშლა და დანანევრება, ვერ შეაგუეს მათ პარპაშსა და ვერ ჩაუნერგეს შიში, ვერ მოახრევინეს ქედი მათი ძალმომრეობისადმი; მიუხედავად დიდი სულიერი დანაკარგისა, ხალხი ვერ დასცეს მორალურად, არადა, სწორედ ეს იყო და არის მათი მიზანი, და ამას რომ ვერ მიაღწიეს, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ იქნებ გამოიწვიონ ხალხში ინცინდენტები, რომ ეს დაიხვიონ ხელზე და კვლავ გააჩაღონ ცეცხლი. რუსეთის მთელი პოლიტიკის რაობაზე კარგად მეტყველებს ის ფაქტი, რომ მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნებიდან არც ერთი წარმომადგენელი არ უჭერს მხარს რუსეთს, პირიქით – ყველა ამტყუნებს და საქართველოს თანაგრძნობასა და გვერდში დგომას უცხადებს.

ეს ვანდალური ფაქტი – რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ – თავის ადგილს დაიჭერს ისტორიაში, მემატთანე ყველაფერს პირუთვნელად გამოიკვლევს, ყველაფერს ობიექტურად შეაფასებს... აშენდება დანგრეული, ყველა თავდადებულ გმირსა თუ აგრესიის შედეგად დაღუპულს ხალხი საკადრის პატივს მიაგებს, ბევრი იარა შეშუშდება, მაგრამ არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას რუსეთის, ამ ვერაგი მონსტრის ის ბოროტებანი, ის სიავე





და უპირობა, რაც მან საქართველოში გამოავლინა.

შეგახსენებთ, რაც უკვე ითქვა – არსებობს მორალური აგრესიაც. სამწუხაროდ, რუსეთისაგან სხვა უბედურებასთან ერთად, ამასაც ჰქონდა ადგილი. თუ სხვადასხვა გვარი აგრესიის შედეგების განეიტრალება, ასე თუ ისე, შედარებით მოკლე დროში შესაძლებელია, მორალური აგრესიისგანელებას ათეული წლები და, შეიძლება, საუკუნეც კი დაჭირდეს.


გვინდა შეგახსენოთ, რომ ინფრასტრუქტურის ნგრევა, რაც ინტერვენციამ მოგვითანა, არ უნდა გახდეს უაზრო, თავაშვებული გაბოროტების, სამაგიეროს ზღვევის და განუზომელი სიძულვილის საფუძველი. ცხადია, ობიექტურად ამის მიზეზი არის, მაგრამ თავი უნდა შევიკავოთ. არ გამოვიდეთ ჰუმანური პრინციპებიდან. ჩვენში არც ერთ ე. წ. „მცირე ერებს“ არავისი დაცვა არ სჭირდება, როგორც ვიყავით, ისე ვიქნებით, რაც დაადასტურა ქართველობამ, მაგრამ რუსეთის სამხედრო მანქანისადმი სიძულვილი დაუძლეველია, რუსეთის ველური პოლიტიკისადმი შეგუება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, და არც მოხდება არასოდეს.

ამ ეტაპზე ჩვენი დარგის მუშაკთა უმთავრესი ამოცანაა ხელი შევუწყოთ კულტურული ინფრასტრუქტურის აღორძინებას. ისტორიულ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების შეფასებას შესაბამისი დარგის სპეციალისტები მოახდენენ, ჩვენ კი მათ ხელი უნდა შევუწყოთ იმით, რომ უზრუნველვყოთ შესატყ-

ვისი ინფორმაციით, დავეხმაროთ მასალის მოძიებასა და მოპოვებაში, შევუქმნათ საჭირო პირობები, ნაყოფიერად იმუშაონ; ამასთან, ფართოდ გავავრცელოთ მათ მიერ შექმნილი ბეჭდური პროდუქცია და ვანარმოთ მათი პროპაგანდა; ვეცადოთ, ჩვენი საქმიანობით, რაც საზოგადოებასთან ურთიერთობაში გამოიხატება, გავამხნევოთ თანამოძმენი, ჩაგუნერგოთ ჩვენს მოქალაქეებს რწმენა და იმედი, ავამაღლოთ სულიერად. ერთად ვიზრუნოთ დარბეული თუ განადგურებული საბიბლიოთეკო-საინფორმაციო დანესებულებების აღდგენაზე, კულტურული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე. ყოველივე ამას განსაკუთრებული აქტივობა სჭირდება – შევკრიბოთ ფაქტები, გამოვავლინოთ და შევისწავლოთ ვითარება, არსებული პირობები, აღვძრათ საკითხები შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოებში დახმარების თაობაზე, ვეცადოთ, მივიღოთ სპონსორების დახმარება, ვითანამშრომლოთ სხვადასხვა დანესებულებებთან, მეთოდოლოგიური და მატერიალური დახმარება აღმოვუჩინოთ დაზარალებულ ბიბლიოთეკებს.

ყურნალის რედაქცია მზადაა მიიღოს და დამუშაოს ყოველგვარი ინფორმაცია, თუ სადრა ზიანი იქნა გამოვლენილი, გამოაქვეყნოს შესატყვისი კორესპონდენციები, სპეციალისტთა მოსაზრებები და წინადადებები.

ჩვენი ენერგიული მოქმედება, ერთობა, ურთიერთმხარდაჭერა, გულგაუტეხელობა, პროფესიული ძალისხმევა – ეს არის სანინდარი ჩვენი საქმის შემდგომი განვითარებისა.



სტივენ ჯონსი (აშშ მასაჩუსეტისის შტატის ჰოლიოკის კოლეჯის პროფესორი)

## საყოველთაო ტრაგედია

საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთპირისპირ დგომის ომი, რომელიც 15 წლის განმავლობაში სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მიმდინარეობდა, საბოლოოდ ღია ომში გადაიზარდა. შედეგი: ტრაგედია ყველასათვის, განსაკუთრებით ცეცხლის ხაზზე მცხოვრები ოჯახებისათვის. თითქოს ცნობილი არაა, ვინ დაიწყო ომი, მაგრამ თუ წინაპირობებს გავითვალისწინებთ, ყველაფერი ნათელი ხდება – 2008 წლის თებერვლის მცდარად შეფასებული დეკლარაციები კოსოვოსთან დაკავშირებით, პრეზიდენტის არჩევნები რუსეთში, გადანყვეტილებები უკრაინისა და საქართველოს ნატოში მიღებისათვის საჭირო პრინციპების განსაზღვრის გამო და ამ ქვეყნების მიღებაზე უარის თქმა, ნავთობის ფასის მერყეობა და რუსეთის გაუნელებელი ნოსტალგია.

რუსეთის თვალში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული განხეთქილება გამყარებულ იქნა კოსოვოს შესახებ მიღებული გადანყვეტილებით, ამას დაემატა რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები, რაც სუსტი პრეზიდენტის არჩევით დამთავრდა და რომელსაც სურს, დაგვანახოს თავისი ძალა, აგრეთვე ნატოს აპრილის გადანყვეტილებებმა ჩააგონეს რუსეთს, რომ თუმცა ნატო ჯერ კიდევ ფართოვდება, დასავლეთი მაინც ორად არის გაყოფილი საქართველოს წევრად მიღების საქმეში. დაუმატეთ ამას რუსეთის საგარეო პოლიტიკის თვითნებურება, ნავთობის შემოსავლისა და რუსული ნაციონალიზმის ზრდა, შენივთებული იმპერიულ სიდიადისადმი ნოსტალგიაში და ჩვენ ნათლად შეგვიძლია დავინახოთ, რა ზრახვები ამოძრავებდა რუსეთს, მზადყოფნაში ყოფილიყო, ნებისმიერი საშუალებებით აღეკვეთა საქართველოსათვის ყოველგვარი ცდები სამხრეთ ოსეთის დაბრუნებისა.

ომი სამხრეთ ოსეთში მარტო ქართულ-რუსული კონფლიქტი არაა. ის იქცა რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობათა გადამწყვეტ პრობლემად და დასავლეთის გადანყვეტილებათა ტესტად. დასავლეთის ქვეყნები საქარ-

თველოს ფინანსურ დახმარებას უნევენ და კომერციულ ინვესტიციებს ახორციელებდნენ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ჩათვლით, რომელსაც ევროპისათვის ნავთობი უნდა მიენოდებინა რუსეთის ტერიტორიაზე გაუფლელად. ეს ნავთობსადენი არ არის საკმარისი ნავთობზე ევროპის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ეს პირველი ნაბიჯია საჭირო პოტენციალის შესაქმნელად, როგორც სტრატეგიული ალტერნატივა ევროპაში ენერგორესურსების რუსეთისაგან დამოუკიდებლად მიღებისა.

საქართველო, მიუხედავად მისი ომში დამარცხებისა, რჩება დემოკრატიულ სახელ-



მნიფოდ – სამხრეთ კავკასიაში ერთადერთად, რომელსაც ნატოში შესვლის უეჭველი პერსპექტივა აქვს. თუ ამ ომის შედეგები სამხრეთ ოსეთში არაფრით შეიცვალა, მაშინ დასავლეთი დაკარგავს არა მარტო დემოკრატიულ საქართველოს, არამედ დემოკრატიულ უკრაინასა და სხვა პოტენციურად დემოკრატიულ სახელმწიფოებს რუსეთის პერიფერიებზე. ეს გაცილებით სერიოზული რამ არის, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. რუსეთი ავტორიტარული სახელმწიფოა. მის მოქალაქეებს არავითარი კონტროლი არა აქვთ მთავრობაზე. ამ ომში გამარჯვება რუსეთისათვის რაიმე საზიანო შედეგების გარეშე,

გამოინვეს ანტიდემოკრატიული ძალების გამოცოცხლებას, გააძლიერებს საგარეო პოლიტიკის მილიტარიზაციას და ნააქეზებს რუსეთს მეტი რისკით იმოქმედოს თავის საზღვრებთან. ეს ჩრდილო კავკასიაში, სადაც რუსეთი საექვო ვითარებაში იმყოფება, სადაც აკონტროლებს მხოლოდ მუსულმანურ ერებს ინგუშების, დაღესტნელებისა და ბალყარულ ხალხთა ტიპისა, მიგვიყვანს არამდგრადობრივ მდგომარეობამდე. ეს არ არის კარგი ეკონომიკური ურთიერთობებისათვის, რაც მყარი საზღვრების არსებობას მოითხოვს., ამის მხედველობაში მიუღებლობა კიდევ და კიდევ აგულიანებს რუსეთს, რომელსაც მიაჩნია, რომ ევროპა იმდენად დანაწევრებულია, რომ შესაძლებელია მისი მართვა.

მაგრამ რა ელოდება საქართველოს მომავალში?

ძალიან ძნელად დასაჯერებელია, რომ საქართველო გეგმავდა ამ ომს. უპირველეს ყოვლისა, ამ შემთხვევაში მას ჩაკეტილი უნდა ჰქონოდა როკის გვირაბი, რომელიც სასიცოხლო არტირიას წარმოადგენს სამხრეთ ოსეთისათვის. ეს გვირაბი არის საშუალება, არ განახორციელებინონ ქართველებს სწრაფი გამარჯვება, რისი იმედიც მათ უნდა ჰქონოდათ. რუსული პოლიტიკური აზროვნებით, საქართველოს დამარცხება მისთვის ყოველგვარი სასარგებლო შედეგის გარეშე ან დასავლეთის პოლიტიკური ჩარევა უბედურება იქნება ქვეყნისა და თვით პრეზიდენტ სააკაშვილისათვის პირადად. ეს უკვე დაასრულებს საქართველოს სწრაფვას ნატოსაკენ – რადგანაც ნატომ რატომ უნდა მიიღოს თავის რიგებში ქვეყანა, სადაც ბოლოს და ბოლოს, სამხედრო მერყევი პოლიტიკა იფეთქებს? ესეც აგრეთვე უბედურება იქნება ქართული ეკონომიკისათვის. სპეციალისტების შეფასებით, რომლებიც ბაზარსა და კრედიტის პოლიტიკას შეისწავლიან, საქართველოს დადებითი მზარდი მილნეები ომის შედეგად შეიძლება გაუარესდეს. ცხადია, ქართველების დამარცხება უფრო მეტად ნააქეზებს რუსეთს, კერძოდ, სეპარატისტულ აფხაზეთში, კიდევ მეტი ძალით გაატაროს აგრესიული ხაზი. პირადად სააკაშვილისათვის ეს იქნება მისი ოცნების – საქართველოს გაერთიანებისა და ქვეყნად კანონიერების აღდგენის დაკარგვა. ბევრი ქართველი დიდხანს ეჭვის თვალით უცქერდა სააკაშვილის ანტირუსულ პოლიტიკოსობას. საქართველოს ოპოზიცია, რომელმაც კინალამ ჩამოაგდო სააკაშვილის მთავრობა

2007 წლის ნოემბერში, გამხნევდება. მოსალოდნელია უფრო მეტი პოლიტიკური არეულობა საქართველოს საშინაო პოლიტიკაში.

არის იმედის ერთი გაელვება: როგორი იქნება დასავლეთის პოლიტიკური სურვილები და რუსეთის მოქნილობა, რაც არ არის ჯერჯერობით სრულყოფილად გამოხატული? ომმა დაგვანახა, რომ საქართველოში კონტროლის გაერთიანებულ კომისიაში რუსეთის მოქმედებამ მშვიდობის შენარჩუნებისათვის სრული კრახი განიცადა. რუსეთი ამ კონფლიქტში არასოდეს ყოფილა ნეიტრალური და პრეზიდენტ მედვედევის განცხადება, რომ ჯარს აგზავნის რა საქართველოში, ამით ის რუსეთის სამშვიდობო მანდატს იცავს, სრული სიყალბეა. ხანგრძლივმოქმედი მშვიდობის ერთადერთი გზა მომავლისათვის, რასაც საქართველო დიდი ხანია ითხოვს, არის საერთაშორისო ჩარევა სამხრეთ ოსეთის მიმართ, როგორც ეს ბოსნიაში მოხდა. აქაც უნდა დადგინდეს მშვიდობის ჩამოყალიბებისა და ურთიერთნდობის მოპოვებისათვის საჭირო პერიოდი. ეს კიდევ უფრო გაამყარებდა საერთაშორისო თანამშრომლობის ნდობას, როგორც ეფექტური შუამავლისა, მაგრამ ევროპასა და ამერიკასაც ხომ აქვთ მოქმედების რალაცგვარი სურვილი, რითაც გამარჯვებული რუსეთი რისკზე მიდის, დაკარგოს თავისი შემოსავლები?

საბოლოო ანგარიშით, ამ ომით არავინ რჩება გამარჯვებული, თუკი ყველა მხარე არ თანამშრომლობს, რომ სამხრეთ ოსეთში ისევ მშვიდობა და მართლწესრიგი დამყარდეს. რუსეთი მძიმე ეკონომიკურ პირობებში იმყოფება და მხარდაჭერას საჭიროებს, მაგრამ ეს ომი რუსეთის მიმართ დასავლეთის უნდობლობას აძლიერებს. ეს ევროპული გაერთიანების აღმოსავლეთევროპელი წევრების მოქმედების გააქტიურებას იწვევს რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობის დაჭერის წინააღმდეგ, დაასრულებს რუსეთის ევროკავშირში გაერთიანების, მისწრაფებას, და გაზრდის ქვეყნის შიგნით ტრიუმფალურ ნაციონალიზმს. დასავლეთის ქვეყნები, თუკი ისინი არ იმოქმედებენ, გამოამყლავნებენ მათ დანაწევრებულობასა და სისუსტეს. რუსეთი გააკეთებს სათანადო დასკვნებს, და სხვა ქვეყნებს, როგორც საქართველოს, შეეცდება აღუკვეცოს ნატოსაკენ ლტოლვის ამბიციები. ყველაზე მეტად წაგებულნი საქართველოსა

და სამხრეთ ოსეთის ხალხები არიან. ქართველები და ოსები დიდი ხანია ენეოდნენ ურთიერთვაჭრობასა და შერეულ ქორწინებას. ეს ომი ანგრევს მათ ოჯახებს, არღვევს ვაჭრობასა და თანამშრომლობას, და უზრუნველყოფს იმათ

გამარჯვებას, რომლებიც მხარს უჭერენ ხელისუფლების იარაღით შენარჩუნებას.

ინგლისურიდან თარგმნა  
ელენე ჩხიკვაძემ

## მიმართვა საბიბლიოთეკო-საინფორმაციო საქმის მოღვაწეთადმი!

ჩვენს ქვეყანაზე იმპერიალისტური რუსეთის მტაცებლური ზრახვებით ატეხილი ომის ქარცეცხლმა გადაიარა. ოკუპირებულ იქნა საქართველოს დიდი ნაწილი, რამაც, ფაქტობრივად, მთელი ქვეყანა მოიცვა. დაიღუპნენ მეზობლები და მშვიდობიანი ადამიანები, დაინგრა ქალაქები და სოფლები, გზები და ხიდები, უამრავი ადამიანი უსახლკარო დევნილად იქცა, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვები და მოზარდები, განადგურდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ტყე-პარკები, საზღვაო თუ სარკინიგზო კომუნიკაციები, მთელ რიგ რაიონებშიც მთლიანად მოიშალა ან დაინგრა ინფრასტრუქტურა, ზიანი მიადგა კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-აღმზრდელით დაწესებულებებს, მოიშალა ნორმალური ცხოვრების ჩვეული დინება. ყოველივე ამან, ცხადია, გვერდი არ აუარა საბიბლიოთეკო-საინფორმაციო სისტემასაც.

ბიბლიოთეკა, ჩვენი კანონის შესაბამისად, რომელიც საერთაშორისო დოკუმენტებს ეფუძნება – პოლიტიკური დაწესებულება თუ ორგანიზაცია არ არის, მაგრამ ქვეყნისადმი სამსახური, ზრუნვა მორალურ-ეთიკური, სულიერი სიმტკიცისათვის, პატრიოტული ენერჯის გაძლიერებისათვის – მისი უშუალო მოვალეობაა.

ჩვენ არასოდეს არ აღგვიმართავს და არც აღვმართავთ ხელს საქართველოში მცხოვრებ ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლებზე. საქართველოში მათ არ სჭირდება არავითარი დაცვა, მით უმეტეს, აგრესორის

მიერ. ისინი ჩვენი ქვეყნის თანაბარუფლებიანი ადამიანები არიან, მაგრამ არ შეიძლება, ყველამ ერთხმად არ დავგმოთ რუსეთის ყოვლად უღირსი და ველური ქმედება, რაც ვანდალიზმის ნამდვილი გამოვლენაა.

საქართველო ოკუპაციის დროს ჩვენს მრავალ სულიერ ფასეულობას მიადგა ზიანი. სხვა ფაქტებთან ერთად, ამაზე მემატთანე თავის დროს ობიექტურ სიტყვას იტყვის. აღინიშნება ისიც, რომ ჩვენ ვერ გაგვტყეს, ვერ გამოავლინეს ჩვენში ურთიერთდაპირისპირება, ვერ დათესეს ურთიერთგაბოროტება, შიში, დაბნეულობა, პანიკა და ქაოსი, რისი დიდი იმედიც ჰქონდათ. ახლა ჩვენი მოვალეობაა, ყველაფერი დავაფიქსიროთ, ხელი შევუწყოთ ამ საქმეზე მომუშავე მოღვაწეებს, განვსაზღვროთ ჩვენი დანაკარგი, აღვრიცხოთ ზარალი, დაუღალავად ვიმრომოთ სულიერ ფასეულობათა აღსადგენად.

მოგიწოდებთ, ვითანამშრომლოთ: მოგვანოდეთ ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი, რისი მხილველიც თქვენ იყავით, გამოგზავნეთ კორესპონდენციები; გავაძლიეროთ მეცადინეობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებისათვის, მეთოდური და გამოცდილების გაზიარების ფართოდ დაწერგვისათვის. როგორც არასდროს, ჩვენი საზოგადოება დღეს უნდა გაერთიანდეს და ერთობლივად შეძლოს დაიცვას ჩვენი ქვეყნის თვითმყოფადობა, მისი სულიერი სიმდიდრე.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია  
ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“  
რედაქცია

## ახალი სასწავლო წელი

## საქმეზარი გვეჯის

სექტემბერი და ბავშვების მხიარული ყიფინა ყოველთვის განუყოფელი იყო ჩვენში. სექტემბრის დადგომას განსაკუთრებული გულის ჩქროლვით ეგებებოდნენ არა მარტო პატარები, არამედ

დავინყოთ ეს. სადაც დაინგრა სკოლა თუ ბაღი, დაუყოვნებლივ უნდა აღსდგეს, სადაც გადარჩა – გაათქვამული ძალით უნდა ამოქმედდეს.

ბევრ სკოლაში განადგურდა ბიბლიოთეკა – მოსპეს წიგნები, გაიტაცეს კომპიუტერები, გააპარტახეს ავეჯი და მოწყობილობა. უნდა ვეცადოთ, ყველაფერი არამც თუ აღვადგინოთ, გავაუმჯობესოთ კიდევ. ნურავითარი მიზეზით ნუ დავტოვებთ ბავშვებს უნიგურად, პირიქით, ყველამ უნდა ვიზრუნოთ, რომ მეტი შემართებით, მეტი მონდომებით, მეტი პროფესიულობით მივუდგეთ საქმეს. წიგნი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ბავშვთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის საქმეში; ამ თვალსაზრისით მას დიდი მნიშვნელობა აქვს და აქტიურადაც უნდა გამოვიყენოთ. ბიბლიოთეკებში ყველა პირობა უნდა შეიქმნეს, რათა ბავშვებმა დაივიწყონ შიში და ძრწოლა, გაზარდონ თავიანთი აქტი-



არდადეგები დამთავრდა

ვობა, წიგნიერი კონტაქტები დაამყარონ ერთმანეთთან. ამაში ბიბლიოთეკარებმა უნდა დაიხმარონ პედაგოგები, მშობლები, ფსიქოლოგები... ახალი წიგნები, ახალი ვიდეოკასეტები, ახალი კომპიუტერული ინფორმაცია, ახალი ფორმები და მეთოდები!.. მეტი შეხვედრები, დილა-საღამოები, მეტი შემოქმედებითი ღონისძიებები, ვიქტორინები, კონკურსები, რამდენადაც შეიძლება ფართოდ გავშალოთ მოსწავლეთა შორის ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებისა და გამოყენების საქმიანობა. ჩვენმა პატარებმა უნდა შეისისხლხორცონ ის იდეა, რომ მათი სახით იზრდება და ყალიბდება ჩვენი ინფორმაციული საზოგადოება, რაც ჩვენი საბოლოო გამარჯვების გამოხატულებაა. ყველამ უნდა იცოდეს: კარგი ცოდნა ნამდვილი პატრიოტიზმის საფუძველია. ჩვენისთანა მცირე ერის ხსნა ცოდნაშია. თუ გვსურს ჩვენი ქვეყანა წარმატებული და დიადი იყოს, ღრმად უნდა დავეუფლოთ მეცნიერებას, პროფესიას, ცოდნას! ცხადია, ეს მოითხოვს მძიმე და მომქანცველ შრომას, მაგრამ ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს. წიგნიერება და ინფორმირება ჩვენი ქვეყნის შემდგომი ძლიერების პირობაა.

ამ შემართებით უნდა შევუდგეთ ჩვენს

მასწავლებლები, მშობლები და ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი თაობის აწმყო და მომავალი. სწავლის დაწყების დღე ყველა ოჯახში დიდი ზემოთ შემოდის; განსაკუთრებით ძვირფასია ის დამწყები პატარებისათვის, რომლებიც პირველად სხდებიან მერხებზე, ასევე „მათი ბედის მოზიარე“ პირველკურსელებისათვის.

წელს ისე წარიმართა ჩვენი ცხოვრება რუსეთის აგრესიის შედეგად, სამხიარულოდ გული არავის ეხსნება – დიდსა თუ პატარას. ყველამ ვინცნით უბედურების მსახვრალი ხელი, კვლავ გლოვამ მოიცვა ქვეყანა, რუს ოკუპანტს ჩვენი დაჩოქება სურდა, უნდოდა კვლავ დავმონებოდით, დაენგრია ჩვენი სახელმწიფოებრიობა, ქაოსი გამოეწვია ჩვენში, შუღლი და მტრობა დაეთესა მოსახლეობას შორის, მაგრამ არ გამოუვიდა. საქართველოს ხალხი მტკიცედ დგას, ურყევად იცავს თავის მონაპოვარს – დამოუკიდებლობას, თუმცა დიდი ფიზიკური და სულიერი ზარალი კი მოგვადგა.

არც ამან უნდა გაგვტეხოს! ამ წუთიდანვე და ყოველდღე უნდა ვიზრუნოთ, ხალხმა მხნეობა არ დაკარგოს, არ გაჩნდეს ხელჩაქნეულობის სინდრომი, და სწორედ ბავშვებიდან უნდა

ბავშვებთან მუშაობას. მიუხედავად დღევანდელი შეჭირვებისა და განუზომელი მწუხარებისა, დაიწყო სასწავლო წელი., დამთავრდა ძალად გახანგრძლივებული არდადეგები, ახალი ეტაპი იწყება ჩვენი მოსწავლეების ცხოვრებაში, და გვინდა მივულოცოთ მათ: მივულოცოთ პირველად მოსწავლის მერხთან დაჯდომა, ახალ, უფრო მაღალ კლასში სწავლის დაწყება, მივულოცოთ პირველკურსელებს გამარჯვება და პირველი ლექციები, უფროსკლასელებს კი კვლავ ერთმანეთთან შეხვედრა და სწავლის წარმატებით განგრძობა!

გამარჯვებით გევლოთ! თქვენი გამარჯვება ჩვენი ქვეყნის გამარჯვებაა!



### ფილოლოგიური კიეპანი

რამაზ მეფარიშვილი (ფილოლოგიურ მეცნ. დოქტ.)

## გრიგოლ რობაქიძე და

## „ბედისწერის სიყვარული“

გრიგოლ რობაქიძის ადგილი ქართულ ლიტერატურაში განაპირობა წონასწორობის დამყარებამ, რომელიც მან გაითავისა დასავლურ აზროვნებასა და ხელოვნების მიმართებაში.

მწერლისთვის საქართველოს გააზრება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სახისმეტყველების სახეობაში. ამიტომაც მისი ერთგული დარჩა მთელი ცხოვრების მანძილზე. შესაძლოა, სახისმეტყველების განფენილობაშია საძებარი რობაქიძისეული ბედისწერის სიყვარული. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა მისი „ლონდა“.

„ლონდაში“ მოქმედება ანტიკურ კოლხეთში ხდება. მთავარი გმირი ქალია, ქალი ღვთაებრივი სილამაზისა. მის სახეში თითქოსდა გაერთიანებულია მრავალი წარმართული ქალ-ღვთაება და წარმოჩენილია მშვენიერება, ვითარცა „ავხორცი“ ტევრების ასული. მის სიახლოვეს ხელდება კაცთა მოდგმა. ქალს კი მხოლოდ თამაზ ბატონიშვილი აურჩევია და მასთან ერთად შეენიერება მზის ღმერთს.

ბატონიშვილის ჰარმონია დაარღვია ლონდას განშორების საშიშროების დადგომამ, მაგრამ ქალს ასე არ ჰგონია: „შენი ვიქნები თამაზ სიკვდილში, სიკვდილში გადასულ სიყვარულს

ღმერთებიც ვერ შეცვლიან“...

ლონდას ქალობა ურჩევნია ცოლობას, ამ ქალში არის ტკივილიანი განცდა სიყვარულისა და ეს განცდა არის ღვთაებრიობის რანგში აყვანილი, ცალკეული ადამიანები ან არ არიან სიყვარულის ღირსი და ეწირებიან მას, ან არც იციან სიყვარულის ზესრულობა, რომ სიყვარული გულიდან მომდინარე სისხლი და სულთმოფენაა.

ბატონიშვილი ლონდასთან ერთად სიკვდილს ირჩევს და მზის ღმერთს წილად ხვდება ორმაგი მსხვერპლი. მათი სიკვდილი, მათივე შეუღლებაა. ოლონდ შეუღლება სიკვდილში. აქ იკვეთება ისეთი პოზიცია, რომელიც ორგანულია გრიგოლ რობაქიძისათვის: „ბედისწერის სიყვარული“. მწერალმა იგი უმთავრეს ნიშანსვეტად გაიხადა: „ჰელადის შვილი ვარ ერთგული... მსხვერპლად გამზადებული, ვით სავსე თასი“. ოცი წლის შემდეგ კი წერს: „იცხოვრო მზისდარად, ნიშნავს იცხოვრო ვაჟკაცურად, შინაგანად მზად იყო, მზესავით უხვად გასცე თავი. ვისაც ამის ვაჟკაცობა ჰყოფნის, ბედისწერა სცნოს და შეიგრძნოს, იგი მას ველარ მოერევა. ბედი ამოხეთქავს სულში და აი, მაშინ თუ გაიგებ, რა არის ბედნიერება“. ეს ეხება არა მარტო თამაზს, ლონდას თუ

სხვა პერსონაჟებს, არამედ უშალოდ გრიგოლ რობაქიძეს. უფრო მეტიც – პიროვნებას და არა ადამიანს. ადამიანი ბევრია, პიროვნება კი ცოცხალი. ამიტომაც მათთვის უმთავრესი ბედისწერის სისხლში გამოწერება. დიახ, „ბედისწერის სისხლი“ და არა წარმოსახვა.

„ლონდა“-ში ასეთი გადასვლა: „შენი ვიქნები თამაზ სიკვდილში“... რობაქიძისეული სიყვარული ფორმულით ასე გამოისახება: სიყვარული = სიკვდილი = მზეს. მეტი დამაჯერებლობისათვის გავიხსენოთ კოტე მარჯანიშვილის სიტყვები: „რობაქიძეს თავის სულში არ გადაუგდია ლონდა უფსკრულისაკენ, არამედ ის აისროლა ზევით, მზეზე. ლონდა ეს არის დაბრუნება მზესთან, ყველაფერი მასში არის მზისაგან, სიცოცხლე და სიხარული, სიცოცხლე და სიკვდილი, ეს არის ნამდვილი

მისტერია მზისა“.

ზემოაღნიშნულს ეხმიანება ქალბატონ ალინა ქოიავას შემდეგი სტრიქონები: „ნამომყვეი მზეზე, სადაც ვიქნებით მე და შენ... მზეს მივანდოთ დაუსრულებელი ბედნიერება“. მზეს მინდობილი ბედნიერება დაუსრულებელი სიყვარულის სიმბოლოა და მხოლოდ და მხოლოდ სულითაა საცნაური.

სიყვარული შინაგანი სისავსეობაა, თუ გნებავთ – შინაგანი აუცილებლობაც. გრიგოლ რობაქიძე ქალში ხედავდა „მინას“ ატეხილი მკერდებით და თავგამეტების ნებელობით. მამაკაცში კი ზეკაცურ არსს, რომელიც ცოხლობდა ბედისწერის სიყვარულით – მისმა სიყვარულმა არ იცის შიში, დაეჭვება, უკან მოხედვა და ამ თვისებებით მიეახლებიან ბედისწერას, რომელშიც გაშინაარსებულია სიყვარული.

## ინგა ქონიაშვილი

ი. ჭავჭავაძის უნივერსიტეტის დოქტორანტი

# ცურბაველის „მუზანიკის წამება“ და მისი ისტორიულ-კულტურული ფესვები



ჰაგიოგრაფია თავისი დროის შვილია. იგი შუა საუკუნეების მხატვრული პროზის უმთავრესი დარგია და ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდს მოიცავს – IV საუკუნიდან XVIII საუკუნემდე, ხოლო

რაც შეეხება მის კლასიკურ პერიოდს, იგი IV-დან XI საუკუნემდე გრძელდება.

ჰაგიოგრაფიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართულსიტყვიერებაში. მანეროვნული გმირის სახე ახალ პრიზმაში დაგვანახა. ეს კი, ერთგვარად, შესანიშნავი ნიადაგი აღმოჩნდა შემდგომი ქართული მწერლობისათვის.

შემთხვევით არ გვიხსენებია „ეროვნული გმირის სახე ახალ პრიზმაში“. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ყოველ დროს თავისი გმირი ჰყავდა, რომელიც იდეალად მოიაზრებოდა. ჩვენს წინაპრებს ახსოვთ დრო ბრძოლისა და შენებისა, დრო სოციალური იდეალებისათვის

თავგანწირვისა. მაგრამ ახსოვთ დრო, როცა მთავარი იყო შინაგანი პრინციპების ერთგულება, რწმენის შენარჩუნება. სწორედ ამ ძალის ნაწარმოებად იქცა იაკობ ცურტაველის „მუზანიკის წამება“, რომელიც ქართული მხატვრული აზროვნების შედეგია. მან ადამიანის მიერ საკუთარ ნებისყოფასა და სურვილებზე ბატონობის იდეალი მოიტანა. ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები წარმოიშვა „ადამიანის სოციალურ ფენებად გადანაწილებისა და შეჯახების კალენდოსკოპში, საერთაშორისო მიქცევა-მოქცევათა ტალღიანობაში, სარწმუნოებათა ძალმომრეობით დამყარების აგონიაში, უსამართლობა-სამართლიანობის მდელვარე ორომტრიალში, ყველა იმ სახილველ და მოსასმენ პროცესში“, რომლებიც დღევანდელი გადასახედიდან დიდი სიფრთხილით უნდა განვჭვრიტოთ თანამედროვე ფსიქოლოგიის ადამიანებმა.

ჰაგიოგრაფიამ გმირის ფიზიკური ძლევამოსილება სულიერი ძლიერებით შეცვალა და ამასთანავე სასწაულმოქმედების უნარიც მია-

ნიჭა. ასეთია წმ. ნინო, შუშანიკი, დავით გარეჯელი, გრიგოლ ხანძთელი და სხვა მრავალი აგიორგრაფიული გმირი.

ქრისტიანობის მიღება 337 წელს, უფრო ზუსტად – მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. „უფრო ზუსტად“ იმიტომ ვამბობთ, რომ ქრისტიანობა მანამდეც ვრცელდებოდა. ამას გულისხმობს იოანე საბანისძე, როცა ამბობს, რომ „ქართველები ხუთას წელზე მეტია ქრისტიანობას აღიარებენ“. ეს სიტყვები 786-790 წლებშია ნათქვამი. მაშასადამე, ჩვენში ქრისტიანობა III საუკუნის დასრულებამდე შემოსულა, რასაც იოანე საბანისძე ეროვნულ სიამაყედ მიიჩნევს, მოიაზრებოდეს, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს I საუკუნეში ქრისტიანობის ქადაგება ანდრია მოციქულის მიერ.

ქრისტიანობის მიღებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ქართული სულის მტკიცედ ჩამოსხმა და ქართული სახელმწიფოებრიობის სტატუსის დახვეწა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ საზოგადოებას მანამდეც გააჩნდა მდიდარი წარმართული კულტურული მემკვიდრეობა. ახალი რელიგიის უპირატესობა იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი ადამიანებს ღმერთის წინაშე თანასწორებად აცხადებდა, პიროვნების დამოუკიდებლობას უსვამდა ხაზს. ამდენად, იგი ადამიანების პირადი ბედნიერების სტრატეგიული მიზნის მისაღწევად უფრო მარჯვე და ტაქტიკურ მოძღვრებას წარმოადგენდა.

„შუშანიკის წამება“ წამოადგენს ჰაგიოგრაფიისათვის დამახასიათებელი პერსონაჟის მხატვრულ ხორცშესხმას. ამ წანარმოებში პიროვნების თავგადასავლის გვერდით დიდი ოჯახური დრამაა, რომლის იქითაც, თავის მხრივ, ჩანს იმდროინდელ მსოფლიოში არსებული ყველა დიდი დაპირისპირება: ბრძოლა ორ მსოფლიო რელიგიას – ქრისტიანობასა და მაზდეანობას შორის. ამ ორი რელიგიის, ორი სოციალურ-ეკონომიკური წყობის – ძველი მონათმფლობელური და ახალი ფეოდალური წარმოების წესის სანწყის ეპოქაში, აბსოლუტურ პრიმატს ვერცერთმა ვერ მიაღწია, მაგრამ ორივემ შეძლო ერთმანეთის სულიერი და მატერიალური პოტენციალის შერყევა, რომლის დამანგრეველ ძალას ვერც წინა ქრისტიანული საქართველო ასცდა. თუმცა დადებით, რომ საქართველო უკვე მაშინაც წარმოადგენდა ეროვნულ ფსიქიკაში თავდაჯერებულ და მეზობელ სახელ-

მნიფოებთან ურთიერთობაშიც საპატიოდ აღიარებულ სახელმწიფოს. იბერიის გაძლიერებისათვის მისმა მმართველმა მეფე მირიანმა პირველმა შეიცნო ახალი ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების პროგრესულობა საქართველოში. ამით იგი კერპთაყვანისმცემელ ქურუმთა ეკონომიკურ თუ სულიერ სადავეებს საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარებდა. მან ახალი ქრისტიანული იდეოლოგიით ადვილად მიიმხრო მხედრობა, რომელსაც თვალი ეჭირა წარმართულ ტაძრებსა და სასახლეებზე და მეფისადმი ერთგულების სანაცვლოდ, მზად იყო მიეტაცა ყოველივე. ამის გარდა, მეფე მირიანმა მონათმფლობელური მეურნეობის ნაკლებად ნაყოფიერი შრომით ქანცგანყვეტილი მონები მიწის ნაკვეთებზე დაასახალა და ისინი ყმებად აქცია. მაგრამ ეს ქართველური სახელმწიფოების – კოლხეთისა და იბერიის მოსალოდნელ გაერთიანებას ეწინააღმდეგებოდა, განსაკუთრებით ირანის სამხედრო კონტროლქვეშყოფი ქართველური სახელმწიფოსი, რომელსაც ირანული ორიენტაციის გამგებელი ვარქსენ არშუშაშაის ძე მართავდა.

ვარქსენმა კარგად იცოდა, რომ მოძმე ქრისტიანულ იბერიას ბიზანტიაზე ჰქონდა ორიენტაცია, მაგრამ ბიზანტია შორს იყო და ფარულად მტრობდა კიდევ ქართველ მეფეებს, ვიდრე მეზობელი მაზდეანული შაჰი. გარდა ამისა, ერთმორწმუნე იბერიის აღზევებას ტერიტორიული გაფართოებაც მოჰყვებოდა. ეს შესაბამისად ვარსქენის მიერთებასაც გულისხმობდა. ეს კი ქრისტიან ვარქსენს მაზდეანური ირანისაკენ უბიძგებდა, თუმცა კარგად გრძნობდა მაზდეანობის უპერსპექტივობას პროგრესული ქრისტიანობის ფონზე.

აღნიშნული საკითხი აფიქრებდა არამხოლოდ პიტიახშს, არამედ მის მეუღლე დედოფალ შუშანიკსაც, რომელიც საკმაოდ დიდი ხანს აჯერებდა ვარსქენს ქრისტიანული საქართველოს უპირატესობაში. მაგრამ ქვეგამხედვარი პიტიახში ფიქრობდა, რომ გამაზდეანებით შაჰის წყალობას დაიმსახურებდა და ირანსა და ბიზანტიას შუა მყოფ ქართულ მიწაზე საკუთარ მეფობას გაახანგრძლივებდა. ამ მეწყევმა ფსიქიკამ საბოლოოდ დასძლია ვარქსენი და შუშანიკ დედოფლისაგან ფარულად გადადგა საბედისწერო ნაბიჯი.

იგი ეახლა შაჰს, მიიღო მაზდეანობა და თან



მეუღლე შუშანიკისა და ოთხივე შვილის გამაზ-  
დიანებაც აღუთქვა. შაჰის კარზე ვარსკენის  
გადანყვეტილება ფრიად წარმატებულ სახელ-  
მწიფობებრივ მოვლენად მიიჩნის და შაჰმა  
მადლიერების ნიშნად თანხმობა განუცხადა  
თავისი ასულის მითხოვებაზე. შაჰს ეჭვიც არ  
შეჰპარვია ვარსკენთან დედოფალ შუშანიკის  
თანამოაზრობაში და იმაზე ადრე ამცნო  
ქართველებს ერის, რჯულის, სახელმწიფოსა  
და დედოფლისადმი ღალატის შესახებ, ვიდრე  
ვარსკენი საქართველოში დაბრუნდებოდა. ეს  
კი მოწმენდილ ცაზე მეხსის გავარდნას გავდა,  
რასაც მოჰყვა შუშანიკის წამებით სულის  
განტყვება, ხოლო რვა წლის შემდეგ – თვით  
ვარსკენის ფიზიკური განადგურება.

მაშასადამე, ცხადი ხდება, თუ შინაარსობ-  
რივად რაოდენ ღრმა მოვლენების ამსახველი  
ნაწარმოებია „შუშანიკის წამება“: პიროვნება,  
ოჯახი, ქვეყანა, სარწმუნოება. მაგრამ განსა-  
კუთრებულად აღნიშვნის ღირსია ადამიანის  
ბედი, როცა ადამიანი სულიერ და მინიერ  
სწრაფვათა ჭიდილში აღწევს გამარჯვებას  
საკუთარ თავზე და ამით ხდება სხვათათვის  
მისაბაძი მაგალითი.

შუშანიკი მონამეა ანუ ბერძნულად  
– „მარტივროს“-ი (მარტივილი), თუმცა  
„მარტივროს“ ნიშნავს „მონმეს“ ანუ „დამამ-  
ტკიცებელს“, სავარაუდოდ ამ მნიშვნე-  
ლობის მატარებელი უნდა ყოფილიყო  
სიტყვა „მონამეც“.

არნოლდ ჩიქობავას „ქართული ენის განმარ-  
ტებით ლექსიკონში“ (1986) ვკითხულობთ,  
რომ „მარტივილი“ (ძვ.) ნიშნავს ქრისტიანული  
სარწმუნოებისათვის წამებულს, ტანჯულს,  
მონამეს. ხოლო „მარტივილობა“ (ძვ.) განმარტე-  
ბულია როგორც:

1. წამება, გვემა (ქრისტიანული სარწმუ-  
ნოებისათვის). 2. საეკლესიო მწერლობის  
ისეთი ნაწარმოები, რომელშიც აღწერილია  
მარტივილის ცხოვრება და წამება.

გამომდინარე აქედან, შუშანიკი წარმოგვიდ-  
გება არა მხოლოდ გვემული, არამედ თავისი  
ხორციელი გვემით – ქრისტესმიერი ბუნების  
ერთგულების, რწმენისათვის თავგანწირული  
და სინმინდის დამამტკიცებელი პიროვნება.

რაც შეეხება ტერმინ „ჰაგიოგრაფიას“,  
რომელიც ბერძნული სიტყვაა, ამავე ლექსი-  
კონში განმარტებულია როგორც – საქრის-  
ტიანო ლიტერატურის დარგი – წმინდანების  
ცხოვრების აღწერილობა.

ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევების  
მიხედვით, ჰაგიოგრაფიული ნაწარმო-  
ები იწერებოდა გარკვეული კანონიკური  
წესებით.

აღსანიშნავია, რომ ქართულ საისტორიო  
მწერლობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა  
ისტორიული ამბის თხრობის უეჭველობას,  
როდესაც მოთხრობილი ამბავი თვით აღმწე-  
რელის – „თვალთამხილველის“ (სწავლული  
კაცის) მიერ იყო აღწერილი. გარდა ამისა,  
თვითმხილველი და „თანადამხუდარი“ მოამ-  
ბეების პირადი თვისებებიც ფრიად საგუ-  
ლისხმოდ მიიჩნია ქართულმა საისტორიო  
მწერლობამ, ისინი ყველანი უნდა ყოფი-  
ლიყვნენ „სარწმუნონი კაცნი“, რომელნიც  
„უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუვილისაგან“  
(გიორგი მთაწმინდელი).

საქართველოში საისტორიო მწერლობის  
მაღალ დონეზე განვითარებას ფრიად  
შეუწყო ხელი იმ ფილოლოგიურმა სკოლამ და  
განვრთნამ, „რომელიც მთარგმნელობითმა  
მოღვაწეობამ შექმნა, როდესაც ბერძნებთან  
ცილობისა და ბრძოლის ხანაში ქართველმა  
მეცნიერმა ბერებმა თავიანთი დიდი შრომის  
განხორციელება შესძლეს“ (ივ. ჯავახიშვილი).

ქართული საისტორიო მწერლობა სათავეს  
იღებს მარტივობათა და წმინდანთა ცხოვრე-  
ბისაგან, მთელ რიგ საქრისტიანო ქვეყნებში  
სწორედ მარტივობა გახდა საეკლესიო-საის-  
ტორიო მწერლობის უძველეს დარგად, რამაც  
შემდგომხელი შეუწყო წმინდანთა ცხოვრებათა  
აღწერათა გავრცელებას. აღნიშნული გარე-  
მოება შეიძლება აიხსნას იმით, რომ ქრისტიან-  
ული სარწმუნოება თავდაპირველად იდევენ-  
ბოდა და მისთვის თავგანწირული პიროვნე-  
ბები განსაკუთრებულ ყურადღებასა და პატი-  
ვისცემას იმსახურებდნენ, მათ თავდადებას  
მწერლები მაღალი ეროვნული და ისტორიული  
იდეალების დასამკვიდრებლად იყენებდნენ.  
ჰაგიოგრაფიის გმირები საერთო იყო ქვეყნი-  
სათვის, სადაც ქართული იყო ენა კულტუ-  
რისა, განათლებისა და მნიგნობრობისა, ეს კი  
ქვეყნის მთლიანობის განმტკიცებას უწყობდა  
ხელს.

ჰაგიოგრაფიაშიადადამიანი მაღალი იდეის განსა-  
ხიერებაა. იგი განკაცებული იდეაა, რომელშიც  
ერთმანეთს უნდა შეერწყას მაღალი ზნეობისა  
და სრულყოფილებისაკენ სწრაფვა. ამგვარი  
იდეა დროზე მაღლა დგას. ამ საერთო იდეას  
ემსახურება წმინდანიც. განდგომილი შაშანიკი,

ერთი შეხედვით სუსტი ქალი, არაჩვეულებრივ სულიერ სიძლიერესა და რწმენის სიმტკიცეს ავლენს. ის, როცა მიმართავს ჯოჯიკსა და მის ცოლს: „მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჭეშმარიტი აღიაროს და ან მე მაიძულებთ ამას ყოვლად? ანუ იყოფიან ესე ჩემდა და შენ, ჯოჯიკ, არლარა ჩემი მზალი ხარ და არცალა მე შენი ძმის ცოლი, არცა ცოლი შენი დაი ჩემი არს, რომელნი მის კერძო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ!“

დედოფალი არ შეუშინდა ქმრის რისხვასაც, როცა „პურობის ჟამს“ ღვინით სავსე ჭიქა სახეში შეაღწენა ჯოჯიკის ცოლს შემდეგი სიტყვებით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, ოდეს მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?“

აღნიშნული სცენა არ მიგვაჩნია, ადასტურებდეს შუშანიკის „წარმოუდგენელ სიფიცხეს“, რადგან ამით შუშანიკმა უარი თქვა რწმენის მოღალატე ხალხთან ერთად „პურის გატეხვაზე“, რაც ესოდენ წმინდათა წმინდაა ქართველთათვის. რამეთუ ადამიანი, რომელთანაც „ტეხ პურს“ და ხდები ქრისტეს ხორცისა და სისხლის თანაზიარი, იმავდროულად ხდები თანამესუფრეს თანამოაზრე და თანაზიარიც.

ამ შესტიით კი დედოფალმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცა მოღალატეებს, რომ მათი თანაზიარი და ქრისტეს რჯულის გამცემი არასოდეს გახდებოდა.

საყურადღებოა, რომ იმ დროს ქალებს ქმრისადმი მორჩილება ევალებოდათ. შუშანიკის მიერ ქმრისაგან განდგომა წარმოუდგენელი იყო, მაგრამ აქვე დავძენთ, რომ იგი არა ქმრისაგან, არამედ ქრისტეს რჯულის გამცემლისაგან, პიტიახშის მოღალატეობრივი ბუნებისაგან განდგომაა და, ამდენად, მისი ეს ნაბიჯი გამართლებულია, რადგან უზნეობაა ერთ ჭერქვეშ იცხოვრო ადამიანთან, რომელსაც არა აქვს პრინციპები, არად უღირს ოჯახის წევრთა, თანამეცხედრეს პიროვნება და, რაც მთავარია, უზენაესის ნება!

შუშანიკი თავისი რწმენით ამაღლებულია ამქვეყნიურ სიკეთეზე. იგი ნაწარმოებში ცენტრალური ფიგურაა. მის გვერდით სხვადასხვა ეპიზოდებში ჩნდებიან თვით იაკობ ცურტაველი, სასახლის ეპისკოპოსი აფოცი, სხვა ეპისკოპოსები, დიაკონი, რომელიც დედოფალს თანაუგრძნობდა და შემდეგ დააშინა ვარსკენმა, მრავალრიცხოვანი დიდებულები და მდაბიონი, რომლებიც თანაუგრძნობენ მართლმორწმუნე დედოფალს,

ცრემლით განბანეს მისი წყლულები, სთხოვენ შემწეობას, გამხნევენასა და ლოცვას, რომელსაც უმურველად ურიგებს ეს უკანასკნელი.

რაც შეეხება თავად ნაწარმოების ფუნქციას, იგი საინტერესოა მისი სხვადასხვა ჭრილში განხილვის თვალსაზრისით.

რითაა „შუშანიკის ნამება“, ეს უძველესი ძეგლი ასეთი ახლობელი? შუშანიკის შეუდრეკლობა სულიერებასთან მიმართებაში დღევანდელობას ეხმიანება შორეული წარსულიდან და დღესაც აქტუალურია. აქტუალურია იმდენად, რამდენადაც იგი წმინდს ჩვენს სულს, ასხივოსნებს ღვთიური და საკუთარი სულის სინათლით! ამაში მდგომარეობს მისი, როგორც ნაწარმოების - განწმენდელი ფუნქცია, ხოლო როდესაც ნაწარმოებს აქვს განწმენდელის ფუნქცია, ეს იმას ნიშნავს, რომ მას აქვს აღმზრდელობითი ფუნქციაც, რადგან გვზრდის კიდევაც, რამეთუ გვინერგავს ოჯახის, სამშობლოსა და რწმენის ერთგულებას, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ტრადიციებთან, წარსულთან და ერთგვარად აყალიბებს და განსაზღვრავს თაობებს შორის ურთიერთობებს.

ჰაგიოგრაფია და მასში გადმოცემული ტრადიციები განსაზღვრავს ურთიერთობებს რელიგიასთან და იმ რიტუალებისა და მოტივების ცოდნას, რომელიც ღრმად იჭრება ყოველდღიურ ცხოვრებაში. იგი აკონტროლებს ერის საკრალურ ისტორიას, ენის სინამინდეს, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, განსაზღვრავს, თუ რა კავშირია სიტყვასა და ერის საკრალურ ისტორიას შორის, სიტყვასა და ადამიანის პრაქტიკულ ქმედებას შორის.

როგორც ხედავთ, აშკარაა, თუ რაოდენ საჭიროა აღნიშნული ნაწარმოების ან მისი მსგავსი ნაწარმოებების სკოლაში სწავლება. ახალგაზრდა თაობა მერხიდანვე უნდა ეზიაროს იმ ფასეულობებებს, რომელთაც მორალი, ზენობა, რწმენა, სიყვარული და თავისუფლება ჰქვია, რამეთუ უამისოდ ვერცერთი თაობა ვერ შექმნის საკუთარ ისტორიას, მომავალზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების გაცნობისას მოსწავლეები ეზიარებიან წინაპართა უძველეს კულტურას, ზნეობრივ ფასეულობებსა და თავად გამოაქვთ დასკვნები, რომ ქართველ ხალხს იცავდა და თავს სწირავდა ქრისტიანობას, რათა არ მიეცა მტრისთვის

ვერაგული მიზნების განხორციელების საშუალება. ის ამით, რა თქმა უნდა, ქვეყნის დამოუკიდებლობას იცავდა, ერის თვითმყოფადობას ედგა დარაჯად.

შეუძლებელია ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ მკითხველს არ შეეცვალოს სულიერი შეგრძნება და განწყობა, რომელიც მას ნაწარმოების წაკითხვამდე ჰქონდა, მას შესაბამისად ეცვლება ქცევაც, რამეთუ რაღაცნაირად ცდილობს დაემსგავსოს მთავარ გმირს. მიბაძოს მის კარგ თვისებებს. განიმტკიცოს რწმენა საკუთარი რჯულისა და მისი თავგამოდებული დამცველი გახდეს. ესე იგი, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს გააჩნია ქცევის შეცვლის ფუნქცია. ადამიანს აფიქრებს მის დღევანდელ ყოფაზე, მდგომარეობაზე და ერთგვარად აღავსებს სისპექტაკით, ამაღლებს ყოველდღიურობაზე, შთააგონებს და შეახსენებს თავის მისიას მოყვასისა და ერის წინაშე.

მაშასადამე, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, ჩვენს შემთხვევაში „შუშანიკის წამება“, წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალებით აღწევს თავის კონცეპტუალურ ჩანაფიქრს ანუ იმ მიზანს,

რასაც ადამიანის აღზრდა და თვითშეგნების ამაღლება ჰქვია.

ის ფაქტი, რომ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში თავმოყრილია უამრავი პრობლემა და ძირითადი მოვლენა, რაც სრულყოფს ნაწარმოების იდეურ მხარეს, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს მისი ღრმად შესწავლის აუცილებლობაში, ხოლო თავად ნაწარმოებს ფუნქციურად მრავალმხრივ საინტერესოს ხდის არა მხოლოდ მშობლიურენოვან, არამედ განსხვავებული კულტურის მქონე მკითხველთათვის.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კვაჭანტირაძე თამაზ. სასიტყვეთი. – თბ., 2002.
2. სირაძე რევაზ. სახისმეტყველება: 2 გამც. – თბ., (წ. არ.)
3. შუშანიკის წამება. – Тб. Хеловнеба, 1983.
4. ჯავახიშვილი ივანე. თხზულებანი თორმეტ ტომად: ტ. 1. – თბ., 1979.
5. იგივე. – ტ. 8. – 1977.
6. ჯოხაძე ლალი. მხატვრული ტექსტი – სტილისტურ – კონცეპტუალური სისტემა. – თბ., 2008.

**გურამ თაყნიაშვილი**

# „კასთა მონიჭებული პირველი სიმდიდრე წიგნთა მოქალაქეობაი არს“ მინანერი მე-11 საუკუნის ქართულ ხელნაწერ წიგნზე

სათაურში გამოტანილი სიტყვები ეკუთვნის მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში ფსალმუნთა კრებულის „დავითნის“ მთარგმნელს დავით ჯიბისძეს. „დავითნი“, იგივე ფსალმუნების კრებული, ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნია. ამ კრებულში შეტანილი ცალკეული საგალობლის ავტორობა ებრაული და ქართული ქრისტიანული ტრადიციით მიენერება ძველი წელთაღრიცხვის XI საუკუნის მიწურულში დაარსებული იუდეველთა და ისრაელთა გაერთიანებული სამეფოს დამაარსებელსა და მის პირველ მეფეს დავითს. ქართულ ენაზე ფსალმუნთა კრებულების თარგმანები განეკუთვნება მე-4-5 საუკუნეების პერიოდს. ჩვენამდე მოღწეულია მე-10 საუკუნის ქართული თარგმანები. მე-11 საუკუნეში

გიორგი მთაწმინდელმა საბოლოო რედაქცია გაუკეთა ქართულ „დავითნს“, მაქსიმალურად დაუახლოვა რა იგი ბერძნულ ტექსტს.

საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში თარგმნილი „დავითნი“. ეტრატზე ნუსხა-ხუცურით შესრულებული „დავითნი“ მცირე ზომისაა. ტექსტი ბევრგან დაზიანებულია, მაგრამ ნათლად იკითხება მთარგმნელის ვინაობა და იქ საყურადღებო მინანერები, რომლებმაც ყურადღება მიიპყრო თავისი შინაარსით.

ვინ იყო დავით ჯიბისძე? როგორც „დავითნის“ მინანერებიდან ირკვევა, იგი ძველი ბერძნულიდან 1035 წელს უთარგმნია დავით ჯიბისძეს, იგი იყო ფრიად განათლებული საეკლესიო

მოღვაწე, რომელსაც კარგად ესმოდა წიგნისა და წიგნიერების როლი ქართველი ერის სარწმუნოებრივი და ზნეობრივი აღზრდის საქმეში. „დავითნის“ ერთ-ერთ გვერდზე მთარგმნელის მინაწერი: „მე, დავით ჯიბის ძემან, ტვირთ მიძიმემან ცოდვითა და უღებმან სინანულითა და ვნერე ესე წიგნი ბრძანებითა ეზრა მამათმთავრისა შემოქმედისა და მწყალობელისა ჩემისაითა, რომლისა დამეკადრა და მერწმუნა სანყალობელი სული ჩემი“. „დავითნის“ ხელნაწერი წიგნი მთარგმნელს გაუსრულებია თავისი შვილის, ივანეს ხელით. „დავითნის“ ხელითა სულიერთა ძმა ჩემთაითა საბასითა, მიქაელისითა და გაბრიელისითა და გავასრულე ხელითა შვილისა ჩემისა ივანესითა“. ხელნაწერი შემოსილია თვითონ მთარგმნელისა და გადამწერის მიერ: „შევმოსე უღირსისთა ხელითა ჩემითა და დავდევე შემდგომად სიკუდილისა ჩემისა შატბერდს“.


შატბერდის მონასტერი კლარჯეთში (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე) დააარსა მე-9 საუკუნეში გრიგოლ ხანძთელმა. მე-11 საუკუნის დასაწყისისათვის აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი მწიგნობრები და კალიგრაფები: მიქაელ მოდრეკილი, სოფრონ შატბერდელი, იოანე ბერაი, გაბრიელ შატბერდელი, დავით და იოანე ჯიბისძენი და სხვები. მე-10 საუკუნეში შატბერდში შეიქმნა ე.წ. „შატბერდის კრებული“. მასში

შესულია ქართული ისტორიოგრაფიის საინტერესო თხზულებები: „მოქცევაი ქართლისაი“ (IX ს.), „ჯრუჭის ოთხთავი“, „პარხალის ოთხთავი“ და სხვა მნიშვნელოვანი ძეგლები.

„დავითნის“ ერთ-ერთ მინაწერში ნახსენები არიან დავით ჯიბისძის მშობლები ივანე და შუშანი: „უფალო შეუნდვე დავითს და განუსვენე სულსა ივანესსა და შუშანიასსა, გაბრიელისა“. გაბრიელი, როგორც მკვლევარები მიაწინებენ, პაპა უნდა იყოს დავით ჯიბისძისა.

„დავითნი“ სხვადასხვა ხელით არის დაწერილი ტყავზე. ნაწერი ტექსტი შეიცავს 36 რვეულს, თითოეული 16 გვერდია. სულ „დავითნი“ შეიცავს 514 გვერდს, აკლია 62 გვერდი, ცალკეულ გვერდზე შესრულებული მინაწერები ნათლად მეტყველებს გადამწერის თავმდაბლობასა და ღირსებებზე. დავით ჯიბისძე შესთხოვს უფალს, ნაშრომი მისი შემოუნახოს შთამომავლობას: „ამისა წიგნისა ეტრატი კატაის საფასოითა ვიყიდე, ღმერთმან დაგვაჯეროს“. ვინც ეს წიგნი ამას ეკლესიას გამოახუას, წმიდამცა ღვთისმშობელი არის მსაჯული მისი“. სხვა მინაწერებში იკითხება: „ქრისტე შეიწყალე დავით“, „უფალო შეუნდვე დავით ჯიბისძესა და განუსვენე სულსა ივანესი და შუშანისისა, გაბრიელისა“. „დავითნი“ მოხსენებული სასულიერო პირები: საბა მტბევარი, ეზრა ანჩელი, მიქაელი, გაბრიელი, ბასილი კესარიელი და სხვები ცნობილი პიროვნებები არიან, 1028 წელს, როდესაც ბაგრატ მეოთხეს (1020-1072) დიდგვაროვან აზნაურთა ერთი ნაწილი განუდგა, შავშეთ-კლარჯეთის თავდაცვის ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგნენ ეპისკოპოსები საბა მტბევარი და ეზრა ანჩელი. მათ ტბეთის წინ ააშენეს მაღალი სიმაგრე და დაუნყეს ბრძოლა ბერძნებს. ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ ქართველთა მოსყიდვას. საბა და ეზრა ამხნევებდნენ ქართველებს: „ძმანო მოვიგოთ მაღლი ერთგულებისა და გვირგვინი ახოვნებისა“. ამ ამბების ცოცხალი მოწმე იყო დავით ჯიბისძე, რომელსაც კარგად ესმოდა ქართველი სასულიერო პირების ერთგულების მნიშვნელობა სამშობლოს გადარჩენისათვის ბრძოლაში.

„დავითნის“ ქართული თარგმანი შეიცავს ორ განყოფილებას: პირველში არის ბასილი მთავარეპისკოპოსის (ბასილი კესარიელი, მე-4 ს.) თარგმანები, ხოლო მეორეში – იგივე ფსალმუნების თარგმანები უცნობი მწერლისა: „აქვე დასრულდა დავითისა ფსალმუნთა თარგმანები ბასილი კესარიელისა ბრძანებული და ესე



„დავითნის“ ტყავზე შესრულებული ხელნაწერი (1035 წ.)



აქედან (გვ. 428) წალმართ და ვითა შიგან ვპოვოთ თითო მუხლსა ზედა თარგმანი, ხოლო სახელი არ ეწერა, თუ ვისი თარგმნილი არის“. როგორც „დავითის“ მინაწერებიდან, ასევე მკვლევართა მოსაზრებებიდანაც დასტურდება, რომ წიგნი თარგმნილი უნდა იყოს გიორგი დაყუდებულის მიერ ბერძნული ენიდან.

დავით ჯიბის ძის ანდერძი

„ფრიადი კეთილი კაცთმოყუარისაგან კაცთა და მონიჭებული პირველი მისი სიმდიდრე წიგნთა მოძღურებაი არს: მზე და მთოვარე ხორცთა ჩუენთა სახმარად დაჰბადნა, ხოლო წიგნი სულთა ჩუენთა განმანათლებლად მოგუ-მადლნა, რომლისათვისცა წმიდაი ფსალმუნი დავითისი თავი არის და პირი ყოველთა წიგნთაი, შემამკობელი ყოველთა მორწმუნეთაი, რომელსა გალობდა დავით ათ ძალითა ძით ფსალმუნისაითა და მოასწავებდა მოსვლასა ძისა ღმრთისასა ქუეყანად“.

ანდერძის ცალკეული ნაწილები არ იკითხება,... მარცვლებია წაშლილი, გადაფხეკილი, ძნელად ამოსაკითხი. ანდერძის სხვა ნაწილები იკითხება დავითის ვედრება და სინანული: „დავწერე და ძმათა ჩემთა გაბრიელის და მარიემისათვის, შატბერდისა და ხანძთისა ცოცხალმა და მიცვალებულთა და ყოველთა მისთა ჩემთათვის, და ან გვედრებით ყოველთა მომავალთა ნათესავთა, რომელნი მოხუალთ გამოსაცდელად საწუთოსა... მოგვეხსენებით წმიდათა ლოცვათა თქვენთა რომელნი ესე ამას წიგნსა ხსენებულ ვართ და შთანერვილ, მოკლედ მოვლენ ან ჟამნი დაუსრულებელნი და ჩუენ არღანა ხელგვენიფებოდეს აღმოკითხვად“. დაიწერა ქორონიკონსა სნე (1035 წ.) ხელნაწერში იკითხება ასევე დავით ჯიბის ძის შვილის ივანეს ხელით მინაწერი: „უფალო იესო ქრისტე, მეოხებითა მშობლისა შენისა ადიდე სულითა დავით ჯიბისძე და შემინყალე მეც მშრომელი ივანე, და მეცა თუ მწერალი“.

დავით ჯიბისძის „დავითის“ შესწავლას ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს ქართული სასულიერო ლიტერატურის ისტორიის მკვლევარებმა: კ. კეკელიძემ, ა. ბარამიძემ, მ. და ა. შანიძეებმა, ლ. მენაბდემ, ზ. ჭუმბურიძემ, ი. აბულაძემ და სხვებმა. ელენე მეტრეველმა საგანგებოდ შეისწავლა „დავითის“ ტექსტი და შეძლებისდაგვარად სრულყოფილად გამოაქვეყნა დავით ჯიბისძის ანდერძი. პირველი ცდა „დავითის“ ქართული თარგმანის პოპულარიზაციისა ეკუთვნის გურჯაანელ მღვდელს პ. კარბელაშვილს, რომელმაც გაზეთ ივერიაში ვრცელი



„დავითის“ ნუსხა-ხუცური თარგმანი

წერილი მიუძღვნა აღნიშნული თარგმანის მნიშვნელობას, გამოთქვა საყურადღებო მოსაზრებები ტექსტში მოხსენებულ სასულიერო პირთა შესახებ.

ბექდური სახით „დავითი“ პირველად დაიბეჭდა მეფე არჩილისა და მისი ძის ალექსანდრეს თაოსნობით მოსკოვში 1705 წელს. მისი ერთადერთი სრული ცალი დაცულია მოსკოვში, ფეოდალურ-ბატონყმური ეპოქის არქივში. დეფექტური ცალები შემორჩენილია თბილისსა და ქუთაისში, მეორედ სტამბური წესით „დავითი“ დაიბეჭდა თბილისში, 1709 წელს, ვახტანგ VI-ის სტამბაში, ნუსხა-ხუცური შრიფტით, ხოლო შემდეგ – 1711 წ. და 1712 წ. „დავითი“ დაიბეჭდა მხედრული შრიფტით.

„დავითის“ ფოტოპირები პირველად ჩვენს ჟურნალში ქვეყნდება.

**ლიტერატურა:**

1. შანიძე ა. ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები. – თბ., 1960.
2. კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან: ტ.5. თბ., 1957.
3. მეტრეველი ე. შავი მთის მნიგნობრული კერის ისტორიისათვის // ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე: ნ. XXB. 1959.
4. ჯანაშვილი მ. დავით ჯიბისძის დავითი // ივერია. – 1909, № 6.
5. კარბელაშვილი პ. საისტორიო და საბიბლიოგრაფიო მინაწერი დავით გარეჯის უდაბნოს ტყავზედ ნაწერი ხელნაწერებისა // ივერია. 1889. – № 26-32.
6. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა: ნ. 1 – თბ., 1976,
7. ქართული წიგნი: ბიბლიოგრაფია, ტ. 1 – თბ., 1941.

დარეჯან კოტეტიშვილი

## ჭეშმარიტად სახალხო

ყოველი ჭეშმარიტი პედაგოგი მთელი სიცოცხლის მანძილზე თავის სამშობლოსა და ხალხს უნდა ემსახურებოდეს; ათასგზის ბედნიერია ის, ვინც პატიოსნად იხდის ამ დიდ საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივ მოვალეობას. სწორედ ასეთი პიროვნება იყო ამაგდარი ქართველი პედაგოგი – სახალხო მასწავლებელი ვანო გიუნაშვილი.

თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის 36 წლიდან, მან 28 წელი კასპის რაიონის სოფელ წინარეხის სკოლაში გაატარა. წინარეხის სკოლაში იმხანად მუშაობის ძნელი პირობები იყო. მიუხედავად ამისა, ივანე გიუნაშვილმა შესანიშნავად გაართვა თავი თავის საქმეს. ერთდროულად ოთხ ჯგუფთან მუშაობდა, რამდენ დაკვირვებას, დაძაბულობას, ძიებას და შემოქმედებას მოითხოვდა მისგან ის, რომ წარმატებისთვის მიეღწია:

თავის საქმისა და ხალხის სიყვარულმა, გლეხთა ცხოვრების პირობების კარგად ცოდნამ თავისი საქმის დიდოსტატად აქცია იგი. ეს წარმატება იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წინარეხის სკოლის ტიპის სკოლებისათვის – ვანო გიუნაშვილის მიერ შედგენილი სასწავლო პროგრამა დაუდგია საფუძვლად.

ნ.კ.გ. საზოგადოებამ იცოდა, რომ „ერთ მასწავლებელს ოთხ ჯგუფში იმაზე მეტის მიცემა არ შეეძლო, რასაც მის მიერ შედგენილი პროგრამა იძლეოდა“ (ივ. შატბერაშვილის სტატიიდან „იშვიათი მუშაკი“).

ივანე გიუნაშვილი შეძლებისდაგვარად უფასოდ აძლევდა მოსწავლეებს სახელმძღვანელოებსა და ქართველი მწერლების ნაწარმოებების გამოცემებით ამარაგებდა. თავის წიგნებს დროებით საკითხავად ყველას ათხოვებდა ხოლმე.

ვანო გიუნაშვილს თავისი უანგარო შრომით დიდი აღიარება მოუპოვებია არა მარტო წინარეხის, არამედ კავთისხევის თემის მშრომელთა შორისაც, აგრეთვე ნ.კ.გ. საზოგადოების ხელმძღვანელებისა და სახალხო განათლების თვალსაჩინო მოღვაწეებს შორისაც. ეს ნათლად

დასტურდება წინარეხის სკოლის მუშაობის შემონმების შესახებ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და ქართული სკოლის დიდი მოამაგის – ლუარსაბ ბოცვაძის მიერ ნ.კ.გ. საზოგადოების სახელზე წარდგენილ მოხსენებაში, რომელშიც ვკითხულობთ: „ვანო გიუნაშვილი, როგორც დიდი დახელოვნებული და გამოცდილი მასწავლებელი, არის ხალხის ჭირვარამის შუა გამყოფი, ის არის ყოველ საქმეში ხალხის მრჩეველი, დამრიგებელი, ის არა თუ პატარებს, მოზრდილებსაც ასწავლის წერა-კითხვას, ნამდვილი სახალხო მასწავლებელია“. აქვე ლ. ბოცვაძე სინანულით აღნიშნავს: ამისთანა მასწავლებელი „ნივთიერად დიდ გაჭირვებას განიცდის“. მიუხედავად ასეთი ხელმოკლეობისა, ვანო გიუნაშვილი არა მარტო სკოლაში მოსწავლეთა შორის სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას ახერხებდა, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. ბევრ ახალ სასარგებლო ღონისძიების თაოსნობას მოხერხებულად უთავსებდა ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას. ყურნალ-გაზეთებში სისტემატურად იბეჭდებოდა მისი წერილები. საყურადღებოა, რომ ქართველი მკითხველი მშობლიურ ენაზე დიდი რუსი მწერლის მაქსიმ გორკის ნაწარმოებებს პირველად მან აზიარა თავისი თარგმანებით, რითაც დიდი ამაგი დასდო რუსული ლიტერატურიდან ქართულ ენაზე ნაწარმოებთა თარგმნის კეთილშობილურ საქმიანობას.

ვანო გიუნაშვილი დაიბადა ქართლის ერთ-ერთ ლამაზ სოფელ ფლავისგარბში 1873 წელს, გარდაიცვალა 1935 წლის 27 მაისს.

ვ. გიუნაშვილი ქართველი სახალხო მასწავლებელთა იმ თაობას განეკუთვნება, რომელიც განუწყვეტლივ იმყოფებოდა ახლის ძიებაში, გაბედულად ეჭიდებოდა ყოველგვარ სიძნელეს და ხალხის სამსახურში საკუთარი თავი სამსხვერპლოზე მიჰქონდა უკეთესი მერმისისათვის.

ვ. გიუნაშვილის შესახებ საინტერესო მასალებია აგრეთვე გამოქვეყნებული ვ. კახიძის სტატიიში // სახალხო განათლება, – 1968. – 18 მარტი.

## სიტყვა პროფესიონალზე

ლია გურეშიძე

ქუთაისის სამეცნ. ბიბლ. კონსულტანტი

# 1. წიგნი მისი ბიოგრაფიის ნაწილია



ბედნიერებაა, როცა ახერხებ, საინტერესო იყო სხვებისთვის. ქალბატონს, რომელზედაც მსურს მოგიხსნათ, სწორედ ეს ახასიათებს, მაინც, რა მომწონს მასში? ინტელიგენტურობა, კორექტულობა, ამხანაგური დამოკიდებულება, მაღალი პროფესიონალიზმი. ეს ქალბატონი გახლავთ ნორა ლომთაძე, რომელსაც მუდამ თან ახლავს შემართება, ენთუზიაზმი და წიგნისადმი უსაზღვრო სიყვარული.

დაიბადა და გაიზარდა ქ. ქუთაისში. დაამთავრა ყოფილი სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, არის ბიბლიოთეკათმცოდნე, სულ ახალბედად დაიწყო მუშაობა ქუთაისის საბიბლიოთეკო სისტემაში უმცროს ბიბლიოთეკარად. შემდეგ ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის დაკომპლექტების განყოფილების გამგედ, შემდეგ მეთოდურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, მალე გადაყავთ დირექტორის მოადგილედ საბიბლიოთეკო მუშაობის დარგში, ამჟამად კი სამეცნიერო ბიბლიოთეკის კონსულტანტია და დახმარებას უწევს დასავლეთ საქართველოს ბიბლიოთეკების მუშაკებს. დღეისათვის ქუთაისის საბიბლიოთეკო სისტემაში 200-ზე მეტი მუშაკი იღვწის, ის ყველას იცნობს და ყველა მადლიერია მისით, არის განონანსწორებული და წინდახედული, მისი სულიერი და ფიზიკური სილამაზე კარგად ერწყმის ერთმანეთს, მისგან ბევრი ვისწავლე პირადად მე, მაქვს კეთილი შური, როგორ ახერხებს გამოუვალ სიტუაციებშიც შეინარჩუნოს სიმშვიდე და მიუტევოს ადამიანს. „ნამდვილი ცოცხალი ენციკლოპედია“ – ასე უწოდებენ მას და სახელის ნაცვლად ეს შერქმეული სახელი უფრო დამკვიდრდა მის ყოველდღიურობაში.

საინტერესო მოსაუბრეა, ნაკითხი და აზრიანი უდავოდ საინტერესოა მისი პასუხები ჩვენს ყოველდღიურობაზე.

ძლივს დავითანხმე ესაუბრა ამის შესახებ.

რით აფასებთ ადამიანს? – ვეკითხები და ისიც დაფიქრებულად მპასუხობს:

– სიკეთით, ადამიანს ადამიანის გატანა უნდა შეეძლოს.

– რას ინატრებდით?

– ლამაზად მოწყობილ ბიბლიოთეკებს, ახალგაზრდობის მომარაგებას საჭირო წიგნებით.

– რა არის თქვენთვის უმთავრესი საქმე?

– წიგნი და ფიქრი. წიგნი ჩემი ბიოგრაფიის ნაწილია.

წიგნის სამფლობელოს დიასახლისს ძალიან უყვარს ნოდარ დუმბაძე. მისი ყველა წიგნი ქალბატონი ნორას სამაგიდო წიგნია. წიგნების გასაჩუქრება უჭირს, ისე ყველა გაჭირვებულის დამხმარეა. ორი ერთნაირი წიგნი თუ აქვს, იქნებ შეეღიოს. იოსებ გრიშაშვილს ვგავარო, გამიმხილა.

ტყუილი მხოლოდ ერთხელ თქვა: საჯარო ბიბლიოთეკის ყოფილ დირექტორს ქალბატონ ლილინუცუბიძეს დაგვიანების გამო საქმეზე ვიყავიო უთხრა. ლილის რას გამოაპარებდა და იმ წუთში ექსპრომტი დაადევნა:

„მე რომ ამ წუთში მოგვკვდე გავთავდე, ასე იტყვიან, უცებ მოკვდაო,

მე კი, რაც გავჩნდი ამ ქვეყანაზე, თითქმის იმ დღიდან თანდათან ვკვდები“. ქალბატონ ნორას დაგვიანება ჰქონდა მხედველობაში.

ქალბატონ ნორას რიგში ყოფნა არ უყვარს, იუმორით მითხრა: „ერთხელ დავდექი. სიყვარულის წიგნი იყიდებოდა და მაინც არ შემხვდაო“.

მცირე დოსიე:

ქალბატონი ნორა ცხოვრობს ძმასთან და რძალთან ერთად. მშობლები გარდაეცვალა. ჰყავს ძმისშვილი და ძმისშვილიშვილი – პატარა ლუკა, რომელიც მისთვის მთელი სამყაროა.

უყვარს ყვავილები, მისი ეზო ედემის ბაღს ჰგავს. სახლი რიონის სანაპიროსთანაა, ყოველდღე უწევს გავლა სახლიდან სამსახურამდე ამ გზაზე. მიდის და უსმენს რიონის დუდუნს, ლამაზ კენჭს ყოველდღე გადაუგდებს ხოლმე ტალღებს და მშვიდობას თხოვს მდინარეს ჩვენი ერისათვის.

ასეთია: მუდამ მოფუსფუსე, მკვეთრი შესტი-



კულაციით, მოლაპარაკე თბილი ინტონაციით, ყურადღებითა და სიკეთითაა მოცული მთელი მისი არსება.

ბოლო კითხვა მაინც ბიბლიოთეკასა და წიგნს ეხება. კომპიუტერი მაინცდამაინც არ იპყრობს მის ყურადღებას. თუმცა წიგნად ფონდებთან კომპიუტერული აპარატით მკითხველის დაკავშირების მომხრეა. მაგრამ მიაჩნია, რომ მაინც უმჯობესია მკითხველმა წიგნი აიღოს ხელში, მისი სურნელი იგრძნოს, ნაიკითხოს და თუ საჭიროა, გულშიც ჩაიხუტოს. აუხდენელი ოცნებაც აქვს: პედაგოგობა

უნდოდა. ეს სურვილი დღესაც ანუხებს.

ვემშვიდობები და შეკითხვას ვუსვამ: ერთი ადამიანის გაცოცხლება რომ შეიძლებოდა, ვის აირჩევდი-მეთქი, დედაო. თუმცა მეორე შესაძლებლობასაც მოითხოვს – მამაც ენატრება.

ასეთია ქალბატონი ნორა ლომთაძე. ყოველთვის მის ხელჩანთაში წიგნს რომ იპოვი, და თუ წაგაკითხებს და მოგეწონება, მის ფერმკრთალ ნაღვლიან სახეს ღიმილი ეფინება. ასეთად იცნობს მას როგორც კოლეგები, ისე ბიბლიოთეკის მკითხველთა უმრავლესობა.

## 2. ბედნიერი პროფესია

სარკეში ჩაიხედა. დაღლილ ორეულს მიაშტერდა, ერთხანს ფერმკრთალი ეჩვენა. ნაბლისფერ თმაზე გადაისვა ხელი, ყელსაბამი გაისწორა და ისევ დააქქერდა თავის ორეულს. წელთა სიმრავლესთან ერთად თანდათან შეიცვალა იგი. მხიარული და სილამაზით ნებიერი გოგო, კარგა ხანია ფიქრიანმა, დინჯმა ქალბატონმა შეიცვალა და ახლა იგი ძველებური ემმაკური ღიმილით აღარ გამოიყურება.

ბიბლიოთეკაში წიგნის სიყვარულმა მიიყვანა. იმდენად დიდი აღმოჩნდა ეს გრძნობა, რომ არც უნანია ეს არჩევანი. ამ შრომატევადი პროფესიის სიმძიმე და სიხარული პირველად მაშინ შეიცნო, როცა წიგნის ინდექსაციის დროს დაათენდა. ზოგჯერ თავგზაუბრად აბნევიდა და უგრძნობა, რომ ფიზიკურად სუსტი იყო ამ საქმისთვის, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არავისთვის გაუმხელია. მას იცნობენ თავისი საქმის საუკეთესო მცოდნედ, უყვართ და სჯერათ მისი.



ქალბატონი თინა კაშია დღეს უკვე აღარ მუშაობს ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, მაგრამ ის ახსოვთ, უყვართ, ყველა ღონისძიებაზე ინვევენ და ტკბებიან მისი საინტერესო გამოსვლებით, ეხება ეს საბიბლიოთეკო საკითხებს თუ ამა თუ იმ წიგნის განხილვას. განათლებით პედაგოგია, სადაც კი უმუშავია ახალგაზრდობის სასახლეში, საქალაქო ბიბლიოთეკებში, იყო ეს დამუშავებისა თუ დაკომპლექტების განყოფილება, შრომისმოყვარეობის და პასუხისმგებლობის მაგალითს იძლეოდა. დღის მანძილზე ზოგჯერ მის ხელში 100-ზე მეტ წიგნს გაუვლია. არასოდეს დაუშვია შეცდომა, ყოველ წიგნს კლასიფიკაცია ზუსტად ჰქონდა ჩატარებული. ის აოსტატებდა ახალგაზრდებს და არასოდეს არ იშურებდა

თავის ცოდნას მათთვის. მის სამუშაო მაგიდაზე სახლში მუდამ დევს ახალი წიგნები. რა მძიმეც არ უნდა იყოს დღევანდელი პირობები, ის წიგნს მაინც ყიდულობს და მის შინაარსზე მეგობრებს ესაუბრება. არ შეცვლილა კაკტუსები სამუშაო მაგიდასთან, რომელიც მას ჰქონდა სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. უვლიან, და რაოდენ ბედნიერად ჩათვალა თავი, როცა წიგნის კვირეულთან დაკავშირებით შეხვედრა მოუწყვეს და მისი ყვავილები იქ დაახვედრეს, სადაც დატოვა. იქვე მისი საკუთარი წიგნიც დახვდა „ვეფხისტყაოსანი“ – რომელსაც ზოგჯერ კოლეგებს უკითხავდა. 30 აპრილს უამრავი მისი მკითხველი მოვიდა სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. იყო გულთბილი სიტყვები, მილოცვები, სამახსოვრო საჩუქრები.

ღონისძიების დასასრულს, როცა მარტონი დავრჩით, ასეთი სიყვარულის გამოხატვის მერე ერთი შეკითხვა დაგუსვი: „კლდემ ერთხელ თქვა, ადამიანებო გიყვარდეთ ერთმანეთი“, თქვენ რას დაუმატებთ-მეთქი? ნამოდგა, სუსტი, ნაზი, ფერმკრთალი ქალი, რომელსაც საოცარი თვალები და სევდიანი გამოხედვა აქვს, ხელს მხვევს და ჩამჩურჩულებს: „კლდეს უკვე უთქვამს ჩემი სათქმელი“.

ქალბატონი თინა კაშია მარტო ცხოვრობს. გვიანობამდე რჩება თავის თავთან და წიგნებთან. რატომღაც ოჯახი არ შეუქმნია. იშვიათი სილამაზის ქალბატონი ერთნაირად მოსწონდა ბევრს, მან კი თანამგზავრი არ აირჩია. ბოლომდე ერთგული დარჩა სხვებზე ზრუნვისა და თავის თავზე არასოდეს არ უფიქრია. ერთგულების სწამს და სჯერა; მიაჩნია, რომ ბოლომდე მისი ერთგული წიგნებია...



კვირეული - 2008

# საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნა

წელს საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეული საკმაოდ შეფერხებებით გაიმართა, რაც გამოწვეული იყო იმ არასასურველი პირობებით, რომელშიც საბიბლიოთეკო საქმე არის მოქცეული – ბიბლიოთეკების დახურვა-შეერთებები, ბიბლიოთეკართა კონტინგენტის შემცირება, ზოგიერთ რაიონში საჯარო ბიბლიოთეკების ფუნქციების გადაცემა სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის და სხვა ხელისშემშლელი მოვლენები; ყოველივე ეს არ უწყობდა ხელს საზიემო განწყობილების შექმნას, რაც ასე დამახასიათებელია ამ დღეებისათვის. მხოლოდ რეგიონის რამდენიმე ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა შეძლო კვირეულის გახსნას დასწრებოდა. გაიხსნა ის ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (ყოფილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა) 30 აპრილს.

გახსნის პროცესი საკმაოდ შთაბეჭდავი გამოვიდა – მრავალი დამსწრე, პროფესიონალური პლაკატები, ლიტერატურის გამოფენები, მისასალმებელი სიტყვები და გამოსვლები, კორესპონდენტები, ფოტორეპორტიორები და ტელევიზია, უკრავდნენ კონსერვატორიის სტუდენტები, საგულისხმოა, რომ გახსნის პროცესში ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ საინტერესო ღონისძიებები ტარდებოდა პარალელურად, რომელთაგან განსაკუთრებით საგულისხმო იყო „უსინათლოთა და მცირემხედველთა საბიბლიოთეკო მომსახურების ცენტრის“ პრეზენტაცია.

გახსნის ცერემონიას უძღვებოდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი. შესავალ სიტყვაში მან ილაპარაკა იმ სირთულეებზე, რომლებიც ახასიათებს საბიბლიოთეკო საქმეს, მაგრამ ამავე დროს დანვრით შეეხო სასიკეთო ძვრებსაც. განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს იმ ღონისძიებებს,

რომლებიც მიმართულია მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის – აღდგენილია და შერემონტდა სოფლის არაერთი ბიბლიოთეკა, მათ გადაეცათ კომპიუტერები, შეწყდა ბიბლიოთეკების გაუქმება, იგეგმება ამ ღონისძიებების გაფართოება. ატმოსფერო ნამდვილად შეიქმნა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რაც დიდ იმედს იძლევა.


კვირეულის გახსნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მონვეულთა წინაშე სიტყვით გამოვიდნენ: გურამ თაყნიაშვილი, ნინო მეიფარიანი, ალექსანდრე ლორია, გულნარა სტურუა, ემზარ ჯგერენაია, თამარიკო ხოსრუაშვილი და სხვები.

როგორც ცნობილია, ამ ბიბლიოთეკაში, კვირეულის ფარგლებში, უფრო ადრე დაიწყო ღონისძიებების გამართვა – მოენყო ძველი ისტორიული რუკების გამოფენა, წიგნის საერთაშორისო დღეს – 23 აპრილს მიეძღვნა ამერიკის საელჩოს თანამშრომლებთან შეხვედრა. საელჩომ სხვადასხვა სახის 39 წიგნი გადასცა საჩუქრად ბიბლიოთეკას, ეს წიგნები ან საერთოდ არ არის საქართველოში, ან ძალიან მცირე რაოდენობითაა. ამერიკელ სტუმრებთან შეხვედრის დამსწრეთ მიესალმა ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, საბიბლიოთეკო საზოგადოების პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი; სიტყვით გამოვიდა ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან

ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელი ნ. ჩიფჩიური, რომელმაც მიულოცა ყველას წიგნისა და საავტორო უფლებათა დაცვის დღე. საინტერესო იყო საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნის მონაწილეთათვის ამის შესახებ ინფორმაციის მოსმენა, აგრეთვე იმის გაგება, რომ 23 აპრილი ცნობილი მწერლისა და ბიბლიოფილის იოსებ გრიშაშვილის დღეა და უნდა აღსდგეს ამ დღეს ადრე ტრადიციად ქცეული გრიშაშვილობის ჩატარება მის მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკაში.

დასასრულ გამართული „უსინათლოთა და მცირემხედველთა საბიბლიოთეკო მომსახუ-





რების ცენტრის“ პრეზენტაციის შემდეგ, რამაც დიდი ინტერესი და თანაგრძნობა გამოიწვია, გახსნისადმი გამართული ღონისძიება კიდევ დიდხანს გაგრძელდა უკვე ინტიმურ გარემოში. დამსწრენი ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებსა და მოსაზრებებს, საუბრობდნენ საჭირობოტო საკითხებზე, ეცნობოდნენ ერთმანეთის გამოცდილებას, გამოითქვა სურვილი, რომ ჟურნალმა „საქართველოს ბიბლიოთეკამ“ ადრინდებურად კვლავ გამოაქვეყნოს საქართველოში ჩატარებული საბიბლიოთეკო კვირეულისადმი მიძღვნილი ღონისძიებების საინფორმაციო მიმოხილვა.

## მასალის მიმოხილვა

კვირეულის პროგრამით ქუთაისის ი. ჭავჭავაძის სახ. სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (დირექტორი მ. გვაზავა) მოენყო შეხვედრა საქართველოს საპატიო და დამსახურებულ ბიბლიოთეკარებთან, მონვეულები იყვნენ: ჯ. იოსელიანი, თ. კაშია, ვ. ძონენიძე, ნ. რუსაძე, ა. გვაზავა. ბიბლიოთეკარების ღვაწლისა და ამაგის შესახებ ისაუბრა სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ, პოეტმა და ჟურნალისტმა ელისო ქაროსანიძემ. ბიბლიოთეკარებს მიესალმნენ: ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე ა. ხვადაგიანი, კულტურის სამსახურის უფროსი გ. თავაძე, სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი მ. გვაზავა, დირექტორის მოადგილე რ. ნაქაძე და სხვები. აღნიშნული ღონისძიებით გაიხსნა კვირეული ქუთაისის საქალაქო ბიბლიოთეკის სისტემაში. 2 მაისს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოენყო უნიკალური გამოცემების გამოფენა. 7 მაისს ამავე ბიბლიოთეკაში გაიმართა კვირეულის დახურვა, ღონისძიებაზე სიტყვებით გამოვიდნენ აკადემიკოსი ა. ნიკოლეიშვილი, კრიტიკოსი ს. არველაძე, პოეტი ზ. უჩაძე, მწერალი თ. ამყოლაძე, პოეტი და ჟურნალისტი ს. ქაროსანიძე და სხვები.

30 აპრილს, დამსახურებული ბიბლიოთეკარების შეხვედრის ღონისძიებას ახლდა მხატვრული ნაწილი. ხალხური მუსიკის საუკეთესო ნომრები საზოგადოებას წარუდგინეს მუსიკალური სასწავლებლის ფოლკლორულმა ანსამბლმა „ნაუ-ნაუმ“ (ხელმძღვანელი ქ. ბანცაძე). ქუთაისის მე-13 საქალაქო ბიბლიოთეკის გამგემ ბელა უჩაძემ საგანგებოდ დაწერილი ლექსი მიუძღვნა საპატიო და დამსახურებულ ბიბლიოთეკარებს.

კვირეულის პროგრამით ფართო მასშტაბიანი

დასაინტერესო ღონისძიებები ჩატარდა ქუთაისის საქალაქო საბიბლიოთეკებში: პოეზიის საღამო „ლექსო, ნუ დაიკარგები“ ჩატარდა №1 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. ლანჩავა). ნიგნისა და ბიბლიოთეკის დანიშნულების შესახებ ისაუბრა ბიბლიოთეკარმა ნ. კვასტიანმა. გამონათქვამები ნიგნზე წარმოადგინა 37-ე საჯარო სკოლის პედაგოგმა მ. წერეთელმა. საკუთარი ლექსები წაიკითხეს მ. მიქაბერიძემ, მ. სიმონიამ, ზ. ენუქიძემ, შ. შეყილაძემ, მ. კუპატაძემ და სხვებმა.

№4 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. ქარსელაძე) ჩატარდა ანა კალანდაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო „საქართველოო ლამაზო“. ანა კალანდაძის პოეზია მიმოიხილა სტუდენტმა ნ. გელაშვილმა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ



პედაგოგი მ. გაბიძაშვილი, სტუდენტები: მ. ხეცაძე, ს. კაპანაძე, ხ. ხაჭომია, მ. მანაგაძე და სხვები.

კვირეულის დღეებში, 2 მაისს, მე-7 საქალაქო ბიბლიოთეკას (გამგე ქ. ჩხუნაშვილი) ქუთაისის საკრებულოს გადამწყვეტილებით მიენიჭა პოეტ ზ. კუხიანიძის სახელი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიება: „ზურაბ კუხიანიძის გახსენება“, პოეზიის საღამოს ესწრებოდნენ ზ. კუხიანიძის მეუღლე რ. იოსელიანი, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლები და პედაგოგები.

ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მე-2 და 24-ე საჯარო სკოლის ნორჩმა დეკლამატორებმა. მე-10 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. კახიანი) 2 მაისს ჩატარდა ღონისძიება „ერთი ლექსის დღე“. ღონისძიება მიეძღვნა პოეტ ლ. ნუცუბიძის ხსოვნას. გულთბილი სიტყვებით გამოვიდნენ ბიბლიოთეკარები: ნ. კახიანი, ნ. ზამბახიძე, ნ. უშვერიძე, მ. უგრეხელიძე და სხვები. პოეტის ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა: თ. ჭეიშვილმა, ე. იობიძემ, ბ. გვენეტაძემ, კ. კალმახელიძემ, გ. მოსეშვილმა, თ. მსხვილიძემ და სხვებმა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სტუდენტები: ბ. ახვლედიანი, ა. კობრეიძე, მ. ბადრიაშვილი და სხვები.

6 მაისს, მე-8 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ლ. ხაჭაპურიძე) გაიმართა ლიტერატურული საღამო თემაზე „სიყვარული მუსიკაა სულისა“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქუთაისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები: ნ. არუბელიძე, ლ. ქურიძე, ს. ხურცილავა, მ. თურქაძე და სხვები. ქართული და უცხოეთის პოეტების შემოქმედება წარმოადგინეს ქართულ-ამერიკულისკოლის „პროგრესის“ აღსაზრდელებმა: ო. მარგველაშვილმა, ლ. ჩხარტიშვილმა, თ. გავაშელაშვილმა, ა. ხუციშვილმა და სხვებმა. ღონისძიებაში სიტყვები წარმოსთქვეს: ქუთაისის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ კ. ნემსინვერიძემ, ქუთაისის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა მ. თავაძემ, სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორმა მ. გვაზავამ, პოეტმა და ჟურნალისტმა ე. ქაროსანიძემ, ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ რ. ნაქაძემ და სხვებმა.

მე-11 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. გეგიძე) გაიმართა დისპუტი თემაზე „ორი სხვადასხვა თვალსაზრისი: – თარაშ ემხვარი და არზაყან ზვამბაია“. მოხსენებით გამოვიდნენ მკითხველები გ. რამიშვილი, მ. ჩაფიძე, ი. კუპრაშვილი, სტუდენტი მკითხველები, ბიბლიოთეკარები. კ.

გამსახურდიას ქუთაისში სტუმრობის შესახებ ვრცლად ისაუბრა სამეცნიერო ბიბლიოთეკის კონსულტანტმა ლ. გურეშიძემ.

ქუთაისის მე-14 საქალაქო ბიბლიოთეკამ (გამგე დ. ბობოხიძე) მოაწყო გასვლითი ღონისძიება გელათის სამონასტრო კომპლექსში. ღონისძიების თემა იყო „ოდესმე ძლიერი ყოფილა საქართველო“. ამ თემაზე ვრცლად ისაუბრა მე-40 საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგმა ჯ. ქაშიბაძემ. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სტუდენტები: ნ. წიქარიშვილი, მ. ჩიხლაძე, თ. ჩხეიძე, მოსწავლე ს. მამრიკიშვილმა წაიკითხა საკუთარი ლექსი.

მე-3 და მე-17 საქალაქო ბიბლიოთეკებმა (გამგეები ნ. ჩხუნაშვილი, ა. გოგესაშვილი) ჩაატარეს ერთობლივი ღონისძიება „კიდევ უფრო, კიდევ უფრო იღორძინე საქართველო“. მონაწილეობდნენ მე-4 საჯარო სკოლის ნორჩი პოეტები: ა. სანდუხაძე, თ. ლალიძე, მ. არაბიძე



და სხვები. საინტერესო იყო ჟურნალისტ ც. ნურნურმიას და მწერალ თ. ამყოლადის მოხსენება უცხო თვალთ დანახული საქართველოს შესახებ. ღონისძიებას ესწრებოდა მწერალ დ. კვიციანიძის შვილი ი. კვიციანიძე, რომელმაც მე-17 საქალაქო ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა დ. კვიციანიძის წიგნები.

მე-18 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. გელაშვილი) სპეციალური ღონისძიებამიეძღვნა კვირაცხოვლობას. ბიბლიოთეკის კურთხევა ჩაატარა ქუთაისის ღვთისმშობლის სამების სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა დეკანოზმა გიორგიმ. მანვე მკითხველებს ამომწურავი პასუხები გასცა რელიგიის შესახებ არსებულ საკითხებზე.

22-ე საქალაქო ბიბლიოთეკამ (გამგე რ. კვენეტაძე) შეხვედრა მოუწყო პოეტ ც. შალაშვილს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სტუდენტები, პედაგოგები ხ. ლობჯანიძე, დ. უშვერიძე. პოეტის ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა ს. ასათიანმა და ა. მაჭავარიანმა.

24-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ც. მხეიძე) გაიმართა ლიტერატურული საღამო თემაზე „ქუთაისო, სიყვარულო და ოცნებავ ჩემო“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მწერლები: ა. ყურაშვილი, ც. ყურაშვილი, პოეტები: ნ. გვიტიძე, ნ. ახობაძე და სხვები. აღნიშნული საქალაქო ბიბლიოთეკა იმავე დროს არის ა. სინაურის სახელობის ლიტერატურული სახლი. ა. სინაურმა ბიბლიოთეკას აჩუქა საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს 10.000 ტომს. აღნიშნულ ბიბლიოთეკაში ხშირად იმართება ლიტერატურული შინაარსის ღონისძიებები.



25-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ც. სანდუხაძე) გაიმართა ღონისძიება თემაზე „შეხვედრა ნაირა გელაშვილის ლიტერატურულ პერსონაჟებთან“. პოეტის ლიტერატურული პერსონაჟის სახეები წარმოადგინეს პედაგოგებმა ი. ბარაბაძემ, თ. კანდელაკმა, ო. შალამბერიძემ. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სტუდენტები: თ. ყიფშიძე, ლ. კაკულია, ე. ნატროშვილი და სხვები.

მე-19 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. ნიტაიშვილი) ჩატარდა ღონისძიება თემაზე „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყნაზედა“. ამ დღეს ბიბლიოთეკის დარბაზი ლამაზად იყო გაფორმებული, მოეწყო გამოფენები, რომელთაც ამშვენებდა მაისის ვარდები. ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკასთან არსებული ლიტერატურული წრის წევრები ს. და მ. თაკალანძეები, ს. ჯანჯღავა, ნ. და მ. ხაზარაძეები, ნ. ჯანაძე, გ. ჩაკვეტაძე, ქ. სვანაძე და სხვები.

მკითხველებთან ერთად ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სამეცნიერო ბიბლიო-

თეკის თანამშრომლები: ნ. ლომთაძე, ლ. გურეშიძე, ც. ფოფხაძე.

მე-20 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. ლეკვიშვილი) ჩატარდა ლიტერატურული საღამო თემაზე „ენა დედაა და უკვდავება ერისა“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები, პედაგოგები. ქართული ენისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა: თ. ბარაბაძემ, ნ. ხვადაგიანმა, მ. არახამიამ, კ. კუხუსმა, დ. ჩაგვაძემ და სხვებმა.

კვირეულის დღეებში საინტერესო ღონისძიებები გაიმართა ქუთაისის საბავშვო ბიბლიოთეკებში.

№9 საქალაქო-საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე ქ. სვანიძე) 2 მაისს ჩატარდა ლიტერატურული საღამო თემაზე „ქართული ხალხური ფოლკლორი“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები: ნ. გამყრელიძე, ს. ბოგვერაძე, ა. დევდარიანი, ს. ბანძელაძე და სხვები; ნორჩ მკითხველებს წიგნისა და ბიბლიოთეკის შესახებ ესაუბრნენ ბიბლიოთეკარები: ც. ფურცხვანიძე და ნ. მალლაკელიძე.

მე-4 საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. აბზიანიძე) გაიმართა ლიტერატურული საღამო თემაზე „სანამდის არ აფრინდება, არავინ ერჩის მწყერს“. (ფიქრები მორის ფოცხიშვილის პოეზიაზე). პოეტის შემოქმედება წარმოადგინეს ნორჩმა დეკლამატორებმა: ი. მგალობლიშვილმა, მ. ბიბიჩაძემ, ბ. ზივზივაძემ და სხვებმა.

მე-5 საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე თ. ნარჩემაშვილი) გაიმართა მკითხველთა კონფერენცია თემაზე „თომას მანი და საქართველო“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ გერმანული კლუბის წევრები: ხ.ბალიშვილი, ნ. მარუაშვილი, მ. ქობულაძე, გ. გვენეტაძე და სხვები. მე-7 საჯარო სკოლის პედაგოგმა ნ. სანიკიძემ ვრცლად ისაუბრა გერმანია-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. კ. გამსახურდიასა და თ. მანის მეგობრობის შესახებ ვრცლად ისაუბრეს სტუდენტებმა ი. იობაძემ, ე. აბუთაძემ, ა. ჯანჯღავამ და სხვებმა.

№19 საბავშვო ფილიალში 6 მაისს მოეწყო ექსკურსია „ერთი დღე წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის შემოგარენში“. მოსწავლეებმა და მშობლებმა დაათვალიერეს ბაგრატის ტაძარი. ღონისძიებასთან დაკავშირებით მოეწყო გამოფენები „საქართველოს ისტორიული ძეგლები“, „მამული, ენა, სარწმუნოება“, ღონისძიების ორგანიზატორი იყო ფილიალის გამგე შ. მეზუკე.

მე-8 საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. ბენდელიანი) ჩატარდა ლიტერატურულ-მხატვრული



კომპოზიცია თემაზე „ნიგნია ჩვენი მოძღვარი ბრძენი“. ღონისძიება ჩატარდა 2 მაისს, მასში მონაწილეობდა 20-ზე მეტი აქტიური მკითხველი. ნორჩ მკითხველებს თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს ლ. გურგუშიძემ, ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა. ლიტერატურულ კომპოზიციაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები: მ. ვაჭარაძე, მ. გაჩეჩილაძე, მ. ხვედელიძე და სხვები.

მე-17 საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგე ა. ფრანგიშვილი) მოენყო შეხვედრა ბიბლიოთეკის მიკრორაიონში მცხოვრებ ახალგაზრდა პოეტებთან: ს. შვანგირაძესთან, ე. ქაჯაიასთან, ა. გიორგაძესთან და ი. ყურაშვილთან. პოეტების შემოქმედების შესახებ ისაუბრა ბიბლიოთეკარმა ი. მუშკუდიანმა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მკითხველები: ლ. თუთარაშვილი, ს. ნარუშელაშვილი, მ. სვანიძე, მ. გეგეშიძე და სხვები.

კვირეულის დღეებში შინაარსიანი ღონისძიებები ჩატარდა მცხეთის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი ნ. თათარაშვილი). კვირეული გაიხსნა 18 აპრილს მცხეთის სპორტულ დარბაზში. პირველ დღეს ჩატარდა ვიქტორინა-კონკურსი „რა ვიცით ქართული წიგნის შესახებ“. კონკურსში მონაწილეობდა მცხეთის რაიონის საჯარო სკოლების მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეები, რომლებიც ოთხ გუნდად იყვნენ გაყოფილი. ჟიურიმ კონკურსში გამარჯვებულად ცნო მუხრანის №1 საჯარო სკოლის გუნდი „ცისარტყელა“. გამარჯვებულებს გადაეცათ დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

22 აპრილს მკითხველთა სურვილის გათვალისწინებით მოენყო გასვლითი ღონისძიება

მცხეთის დედათა მონასტერში მწერალ გოდერძი ჩოხელის საფლავთან.

30 აპრილს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა კონკურსი მხატვრულ კითხვაში. მონაწილეობდა 40 ბავშვი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით. 5 მაისს ჩატარდა ინტელექტუალური კონკურსი „ცხრაკლიტული“. მასში მონაწილეობდნენ მცხეთის, მუხრანის, წილკნისა და საგურამოს საჯარო სკოლების მოსწავლეები. 22 აპრილს წილკნისა და ერედის სასოფლო ბიბლიოთეკებში (ბიბლიოთეკარები ვ. პირმისაშვილი და ნ. დალაქიშვილი) ჩატარდა ვაჟა-ფშაველას საიუბილეო საღამო: „გიყვარდეთ, კაცნო, ერთმანეთი“. 23 აპრილს ძალისის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. სიმონაშვილი) ჩატარდა ტიცციან ტაბიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო: „მე დავიბადე აპრილის თვეში“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ პედაგოგები, მოსწავლეები.

24 აპრილს ვაზიანის სასოფლო ბიბლიოთეკაში (გამგე ნ. ბუთხუზი) ჩატარდა ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა ი. გოგებაშვილის „ქართული ანბანის“ გამოცემიდან 143-ე წლისთავს.

26 აპრილს ძეგვის სასოფლო ბიბლიოთეკამ (გამგე ნ. იშხანიშვილი) ლიტერატურული საღამო მიუძღვნა ი. ნონეშვილის შემოქმედებას. ეს იყო პოეზიის ლამაზი საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსწავლეები და პედაგოგები.

30 აპრილს ქსნის სასოფლო ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარი ე. ჯავახიშვილი) ჩატარდა ღონისძიება თემაზე „ჩვენი ენა, ჩვენი დედა, ჩვენი ტკბილი ქართული“. ნაიკითხეს ქართული ენისადმი მიძღვნილი ლექსები, შესრულდა სიმღე-



რები.

1 მაისს ძალისის სასოფლო ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარი რ. მელიქიშვილი) ჩატარდა მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“. 5 მაისს საინტერესო ღონისძიებები ჩაატარეს საგურამოსა და არაშენდის სასოფლო ბიბლიოთეკებმა (ბიბლიოთეკარი თ. მათურელი, ე. რაზმაძე).

წიგნისა და ბიბლიოთეკის დანიშნულებას მიეძღვნა საინტერესო ღონისძიება მცხეთის საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. ქორიძე). ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მცხეთელი მოსწავლეები, აქტიური მკითხველები: ბ. ორკოდაშვილი, ნ. სოზაშვილი, ზ. არეშიძე, ს. იმერლიშვილი და სხვები. მკითხველები, პედაგოგები, დამსწრე საზოგადოება ერთსულოვანი იყო იმაში, რომ წიგნს ვერ შეცვლის კომპიუტერი, რომ წიგნი არის ერთ-ერთი საოცრება. ღონისძიებაზე შედგა ლ. შალიკაშვილის წიგნის „მოგზაურობა საქართველოში“ პრეზენტაცია. წარმოდგენილი წიგნის შესახებ ისაუბრეს მკითხველებმა: ნ. მრევლიშვილმა, ლ. ხატისაშვილმა, ე. მრევლიშვილმა, მ. კახელიშვილმა და სხვებმა. კვირეულის პროგრამით მცხეთის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგმა ანა იმერლიშვილმა ჩაატარა საბიბლიოთეკო გაკვეთილი ხელოვნებაში, შეკითხვებს პასუხობდნენ მე-10 კლასის მოსწავლეები.

15 აპრილს მოეწყო პოეზიის საღამო-კონკურსი მხატვრულ კითხვაში, რომელშიაც მონაწილეობდა 14 მკითხველი. კონკურსში გამარჯვებულად ცნეს და ფასიანი საჩუქრები გადასცეს ს. ბადაგიძესა და თ. იმერლიშვილს. უნდა აღინიშნოს, რომ, საერთოდ, მცხეთის საბიბლიოთეკო გაერთიანება, თითოეული ბიბლიოთეკა, პროფესიონალი ბიბლიოთეკარი ყოველ წელს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან კვირეულის ჩატარებას. განსაკუთრებული ძალისხმევით გამოირჩეოდნენ წელს საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარები ნ. ოსიტაშვილი, ნ. ცალქალამნიძე, მ. ქორიძე და სხვები. კვირეულის მასალები ორგანიზებულად მოგვანოდა ცენტრალური ბიბლიოთეკის მეთოდური განყოფილების გამგემ მ. ზარიძემ.

ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი ლ. ჩაჩუა) კვირეულის პროგრამით ჩატარდა საინტერესო ღონისძიებები: სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკამ ჩაატარა მკითხველთა კონფერენცია თემაზე „უნიგნოდ გამოქვაბულში დავბრუნდებით“, ღონისძიებები ჩაატარეს ახალდაბის, ქვაბისხევის, წაღვერისა და სხვა სასოფლო ბიბლიოთეკებმა.

თიანეთის მთავარი ბიბლიოთეკაში (დირექტორი ს. გოინჯილაშვილი) 10 აპრილს ჩატარებული ღონისძიება მიეძღვნა 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას, კერძოდ, თიანეთის რაიონის მკვიდრის ნოდარ ჯანგირაშვილის გმირულ სახეს. მის გასახსენებლად მოსულ მკითხველებს სევდანარევი შეხვედრა მოუწვევს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ალაზა ხაიაურმა წაიკითხა ნ. ჯანგირაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი.

30 აპრილს მთავარ ბიბლიოთეკაში მოეწყო ბიბლიოთეკარებისა და მკითხველების შეხვედრა ღვანლმოსილ ბიბლიოთეკარებთან: ზ. ნაკვეთაურთან, მ. ფრიდონიშვილთან, ე. აბრამიშვილთან, ც. ნონიაშვილთან, ც. გოჯიაშვილთან და პ. ხრანაულთან.



საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელში მიმდინარე წლის საბიბლიოთეკო კვირეულის პროგრამით შინაარსიანი ღონისძიებები ჩატარდა. თითოეული მათგანი გამორჩეოდა დღევანდელი მთავარი მიზნობის პათოსით. ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ საბიბლიოთეკო გაერთიანებები: ხაშურის (დირექტორი დ. გელაშვილი), ხარაგაულის (დირექტორი ბ. სახვაძე), ბათუმის (დირექტორი გ. მახარაძე), გორის (დირექტორი გ. აბრამიძე), თელავის (დირექტორი მ. წიკლაური), ერედვის (დირექტორი ც.



ლაზარიაშვილი), კასპის (დირექტორი ე. ჩადუნელი), მცხეთის (დირექტორი ნ. თათარაშვილი), წყალტუბოს (დირექტორი ს. სვანიძე), რუსთავის (დირექტორი მ. ამბროლაძე), დუშეთის (დირექტორი ი. წამალაძე), გურჯაანის (დირექტორი მ. გლურჯიძე), თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (დირექტორი ნ. ყარაულაშვილი).

4 მაისს კვირეულის პროგრამით თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (დირექტორი ი. ღარიბაშვილი) ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია დევიზით „საბიბლიოთეკო საქმის განვითარება“ (მოცემულია ცალკე კორესპონდენციაში).

საინტერესო და გამორჩეული იყო თავისი შინაარსითა და ორგანიზაციული თვალსაზრისით ჩატარებული ღონისძიებები ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (დირექტორი ი. ღარიბაშვილი). ამ ბიბლიოთეკაში რამდენიმე თემა იქნა წარმოდგენილი (იხ. ცალკე კორესპონდენციაში).

2 მაისს ალ. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თაოსნობით მოეწყო კომპლექსური ღონისძიება (პასუხისმგებელი თ. ხოსრუაშვილი) „ფრანგული მედიცინის დღე“, დოკუმენტური ფილმების ჩვენება, მედიათეკის ფონდის წიგნების გამოფენა.

15 აპრილიდან 10 მაისამდე გერმანიის კულტურის ცენტრში (გოეთეს ინსტიტუტი) მოეწყო გამოფენა „თანამედროვე საბავშვო წიგნების ილუსტრაციები“ და „კითხვის

საათი“. ღონისძიებას ხელმძღვანელობდა ე. წერეთელი.

5 მაისს ავსტრიულმა ბიბლიოთეკამ (დირექტორი მ. ვალდავაძე) ჩაატარა ნათელა ხუციშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

კვირეულის დღეებში შინაარსიან ღონისძიებებს ატარებს ქ. თბილისის საჯარო სკოლები; სამწუხაროდ, რედაქციას ამჟამად არ გააჩნია ამ ღონისძიებათა ამსახველი მასალები. ჩვენთან წარმოდგენილია მხოლოდ 182-ე საჯარო სკოლის (დირექტორი ა. ჩხაიძე, ბიბლიოთეკარი ნ. ასთავიშვილი-გოგობია) მიერ ჩატარებული ღონისძიებების მასალები. ღონისძიება მიეძღვნა გ. ლეონიძის პოეზიას, პოეტის ლექსები წაიკითხეს მოსწავლეებმა თ. თექეთუაძემ, მ. მაჭარაშვილმა, დ. ბინაძემ, ნ. ბადრიაშვილმა, ქ. ქეთელაურმა, დ. გოგობიამ, ე. ნასყიდაშვილმა, მ. ჯაკობიამ, ნ. ლიპარტელიძემ და სხვებმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სკოლის პედაგოგები, მკითხველები, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის წამყვანი სპეციალისტი თ. იოსავა, ღონისძიებაზე სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებს გადაეცათ კომპიუტერები.

მიუხედავად ობიექტური სირთულეებისა, შეიძლება ითქვას, საბიბლიოთეკო კვირეულმა დიდი როლი ითამაშა ბიბლიოთეკებისა და საზოგადოების ურთიერთდაკავშირების გააქტიურების საქმეში.

*მიმოხილვა მოამზადა  
გურამ თაყნიაშვილმა*



# კვირულის ფინალი

მიმდინარე წელსაც მთელი საქართველოს მასშტაბით 23 აპრილიდან მოყოლებული, სხვადასხვა რეგიონებსა და დაბა-ქალაქებში იმართებოდა ღონისძიებები საბიბლიოთეკო კვირულის პროგრამით. მართალია, ოფიციალურ რად კვირულის 23-30 აპრილის ფარგლებშია ნაგარაუდები, მაგრამ სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო, ზოგან ბიბლიოთეკები გვიან იწყებენ კვირულის აღნიშვნას, რაც სავსებით დასაშვებია. მთავარია, კვირულთან მიახლოებით ვადებში, ყველა ბიბლიოთეკამ გამართოს ორი მნიშვნელოვანი ღონისძიება – ნიგნის საერთაშორისო დღისა და ბიბლიოთეკარის დღისადმი. უმთავრესი მიზანია: ბიბლიოთეკამ შეახსენოს საზოგადოებას თავი, დაამყაროს მომხმარებლებთან მჭიდრო ურთიერთობა, მისცეს მათ იმპულსი, გაუძლიეროს კულტურული მოთხოვნები, შექმნას ნიგნის გარემო, ხელი შეუწყოს კითხვის კულტურის ამაღლებას, ინტერესი აღუძრას მოსახლეობას ბიბლიოთეკისადმი.

ამ თვალსაზრისით, ბევრი ბიბლიოთეკის ღონისძიება საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა, მიუხედავად იმისა, თურავადებში იქნა ის ორგანიზებული. როგორც ჩვენი ჟურნალის მიმოხილვიდან ჩანს, ბევრმა ბიბლიოთეკამ, რამდენადაც ჩვენთვის მოწოდებული კორესპონდენციებიდან შევიტყვეთ, ღირსეულად შეასრულა თავისი მისია. თუმცა, არ შეიძლება არ ითქვას, რომ კვირულის წელს საგრძნობლად დაბალ დონეზე ჩატარდა, ვიდრე სხვა წლებში და შედეგებიც ნაკლებეფექტური იყო. რაც ყველაზე მეტად სავალალოა, აღინიშნა, რომ დაბალი იყო აქტივობა. ეტყობა, საქმის ორგანიზატორებმა დააკლეს ხელი მას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიბლიოთეკების მიმართ ჩატარებულმა შეუსაბამო სამთავრობო მოქმედებებმა და ქვეყნად შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ არჩევნებთან დაკავშირებით, აგრეთვე საჭირო სახსრების უქონლობამ, ბიბლიოთეკების დიდი მასშტაბებით შემცირებებმა და უსაფუძვლო რეკონსტრუქციებმა, რაც ადრე ჩატარდა, თავისი გავლენა იქონია. ეს საბიბლიოთეკო ასოციაციასაც დაეტყო, სადაც თავი იჩინა ერთგვარმა დაქსაქსულობამ და ინიციატივიანობის შენელებამ.

ყოველგვარი შეჭირვების მიუხედავად, გვიან, მაგრამ მაინც მოხერხდა კვირულის დახურვა. ის წინასწარდაგეგმილად დაემთხვა თბილისში გამართულ ნიგნის ფესტივალს, რომელიც 28-29 ივნისს მოეწყო.


29 ივნისს დიდუბის საგამოფენო პავილიონის ღია სხდომათა დარბაზში თავი მოიყარეს ბიბლიოთეკარებმა, მათმა ხელმძღვანელებმა, დამსწრე-დამთვალეირებლებმა, გამგეობის წევრებმა. ასოციაციამ ღიად გამოფინა თავისი გამოცემები და ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ ახალ-ახალი კომპლექტები.

მოწვეულ ბიბლიოთეკარებს, მათ ხელმძღვანელებსა და აქტიურ მკითხველებს მიესალმა საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი, სიტყვით გამოვიდნენ: გამგეობის წევრები გულნარა სტურუა და თამარიკო ხოსრუაშვილი, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარი რედაქტორი ალექსანდრე ლორია, აგრეთვე სხვადასხვა ბიბლიოთეკების წარმომადგენლები. ასოციაციის წევრი ბიბლიოთეკები, რომლებმაც მიმდინარე წელს მიიღეს მონაწილეობა საბიბლიოთეკო კვირულში, დაჯილდოვდნენ ნიგნებით.

კვირულის დახურვისას გამომჟღავნდა ბევრი ნაკლი და დადებითი; დაისახა სამომავლო გეგმები, გამოჩნდა პერსპექტივები, შედეგების შეჯამებისას აღიარებულ იქნა, რომ ამგვარი ღონისძიების ჩატარება მეტ ყურადღებას, ენერგიულობასა და ორგანიზაციას მოითხოვს.

კვირულის დახურვისას გამომჟღავნდა ბევრი ნაკლი და დადებითი; დაისახა სამომავლო გეგმები, გამოჩნდა პერსპექტივები, შედეგების შეჯამებისას აღიარებულ იქნა, რომ ამგვარი ღონისძიების ჩატარება მეტ ყურადღებას, ენერგიულობასა და ორგანიზაციას მოითხოვს.

*მიომხილველი*





## კორესპონდენციები

ზეინაბ ჟიჟილაშვილი

## ერთი ლამაზი დღე

ზაფხულის მშვენიერი დღე იყო. თეთრი ყვავილებით მორთული დარბაზი, საზეიმო განწყობილება, სტუმრების მოლოდინი და ამით გამოწვეული ფუსფუსი... ასე გამოიყურებოდა 4 ივლისის თბილისის მთავარი სამოქალაქო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი.

საქართველოს ქალთა საბჭოსა და მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონის ინიციატივით გაიმართა შეხვედრა ცნობილ ქართველ მწერალ ნანა კანდელაკთან.

ვის არ შეხვდებოდით ამ საღამოზე: მწერლებს, პოეტებს. მეცნიერებს, მხატვრებს, საბიბლიოთეკო დარგის ღვაწლმოსილ ადამიანებს.

სავსედარბაზში შემოდის სანდომიანი, თავმდაბალი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, მრავალი ჭირვარამგამოვლილი, მრავალი კარგის მომსწრე, მადლით სავსე, უსაზღვრო ენერჯის მქონე, გასაოცარი ქალბატონი ნანა კანდელაკი. დარბაზი ტაშით შეეგება სასურველ სტუმარს.

საღამო გახსნა პოეტმა-ჟურნალისტმა ლინა ბარათაშვილმა. მან აღნიშნა, რომ აქ ამ საღამოზე თითქმის მთელი საქართველოა წარმოდგენილი თავისი ტრადიციებით, თავისი ნიჭით, თავისი სიხარულით და სევდით, თავისი ძალისხმევით. ეს არის სიცოცხლე ჩვენი ერისა – ღვთისგან დალოცვილი და კურთხეულია.

აუდიტორიის წინაშე სიტყვებით წარსდგენ „მადლიერთა სახელით“ – პოეტი ემზარ კვიციანიშვილი, პოეტი შარლოტა კვანტალიანი, ჟურნალისტი ნანული ბუკია, პროფესორი გურამ ბედოშვილი, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქტორი ალექსანდრე ლორია, მწიგნობართა ასოციაციის წარმომადგენელი დარეჯან კაციტაძე, მხატვარი ნელი ოქროპირიძე, ჟუჟუნა მაჭავარიანი, ლამარა მდივნიშვილი, ისინი ამავე დროს ეხებოდნენ მწერლის წაწარმოებებს და იმ გამოცემებს, რომლებიც ამ ბოლო დროს გამოაქვეყნა

ქ-ნ ნანამ.

საღამოს თავისი ელფერი შესძინა მომღერალმა მარია მარველაშვილმა. სკოლის მოსწავლემ თავო ამირხანაშვილმა წაიკითხა დავით გურამიშვილის ლექსი „იესო“. არცერთი მონაწილე არ დარჩენილა გულგრილი ამ მშვენიერი შეხვედრის მიმართ. განსაკუთრებით სახალისო იყო ქ-ნ ნანას მემუარული მოგონებები ჩვენს სახელოვან მწერლებზე, რასაც გამოსვლებს შორის მისგან ისმენდნენ დამსწრენი.

დასასრულს ისევ მან გაიხსენა თავისი განვლილი ცხოვრებიდან საუკეთესო ეპიზოდები, რამაც საშუალება მისცა მსმენელებს, შეეცნოთ, როგორი ცხოვრების გზა განვლო ჩვენმა სასახლო მწერალმა ქალბატონმა.

ბოლოს ქალბატონმა ლინა ბარათაშვილმა „მადლიერთა სახელით“ დალოცა ქალბატონი ნანა. უსურვა მრავალი წლის განმავლობაში კიდევ შეინარჩუნოს ის მაღალი ინტელექტუალური დონე, შემოქმედებითი დახვეწილობა და მწერლური ეთიკა, რომლითაც ქალბატონ ნანას დღეს შეუძლია

იამაყოს.

ამჟამად, როდესაც საქართველო უდიდესი საფრთხის წინაშე იმყოფება, როდესაც მას ტერიტორიული დაშლით, პოლიტიკური განადგურებითა და ეკონომიკური დაკნინებით ემუქრება გარეშე მტერი, როდესაც მორალური პრინციპების დაქვეითება, სულიერი სიმდიდრის გაძარცვა და მრავალი სიცოცხლის დაკარგვაც კი შეიძლება მოჰყვეს განუწყვეტელ შინაურ არეულობას, როდესაც ათი ათასობით ქართველი ტოვებს სამშობლოს, თქვენ, ქალბატონო ნანა ასრულებთ კეთილშობილურ მისიას, მიაწოდოთ თქვენს მკითხველს ქვეყნისა და თანამემამულეებისადმი პატივისცემით განმსჭვალული სიტყვა, შესთავაზოთ მათ გონივრული, ობიექტური და სამართლიანი საკამათო ასპარეზი და გაახსენოთ ის ვალდებულება, რომელიც ყველას გვაკისრია – ეს




არის ვალდებულება – ჩვენი ძალები მოვახმაროთ ჩვენს გაერთიანებას, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას და მისი ადგილის განმტკიცებას მსოფლიო ხალხთა ოჯახში. ეს არის აგრეთვე ვალდებულება, შევინარჩუნოთ ჩვენი კულტურა და ასევე ვეზიაროთ სხვა ხალხთა კულტურას, რათა უკეთესად გამოვადგეთ ჩვენს თავსაც და ჩვენს ქვეყანასაც. მინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება და სიხარული თქვენ, და თქვენთან ერთად ყველა მონაწილეს და ყველა იმ თანამემამულეს, ვისაც ახსოვხართ და ვისაც მუდამ ემახსოვრებით.

ეს ლამაზი დღე დიდხანს ემახსოვრება ყველა მონაწილეს.



ციცინო ქველიძე

## უსინათლოთა და მცირემხედველთა საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი



როგორც ცნობილია, დიდი ხანია არსებობს უსინათლოთა და მცირემხედველთა ასოციაცია, რომლის დევიზია – „უსინათლოები საზღვრების გარეთ“. ასოციაცია გამუდმებით ზრუნავს უსინათლო და მცირემხედველ ადამიანებზე, რათა მათ გაუადვილდეთ ცხოვრების პირობებთან შეგუება, თავი სრულყოფილ პიროვნებად იგრძნონ. სწორედ ამ ზრუნვის ერთ-ერთი შედეგია ბიბლიოთეკებში მათი მომსახურების ცენტრების შექმნა. თუ ადრე უსინათლოთა საზოგადოებასთან არსებობდა სპეციალიზირებული ბიბლიოთეკა, რომელიც, თუ არ ვცდებით, ერთადერთი იყო საქართველოში, ახლა კურსი აღებულია იქეთკენ, რომ ყოველი ბიბლიოთეკა თუ არა, ჩვენი დიდი, ცენტრალური და მთავარი ბიბლიოთეკები გახდნენ უსინათლოთა და მცირემხედველთა მომსახურე ცენტრებად.

ადრე უკვე შეიქმნა ამ კატეგორიის მკითხველებისათვის საბიბლიოთეკო მომსახურების ცენტრები საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ქუთაისის სამეცნიერო უნივერსალურ ბიბლიოთეკებში. ამჟამად ასეთი ცენტრი გაიხსნა საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთანაც. ცენტრის პრეზენტაცია მოენყო სწორედ ამ ბიბლიო-



თეკაში საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნის დღეს. ცენტრი ამა წლის იანვარში შეიქმნა და აქამდე მისი სათანადოდ აღჭურვა და მომხმარებელთა მისაღებად მომზადება მიმდინარეობდა, როგორც პრეზენტაციაზე აღნიშნა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორმა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელიც პრეზენტაციას უძღვებოდა, ცენტრი დაფუძნდა ხსენებული ბიბლიოთეკისა და ასოციაცია „უსინათლოები საზღვრების გარეშე“ ერთობლივი ძალისხმევით.

ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერებით, უსინათლოებისათვის ადაპტირებული საპროგრამო უზრუნველყოფით, აქვს ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნები და სხვა საჭირო აპარატურა.

ადაპტირებული პროგრამული უზრუნველყოფა „ბუ“ საშუალებას იძლევა უსინათლოებმა მოისმინონ წიგნების ტექსტები ქართულ, რუსულ,

პრესასა და მედიასთან, სხვადასხვა ორგანიზაციებთან, დამოუკიდებლად ბიბლიოთეკაში „ხმოვანი წიგნები“-ს ჩანერა, დიგიტალიზაციის შედეგად ბიბლიოთეკაში შექმნილი ელექტრონული დოკუმენტების გამოყენება, ურთიერთკავშირის დამყარება ანალოგიურ ბიბლიოთეკებთან, უცხოეთის ამგვარი ცენტრების გამოცდილების გაზიარება და ა. შ. სასურველადაა მიჩნეული ურთიერთობის დამყარება სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებთან, ინვესტორების მოზიდვა და საზოგადოებასთან კავშირი.

პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოება დიდი გულისყურით მოეკიდა ყოველივე ამას და თავისი დამოკიდებულება გამოხატა ამ მოვლენისადმი. გაისმა მხარდამჭერი და თანაგრძნობის გამომხატველი სიტყვები.

პრეზენტაციაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ცენტრის ხელმძღვანელი ბ. სონლულაშვილი, რომელმაც სათანადო აპარატურის გამოყენების დემონსტრაციაც მოაწყო. საცდელად ერთ-ერთმა




უსინათლო მომხმარებელმა დამოუკიდებლად გამოიყენა აპარატურა „ხმოვანი წიგნის“ მოსასმენად. დაისვა მრავალი შეკითხვა, რაზედაც სპეციალისტები იძლეოდნენ პასუხს.

ჩვენი აზრით, ყველა საჯარო ბიბლიოთეკას თავისებურად შეუძლია მოემსახუროს ამ კატეგორიის მკითხველებს, თუკი იქნება ამგვარი მოთხოვნილება; ეს, უდავოდ, დიდი დადებითი მოვლენა იქნება ჩვენი ბიბლიოთეკების საქმიანობაში.

ინგლისურ და სხვა ენებზე. ცენტრს თავის ფონდში აქვს 1.000-მდე ქართული და 30.000-მდე რუსული ელექტრონული დოკუმენტი, აგრეთვე ინგლისური ტექსტები. აქ თავმოყრილია 1.500 საათიანი აუდიო ჩანაწერები ლაზერულ დისკებზე. მცირემხედველთ, მხედველობადაქვეითებულ პირებს პროგრამა „ზუმტექსტის“ საშუალებით შეუძლიათ ნებისმიერად გაადიდონ შრიფტი და ამგვარად იკითხოონ.

ცენტრს, როგორც ხელმძღვანელებისაგან მოვისმინეთ და როგორც სათანადო ბუკლეტებშიც არის გაცხადებული, რომელიც პრეზენტაციასთან დაკავშირებით გამოიცა, აქვს მეტად კონკრეტული გეგმები, რომლებიც პერსპექტივებს სახავს: კავშირის დამყარება გამომცემლობებთან, თანამშრომლობა



ციცო ქველიძე

# საინტერესო კოლექსიათა გამოფენა და პრეზენტაცია

საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში საბიბლიოთეკო კვირეულის პროგრამით მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 145 წლისთავისადმი მიძღვნილი პირადი ბიბლიოთეკის გამოფენა, რომელიც ამ წლის 5 მაისს გაიხსნა.

როგორც ცნობილია, ექვთიმე თაყაიშვილმა თავისი პირადი წიგნები, რომელთა რაოდენობა 3600-ს შეადგენდა, ანდერძით საჩუქრად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას (ამჟამად ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა) დაუტოვა. ძირითადად ეს არის ლიტერატურა საქართველოს ისტორიარქეოლოგიის შესახებ. უმეტესად არის პარიზში, პეტერბურგსა, ვენასა და გერმანიაში გამოცემული უნიკალური წიგნები და ალბომები. გარდა ამ წიგნებისა, აქ თავმოყრილია ცნობილი ქართველი მოღვაწეების ავტოგრაფიანი წიგნები, მათგან შეიძლება დავასახელოთ კალისტრატე ცინცაძის, ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძის, აკ. შანიძის, ივ. ჯავახიშვილის, ნ. პოლტორაძის, ლ. გუდიაშვილის და სხვათა ხელით შესრულებული მიძღვნილი წარწერები. აქვეა ე. თაყაიშვილის ქუდიც.

მეორე ღონისძიება მიეძღვნა ცნობილი ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსი და არქეოლოგის ვახტანგ ჯობაძის წიგნის პრეზენტაციას. ეს გახლავთ „ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში“.

როგორც ცნობილია, ვახტანგ ჯობაძის წვლილი განსაკუთრებით დიდია თურქეთის ფარგლებში მოქცეული ისტორიულად

ქართული მხარეების – ტაო-კლარჯეთის, შავშეთისა და სხვათა შესწავლაში. ვ. ჯობაძემ ამ მხარეში 1965-85 წლებში რვა სამეცნიერო ექსპედიცია განახორციელა.

პრეზენტაციაზე მონაწილე იყო ვ. ჯობაძის დიშვილი ზ. ფოცხიშვილი, რომელმაც ბიბლიოთეკას ვ. ჯობაძის წიგნები და სურათები საჩუქრად გადასცა.

ნიშანდობლივია, რომ ამ ორი პატრიოტი ქართველისადმი მიძღვნილი ღონისძიება ერთგვარად გაერთიანებულად იქნა წარმოდგენილი. ეს ღონისძიება მომზადდა ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და ეროვნული მუზეუმის ბიბლიოთეკის თანამშრომლობით.

ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ილაპარაკა დიაკვანმა ზურაბ ცხოვრებაძემ; მან ამომწურავად გააშუქა ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალები, მაგრამ განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი მის ღვთისკაცობას, ჩვენს სახელოვან მამულიშვილზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა მისი თანასოფლელი პროფ. გიზო ქელიძე.

ვახტანგ ჯობაძის ცხოვრებასა და ღვაწლზე



ისაუბრა ივანე ჯაფარიძემ. მან დამსწრეთ ვ. ჯობაძის ხმის ჩანაწერიც მოასმენინა.

ღონისძიებას მრავალი ადამიანი დაესწრო – მკითხველები, თანამშრომლები, დაინტერესებული პირები, აგრეთვე ხელნაწერთა ინსტიტუტის, საქართველოს საპატრიარქოს, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები.

ქეთევან კენკებაშვილი

## პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით

საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეულის პროგრამით ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის №1 დარბაზში (ყოფილი სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა) ჩატარდა კონფერენცია – „საბიბლიოთეკო საქმის განვითარება“. ღონისძიებას ესწრებოდნენ ბიბლიოთეკების მუშაკები, პედაგოგები, სტუდენტები; მას ერთგვარი



კომპლექსური ხასიათი ჰქონდა, რამდენადაც წარმოდგენილი იყო ინფორმაციები, რეცენზიები, ჩატარდა წიგნების პრეზენტაცია და ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, გაიმართა დისკუსია.

კონფერენციას უძღვებოდა ილ. ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ლარიბაშვილი. შესავალი სიტყვის შემდეგ, პირველად სწორედ ის გამოვიდა მოხსენებით – „საბიბლიოთეკო პროგრამები (ძირითადი და მეორადი)“. საკითხი ეხებოდა საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტთა მომზადების პერსპექტივას, თუ როგორ უნდა მოხდეს ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სწავლება, რა პერიოდი უნდა დაეთმოს, რა საგნები უნდა შეისწავლებოდეს, როგორ უნდა მოხდეს მეორადი სწავლების ორგანიზაცია და სხვა.

მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს ამჟამად მეტად აქტუალურია, რადგანაც მოცემულ მომენტში სავსებით შეწყვეტილია საბიბლიოთეკო კადრების მომზადება, არ არსებობს ამ საქმის ორგანიზაციული სისტემა. მომხსენებელს მრავალ შეკითხვაზე მოუწია პასუხის გაცემა. გამართულმა დისკუსიამ გამოავლინა მრავალი დადებითი თუ ჩრდილოვანი მხარეები.

ამის შემდეგ მოეწყო ახალი წიგნების პრეზენტაცია. თავდაპირველად წარმოდგენილი იყო დამხმარე სახელმძღვანელო „ინფორმაციული წიგნიერება“, რომელიც დამსწრეთ წარუდგინა მისმა ძირითადმა შემადგენელმა ინგა ფილაურმა. წიგნის შესახებ

დანვრილებითი მოხსენება გააკეთა სტუდენტმა მარიამ ბალახაშვილმა.

მზია ტოგონიძემ საზოგადოებას გააცნო მისი თანავტორობით გამოცემული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები, რომლებიც ეძღვნება ჩვენს გამოჩენილ პედაგოგ მკვლევართ – ალექსანდრე ლორიას, ოთარ ოსაძესა და ზემფირა ტყაბლაძეს.

საინტერესო იყო მაია მიქაბერიძის გამოსვლა, რომელიც ერთ-ერთი თანავტორია ილია ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფიული კაპიტალური მაჩვენებლისა, რომელიც წარმოადგენს მე-2 ტომს, არისგაგრძელება თინა ნაკაშიძისა და ნინო კორძაიას მიერ გამოქვეყნებული ანალოგიური წიგნისა. ამჟამად გამოცემული მეორე ტომი – „ილია ჭავჭავაძე: „ბიბლიოგრაფია“ უდავოდ დიდი მოვლენაა არა მარტო ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისით, არამედ ფილოლოგიური, პუბლიცისტური, პედაგოგიური, სოციოლოგიური და მრავალი სხვა ასპექტითაც. სწორედ ამაზე იყო ლაპარაკი ამ წიგნის ირგვლივ სიტყვაში გამომსვლელთა მიერ.

დასასრულ საზოგადოებას წარუდგინა ახალგამოცემული წიგნი „საბიბლიოთეკო საქმის ისტორია“, რომლის ავტორები არიან ალექსანდრე ლორია და მარინა სურმავა. წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელო ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალობის სტუდენტებისათვის, მეორე ნაკეთს, რომელიც 1920-1990 წლებს მოიცავს.

დარბაზში მსმენელთა წინაშე გამოფენილი იყო ბიბლიოთეკის რარიტეტის მნიშვნელოვანი გამოცემები და ახალი ლიტერატურა, რომელიც ორგანიზებული იყო ბიბლიოთეკის თანამშრომლების თ. ბუაღავასა და ვ. ჯუღელის მიერ.

ღონისძიება მთელი სამუშაო დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და დამსწრე საზოგადოებაში დიდი ინტერესი და აქტივობა გამოიწვია.



ნანა მერებაშვილი

კასპის მთავარი ბიბლიოთეკის საბჭოს წევრი

## მოღით ბიბლიოთეკაში

კულტურულ-საგანმანათლებლო და მნიგნობრული საქმიანობის განვითარების ერთ-ერთი საშუალება ყოველთვის იყო და არის წიგნი, მაშინაც კი, როდესაც ჩვენს ცხოვრებაში კომპიუტერი შემოიჭრა.

სამწუხაროდ, ახალგაზრდების (და არა მარტო მათი) ნაწილი ინფორმაციის მისაღებად კომპიუტერის ეკრანსაა მიჩერებული, რის გამოც წიგნს ნელ-ნელა შორდება, მაგრამ მრავლად არიან ისეთებიც, რომელთათვისაც წიგნი სული-



ერი საზრდო და ცოდნის წყაროა. ისინი მარტო სასკოლო პროგრამით მიღებული ცოდნით არ კმაყოფილდებიან და ცდილობენ უფრო მეტად მიეჯახვიონ სულიერ მეგობარს – წიგნს, უფრო მეტად გაიღრმავონ ცოდნა, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სკოლებსა და საჯარო ბიბლიოთეკებში ჩატარებული ღონისძიებებში, იმსჯელონ, იკამათონ მათთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ.

საქართველოში წლების მანძილზე სისტემატურად აღინიშნება დედა ენის, წიგნის დღე, ასევე ტრადიციად იქცა ბიბლიოთეკარის დღე. სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით, ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, თითქმის ყველგან ტარდება აქცია-კვირეული. მათ შორის კასპის მთავარ ბიბლიოთეკაშიც (დირექტორი ეთერ ჩადუნელი), რომელიც გამოირჩევა მასობრივი ღონისძიებების ჩატარების მდიდარი გამოცდილებით.

აქცია-კვირეული დაიწყო მოსახლეობაში სოციოლოგიური გამოკითხვებით.

გამოკითხვებმა აჩვენეს, რომ ბევრი აღარ კითხულობს წიგნს, ურჩევნია ტელევიზიით მიიღოს ცნობები ამა თუ იმ საკითხებზე.

ბევრისათვის ისევ დარჩა წიგნი მეგობრად, სულის მესაიდუმლედ და გული სწყდება, რომ ამჟამად ბიბლიოთეკები მაინცდამაინც არ მარაგდება ახალი ლიტერატურით მკითხველის მოთხოვნის შესაბამისად.

სოციოლოგიური გამოკითხვების დასკვნით, ბიბლიოთეკამ მასიური მუშაობისა და მკითხველთა მიზიდვისათვის ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა ბიბლიოთეკებში მოქალაქეთა ჩასამელად.

23 აპრილს ხალხმრავლობა იყო მთავარი ბიბლიოთეკის, ყვავილებით მორთულსა და გაზაფხულის მზით გაბრწყინებულ დარბაზში. აქ შეკრებილთა განწყობაც ამაღლებული და ხალისიანი იყო. ყოველივე ამას ალამაზებდა სურათებიდან მზირალი ჩვენი სახელოვანი მწერლების სახეები, თითქოს მათი სულები გაცოცხლებულიყო და თითოეულ აქ მყოფს მოუწოდებდნენ, არ დავიწყებოდით წინაპართა ნაანდერძები: „მამული, ენა, სარწმუნოება!“

აქცია – კვირეულში – „ბიბლიოთეკის რჩეული“, მონაწილეობდა კასპის №1, №2, №4 საჯარო სკოლებისა და გიმნაზიის IX-X-XI კლასების 22 მოსწავლე.

ღონისძიება, რომლის თემაც იყო „ჩემი საყვარელი წიგნი“ აქტიურად დაიწყო.

მისასალმებელი სიტყვით დამსწრეთ მიმართა მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორმა ეთერ ჩადუნელმა. მან ყველას მიულოცა წიგნის დღე და ა. გერცენის სიტყვები გაიხსენა: „წიგნი ერთი თაობის სულიერი ანდერძია მეორისათვის... მასში ჩანერილია კაცობრიობის მშფოთვარე ცხოვრების ის უდიდესი აღსარება, რომელსაც მსოფლიო ისტორია ჰქვია... საჯარო ბიბლიოთეკა იდეების ღრმა მაგიდაა, რომელთანაც მიწვეულია ყველა ჩვენთაგანი“... შემდეგ დარბაზში მყოფთ ანატოლ ფრანსის ფრაზით მოუწოდა:

„... მოღით ბიბლიოთეკაში, ცოდნის სამფლობელოში“.

ქალბატონმა ეთერმა დამსწრეთ მოახსენა, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლები ყოველდღიურად ფიქრობენ და ზრუნავენ, თუ როგორ და რა მეთოდებით მიიტანონ წიგნი მკითხველამდე. ახალგაზრდობა დააინტერესონ ლიტერატურით. ცდილობენ, გაარკვიონ, რას კითხულობენ, როგორ მსჯელობენ და, აი, წიგნის დღესთან დაკავშირებით სწორედ ამ მიზნით მოაწყვეს აქცია კვირეულის პროგრამით.

ღონისძიებამდე ცოტა ხნით ადრე კი საჯარო

სკოლების უფროსკლასელებს მიმართეს, მათთვის მიენოდებინათ გამორჩეულ, საყვარელ წიგნსა და ავტორზე დაწერილი თემები.

მოსწავლეებმა წარმატებით გაართვეს თავი დავალებას. მათ მეტად საინტერესოდ გააშუქეს და წარმოადგინეს ნაშრომები, რომლებიც დადებითად შეფასდა კომისიის მიერ.

ხალხური ანდაზაა: „ილაპარაკე არა იმაზე, თუ რა წაიკითხე, არამედ იმაზე, თუ რა გაიგე“, – და მართლაც, მსმენელთა წინაშე თითოეული მოსწავლე საკუთარი თხზულებით წარსდგა, ისინი ლოგიკურად მსჯობდნენ საკითხის ირგვლივ.

XI კლასის მოსწავლის ანა ჩიმჩიურის აზრით, „წიგნი ის ნათელი შუქია, რომელიც ყოველ ადამიანს ეხმარება ცხოვრებისეული გზის პოვნაში.

წიგნი – ეს არის დედა, რომელიც ზრდის შვილს და გამართულს აყენებს ცხოვრების ლაბირინთის წინაშე“.

ანასთვის საყვარელი წიგნი ბალზაკის „შაგრენის ტყავია“, სადაც სიყვარული იმდენად ძლიერია, რომ თვით სიკვდილის დროსაც კი ამჟღავნებს თავის გავლენას.

მარი გოგოლაძისათვის გამორჩეული წიგნი ცვაიგის „მოუთმენლობა გულისა“ გამოდგა. მას სჯერა, რომ „არსებობს სიყვარული, რომელსაც ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს... დედამინაზე დადიან ადამიანები, რომელთაც ღრმა სიყვარული შეუძლიათ“.

IX კლასელი ნინო წერეთლის აზრით, მხოლოდ წიგნს შეუძლია გაგხადოს სულიერად ძლიერი, პატიოსანი და გონიერი ადამიანი, წიგნს მრავალჯერ დაუდგამს ადამიანისათვის ძეგლი; ახლა კი თავად ჩვენ დავუდგათ წიგნს ძეგლი, გოგონასთვის გამორჩეული მწერალი შეტეფან ცვაიგია.

ავთანდილ ონიაშვილის აზრით, „კითხვებს: თუ როგორ გადარჩა საქართველო ან როგორ მოვალწიეთ აქამდე ისე, რომ შევინარჩუნეთ ენა, მამული, სარწმუნოება და ადათ-წესები, პასუხს ლევან გოთუას, „გმირთა ვარამი“ ვასცემს“.

ავთანდილი ფიქრობს, რომ „პატრიოტი ადამიანის მიერ აღწერილი ჩვენი ისტორიის ნაწილი, ათასიოდ ფურცელში გამომწყვეული, კარგადაა შეზავებული მრავალ საჭირობოროტო საკითხითან...“

მას იმედი აქვს, რომ „ქართველი გლეხის ოჯახი კიდევ დაუზრდის თავის მიწა-წყალს ლალ ვაჟკაცებსა და პირმშვენიერ ასულებს.

ისტორია კი ყოველთვის დაუცხრომელ და ბოხოქარ გმირთა ვარამად დარჩება“.

ლიკა ჟორჟიკაშვილს ლი იაკოვას ავტობიოგრაფიული წიგნი „მენეჯერის კარიერა“ მოსწონებია. მისთვის იდეალს წარმოადგენს მენეჯერი, რომელიც იმპერიის მფლობელის

ამბიციების მსხვერპლი გახდა და ყველამ მიატოვა, მაგრამ საკუთარი რწმენის, ნიჭის, იმედისა და ერთგულების წყალობით, ბიზნესმენი გახდა. იგი მიზანდასახული ადამიანის სიმბოლოა, რომელიც ფულის ჭაობმა ვერ ჩაითრია და შეძლო ადამიანური თვისებების შენარჩუნება.

ლიკას აზრით, „ადამიანი ძლიერი უნდა იყოს, არ შეუშინდეს დაბრკოლებებს და ისე იაროს ცხოვრების გზაზე, რომ შეცდომები იშვიათად დაუშვას“.

ნინო ბესიაშვილს უპირატესობა ჰქონდა რომანი-სათვის „კაცი, რომელიც იცინის“ მიუნიჭებია.

გოგონას ეს რომანი იმიტომ უყვარს, რომ აქ დაპირისპირებულია ორი რამ: სულიერი სილამაზე და ხორციელი სიმახინჯე. მისი აზრით, სულის დანახვა საჭირო და არასოდეს ვიფიქროთ, რომ მახინჯ სხეულში მახინჯი სულია.

გიორგი ნონიაშვილისათვის (X კლასი) კი „წიგნი ნათელი სამყაროა, სხვა განზომილებაა“, სადაც მხოლოდ ის და მისი წიგნია. „მე მიყვარს წიგნი, რადგან კითხვისას შემეცნების მორევეში ვიძირები, საიდანაც ამოსვლა აღარც კი მინდა“.

ნიჭიერი მოსწავლისათვის დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია რიჩარდ ბახის წიგნს „თოლია ჯონათან ლიენგსტონი“.

მიკი აზრით, „ჩვენ სამყაროს არსს უნდა ჩაგვხედო... ის დიდი თოლიას განსახიერებაა და მთელი სამყარო სხვა არაფერია, თუ არა აზრი, სხეულმა არ უნდა შებოჭოს შემეცნება. ჭეშმარიტი კანონი კი მხოლოდ ისაა, რომელსაც თავისუფლებისაკენ მივყავართ“.

გიორგი ამ მოთხრობასა და ქართველი მწერლების ნაწარმოებებს შორის პარალელს ავლებს და მსგავსებას პოულობს. „იდეა, რომ თოლია მხოლოდ იმისათვის არ დაფრინავს, რომ ჭამოს, ეხმარება ილიას „კაცია-ადამიანს?!“ – მოთხრობაში წარმორჩენილი ჰუმანიზმი მაგონებს ვაჟას ნაწარმოებებს, ხოლო ფრენას, როგორც თავისუფლების ხორცშესხმას – ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანს“.



ფრენამ, როგორც თავისუფლებამ, ჩემს სულში გამოსხაურება ჰქოვა. ბავშვურ ოცნებებში ყოველთვის მიხდოდა ფრენა... უნდა გიყვარდეს მთელი გულით, მთელი არსებით, მაშინ არ იქნება საზღვრები, არც დრო და აღარც სივრცე. იარსებებს სრულყოფილება – სიყვარული და სიყვარული იქნება ფრთები...

მე ვიგრძენი, რომ ჩემი სულის ნაწილში არსებობს თოლია, რომელიც ფრენისთვის არის შექმნილი. მე მივხვდი“... – ასე შთამბეჭდავით ასრულებს ახალგაზრდა თავის აზრს, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა მსმენელებში.

არა ნაკლებ საინტერესო იყო კასპის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეების: მ. შალუტაშვილის, ი. კაიშაურის, თ. ტუხიაშვილის, ნ. ქოქაშვილის ნამუშევრები. მათი აზრით, წიგნია ის სულიერი საზრდო, რომლითაც სწავლობ სიყვარულს, სიკეთესა და სიცოცხლეს.

ზრუნვა სულიერ ცხოვრებაზე – ეს არის მთავარი, ამიტომ უნდა იკითხო – იკითხო: შოთა რუსთაველი, ლევ ტოლსტოი, ვიქტორ ჰიუგო, ბალზაკი... უნდა იკითხო „ბიბლია“.

„ბიბლია“ – შეიძლება ვერ გავიგოთ, მაგრამ მისგან ვსწავლობთ მხოლოდ ჩვენთვის საინტერესოს, რომ არ ვიცრუოთ, პატივი ვცეთ უფროსებს, გვიყვარდეს მოყვასი და ა. შ.

მოსწავლეთა ნამუშევრებზე აზრი გამოთქვა კასპის რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ნინო ცინცაძემ. მან განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება გიორგი ნონიაშვილზე, – გამაოცა ამ ბავშვის თავისუფალმა და ღრმა, თითქმის ფილოსოფიურმა აზროვნებამ... ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი ნიჭიერი და ჭკვიანი თაობა ეზრდება“ – ქალბატონ ნინომ გიორგის სახსოვრად წიგნი გადასცა.

ლონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დანესებულებების სპეციალისტი დ. სოზიაშვილი, კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი, მუზეუმის განყოფილების გამგე ლიანა ბალხამიშვილი, მეცნიერ-თანამშრომელი ნანა მერებაშვილი, სარაიონო კულტურის სახლის დირექტორი ქეთევან მონასელიძე, კასპის გიმნაზიის დირექტორი ბესიკ ნიპარიშვილი, პედაგოგი ნინო ბურდული და სხვა.

ლონისძიებას უძღვებოდა კასპის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი და საბიბლიოთეკო საბჭოს თავმჯდომარე მანანა ყაბანაშვილი.

დასასრულ, ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა ეთერ ჩადუნელმა იმედი გამოთქვა, რომ ბიბლიოთეკები არასოდეს გაქრება ფიზიკურად, იგი მუდმივად ცოცხალი ხიდი იქნება წიგნსა და

მკითხველს შორის, ხელისუფლების ხელშეწყობით ამაღლება ბიბლიოთეკის თანამშრომელთა კვალიფიკაცია, დაინერგება ახალი ტექნოლოგიები და უახლესი ლიტერატურით გამდიდრდება წიგნადი ფონდი.

ქალბატონმა ეთერმა მადლობა გადაუხადა მონვეულ სტუმრებს მობრძანებისათვის და მოსწავლეებს ღონისძიების ასე საინტერესოდ წარმართვისათვის.

მან აქცია-კვირეულის აქტიურ მონაწილეებს საჩუქრად გადასცა წიგნი „კასპელთა პოეზია“ და საპატიო სიგელი „ბიბლიოთეკის რჩეული“. გადაღებული იქნა სამახსოვრო ფოტოებიც.

აქცია გაგრძელდა ღვანლმოსილი ბიბლიოთეკარების წარმოჩენითა და მათი დაჯილდოვებით. „ჩვენ გვახსოვს თქვენი ღვანლი და შრომა“ და ამ ქვეყნად არაფერია იმაზე უკეთესი ჯილდო, როდესაც ახსოვხარ შენს ანმეოს, როდესაც მომავალი გახსენებებით დაგიდგამს უკვდავების ხელთუქმნელ ძეგლს. დიდებული ადამიანები არასოდეს დაიკარგებიან, სწორედ მათ ჩაუტარდა უფასო გამოკვლევები დედაქალაქიდან მონვეული ექიმების მიერ.

კლინიკო-ლაბორატორიული, პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევები ნამდვილად წაადგათ საბიბლიოთეკო გაერთიანების თანამშრომლებს.

დღის ბოლოს, სამედიცინო გამოკვლევების შემდეგ, რაიონის საბიბლიოთეკო გაერთიანების მუშაკებმა მადლობა გადაუხადეს ექიმებს განეული სამედიცინო დახმარებისა და თანადგომისთვის, ხოლო ასაკოვან, დამსახურებულ ბიბლიოთეკარებს, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელობამ საპატიო სიგელები გადასცა.

14 მაისს მოწვეო ინტელექტუალური ვიქტორინა „ვინ უკეთ იცის“ – ყველაფერი წიგნის შესახებ. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქალაქის ოთხივე სკოლისა და გიმნაზიის წარმომადგენლები.

ვიქტორინაში გამარჯვებული კასპის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე გიორგი პატარქალაღიშვილი გამოვიდა. მას ფასიანი საჩუქარი გადასცა საქართველოს პედაგოგთა დამოუკიდებელი პროფკავშირის კასპის რაისაბჭოს თავმჯდომარემ გიული სოზიაშვილმა, ბიბლიოთეკის დირექტორმა ეთ. ჩადუნელმა კი დააჯილდოვა საპატიო სიგელითა და წიგნით „მოსწავლის ატლასი“.

ამგვარად, დასრულდა წიგნის დღისადმი მიძღვნილი მეტად საინტერესო და შინაარსიანი საბიბლიოთეკო კვირეული.

იმედია, მომავალში უფრო მეტი წიგნის მოყვარული მოზარდი შეაღებს ბიბლიოთეკის კარს და აქტიურად მიიღებს მონაწილეობას ღონისძიებებში.



ლუიზა ქუმელაშვილი

## სურნელი თათრი აკაციაზის

ჭეშმარიტად ასეთი სურნელებითაა გაჟღენთილი 23-ე საქალაქო ბიბლიოთეკის ღვანლმოსილი ბიბლიოთეკარის ცირა გამყრელიძის პოეზია. ნაზი, ქალური გრძნობებით აღსავსე სტრიქონები, ჭეშმარიტი პოეზიის სამყაროში რომ გადაყავს მკითხველი, ხან სევდანარევიან, ხანაც ღრმად ოპტიმისტური და ხალისიანი. თავად ავტორი სიცოცხლის, თავისუფლებისა და სიყვარულის ნაზი მომღერალი და თავმდაბალი ქმნილებაა. მისი ლექსების თითოეულ სტროფში მკითხველი ხედავს ქვეყნის სიყვარულით გულანთებული ქალს, რომელსაც სხვა არაფერი არ ადარდებს,



გარდა მამულის ბედისა:

„არაფრად მიღირს სიმდიდრე,  
ჩემი მამულის გარდა,  
თუ ჩემს მიწაზე ვერ ვივლი  
ყოფა დამრჩება დარდად“.

პოეზიის მგრძნობიარე სამყაროში შესული პოეტის სიტყვები აღსავსეა ხვალისდელი დღისადმი რწმენით, იმის შეგრძენებით, რომ

ყოფიერება მხატვრულმა სიტყვამ, პოეზიამ უნდა გაალამაზოს და გააკეთილმობილოს. მამულის სიყვარულს პოეტი უფრო მარჯვედ და დამაჯერებლად ხატავს ბუნებასთან მიმართებაში; პოეტი, როგორც ბუნების შვილი, მთლიანად მინდობილია ზებუნებრივი ძალების სამყაროზე, ნათლად შეგრძნობილი აქვს არა ის ჭეშმარიტება, რომ თვითონ ამ მარადისობის ერთი ანთებული ნაპერწკალთაგანია.

ცირა გამყრელიძე კარგა ხანია წიგნების საუფლოში ტრიალებს. მას წიგნი უყვარს და მკითხველებს უყვართ პოეტი-ბიბლიოთეკარი. ამის ნათელი დადასტურება იყო ამასწინათ მისი პოეზიისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც 23-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში გაიმართა. საღამოს უძღვებოდა ბიბლიოთეკის ჭეშმარიტი მეგობარი და ცირა გამყრელიძის პოეზიით მოხიბლული პოეტი ლალი სხირტლადე. პოეზიის საღამოზე ითქვა ბევრი გულთბილი მადლიერების გრძნობით აღვსილი სიტყვა. დისშვილს განსაკუთრებული მონივნებით მიესალმა საქართველოს სახალხო არტისტი ნინო ჩხეიძე, ც. გამყრელიძის შვილიშვილი ელენე გობეჯიშვილი, 30-ე საჯარო სკოლის პედაგოგი ია ნარიმანიძე. მან მხატვრული ოსტატობით წაიკითხა პოეტის რამდენიმე ლექსი, იქვე დასძინა, რომ ც. გამყრელიძის თითოეული ლექსი იკითხება ერთი ამოსუნთქვით, სტოვებს რა გულში სიფაქიზესა და ნამდვილი პოეზიის სურნელს. პოეზიის საღამოზე შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები (ანანო გობეჯიშვილი, სკოლა „მერმისის“ მოსწავლე). პოეტის შვილიშვილებმა ელენე და თინათინ გობეჯიშვილებმა წაიკითხეს ბებულის ლექსები; კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობმა მაია ტატიშვილმა დიდი მხატვრული ოსტატობით წაიკითხა პოეტის რამდენიმე ლექსი. პოეტსა და კოლეგას გულთბილად მიესალმნენ ქალაქის მთავარი საქალაქო ბიბლიოთეკის თანამშრომელი მანონი ხორავა და სხვები.

ც. გამყრელიძემ მადლიერების გრძნობა გამოხატა რამდენიმე ახალი ლექსის წაკითხვით და დასძინა, რომ პოეტისათვის დიდი ბედნიერებაა, სამი ათეული იღვანო წიგნის სამყაროში და პოეზიის სიყვარულით გულანთებული ემსახურო ქართული, და არა მარტო ქართული, მხატვრული ნიმუშების პოპულარიზაციის საქმეს.

## მოგონებები

ნანა კანდელაკი

# მის გვერდით

## (ნოდარ დუმბაძე – 80)

გული შემეკუმშა სიტყვაზე – „გახსენება“...

იგი დაიბადა 1928 წლის 14 ივლისს და ამ დღეს მისი დაბადების 80 წლისთავი უნდა აღგვენიშნა, გვეზეიმა, მაგრამ ღმერთმა ეს არ არგუნა არც მას, არც ჩვენ – მის ახლობლებს და მეგობრებს.

ნოდარი ახალგაზრდა წავიდა ამ ცხოვრებიდან, 56 წლისა, და მე დამრჩა მეხსიერებაში – ნოდარი სიცოცხლით სავსე, უნიჭიერესი მწერალი, შესანიშნავი მოქალაქე, მოსიყვარულე მამა და მეუღლე, გაჭირვებულის მზრუნველი, კეთილი, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებაში ბევრი სიმწარის გადატანა მოუხდა, ტკივილს თავის გულით ატარებდა და ამაზე ლაპარაკით არავის აწუხებდა.

ბედნიერი ვარ, რომ ამ დიდებულ ადამიანთან და მწერალთან, წიგნიერ პიროვნებასთან გვერდით მერგო ყოფნა და მასთან ერთად მუშაობა.

გასული საუკუნის სამოციანი წლები ჟურნალ „ნიანგის“ ისტორიაში ჭეშმარიტად ოქროს ხანა იყო. ჯერ მარტო იქ მოღვაწეთა დასახელება რად ღირს: ნოდარ დუმბაძე, მოსე ქარჩავა, გარი მეტრეველი, ანზორ ტაბატაძე, მიშა კუხალაშვილი, ნოდარ მაღაზონია, ზაურ ბოლქვაძე, ოთარ ჭელიძე, ნიკო შველიძე, ელგუჯა მალრაძე.

„ნიანგის“ რედაქცია, რა თქმა უნდა, ნოდარის გამო, მაგნიტივით იზიდავდა იმ დროს მოღვაწე შემოქმედ ახალგაზრდებს, ჟურნალის ერთგულ მკითხველებს, მხატვრებს.

ჟურნალის მაშინდელ რედაქტორისგან – ბატონ ნიკო შველიძისგან იყო მითითება, შესვენებამდე გვემუშავა შემოსულ მასალების შერჩევაზე დასაბუქდად, ადგილებზემისვლა კრიტიკული ნერილების შესამონმებლად, მორიგე ნომრის კორექტურის შემონმება, მერე კი – მომსვლელთა მიღება...

ღმერთო, რა იყო ეს, რა კაფიები იმართებოდა, ფუნაგორიების კითხვა, სტუდენტურ წლებში მომხდარი კურიოზების გახსენება, რისიც მთავარი

თაოსნები იყვნენ ნოდარი და ნოდარ ჩხეიძე. განსაკუთრებით ხშირად გვსტუმრობდნენ: ჟორა ბედი-ნიეშვილი, გურამ ხარაიძე, ედიშერ ყიფიანი, ნიაზ დიასამიძე, ქართლოს კასრაძე, ერლომ თაყაიშვილი, ჯანსუღ ნიქაბაძე, ოთარ მამფორია, გურამ თიკანაძე, ვასო გვეტაძე, ტარიელ ჭანტურია, გურამ კლდიაშვილი, რაფო მამულაშვილი, გიგლა ფირცხალავა, ჯემალ ლოლუა, თენგიზ გოგოლაძე, ზურაბ ფორჩხიძე, კუცია... ყველას რა ჩამოთვლის.

ახლაც ღიმილს ინვეს ეს მოგონება: მაშინ მთელი ექვსი თვე ბუფეტში სასაუზმოდ ჩუმი ფულს რომ ვაძლევდი გურამ ხარაიძეს, რომელმაც ნოდართან შეთანხმებით, გაითამაშა საწყალი ქურთი ბიჭი – ბურო, მე კი თავი იმით მომანონა, რომ ქართული პოეზიის მარგალიტებს კითხულობდა მგზნებარედ. ოღონდაც ბიჭებს არ აეგდოთ, რაკი აბეზარა



ხიზანს ეძახდნენ და ისიც, რომ დანაყრულიყო, მუდამ დღე მანეთს ვანოდებდი და პერანგიც კი ვაყიდინე და რა ზეიმი გაიმართა, როცა ეს ფარსი ჟორა ბედიანიშვილმა გახსნა.

ან ეს ამბავი სომეხი რუბენა, რომელიც იმ დროს ყველა რედაქციის სტუმარი იყო და წიგნის მოყვარულებს ახალი თუ ძველი გამოცემებით ამარაგებდა. ნოდარმა რომ დაარწმუნა გაზეთში დაბეჭდილი წერილით – „პუშკინი თბილისში“, პუშკინის დაბადების დღესთან დაკავშირებით თითქოს პუშკინი მართლაც უნდა ჩამოსულიყო თბილისში. კაცი ლამის გაგიჟდა, – კაცო, ეს როგორ, იმ ხნის ბერიკაცი თბილისში ჩამოვაო?!

და რამდენი ასეთი ხუმრობა, რაც აღწერილი მაქვს „მოგონებებში“ – „ნოდარის გვერდით“, მერეც რამდენი დავბეჭდე ჟურნალ-გაზეთებში, და დასანანია, ვერც წიგნად გამოვეცი და არც ფირზე დარჩა ალბეჭდილი ეს შეხვედრები მომავალი თაობისთვის...

ბოლო დროს ავადმყოფობდა და, ვაგლახ, რომ

მოერია სნეულება. უღალატა გულმა.

თავზარდამცემი იყო მისი გარდაცვალება პირველყოვლისა ოჯახისთვის, ცოლისთვის – ნანულისთვის, შვილებისთვის – მანანა და ქეთი-ნოსთვის, მაგრამ არა ნაკლებად მწარე იყო მისი მეგობრებისთვის.

წავიდა და თან წაიღო ცრემლი, ტკივილი, მაგრამ რისი შექმნაც მოასწრო, სამარადისოდ დარჩება

ლიტერატურის საგანძურს.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩემო ძმავო ნოდარ! ვისაც უყვარს წიგნი და ლიტერატურა, სამუდამოდ დარჩები მის მესსიერებაში, შეუდარებლო და განუმეორებლო ნოდარ! შენებრ ნიჭიერი იშვიათად მოევლინებიან წუთისოფელს და ძეგლი სამარადისო თვითონ დაიდგი შენი ნაწარმოებებით.

ალექსანდრე ლორია


## ნიჭიარება განუზოგელი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ადრინდელ თაობას ახლაც კარგად ახსოვს ის – აღნაგი, გამორჩეულად ინტელიგენტური, მოკრძალებული, მუდამ საქმეში ჩართული, გატაცებით მოსაუბრე, მრავალმხრივი ინტერესების მქონე, ყოველგვარი კაცური ღირსების პიროვნება. შეუძლებელი იყო, ყურადღება არ მიგექცია მისთვის, არ დაინტერესებულყავი მისი პიროვნებით. მიუხედავად ამისა, მუდამ ჩრდილში ყოფნას არჩევდა, არ ცდილობდა, ვინმეს წინაშე გამოჩენილიყო, არ სურდა გაეცხადებინა თავისი ღვაწლი, რომლითაც ის, უდავოდ, გამორჩეული ადამიანი იყო.

გიორგისიხარულიძეს დიდხანს არ უმუშავია საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში (1981-1982), მაგრამ იმგვარი დატვირთვით მოუხდა აქ საქმიანობა და იმგვარ სპეციალისტებთან, რომ დიდი გამოცდილება შეიძინა და თავადაც უამრავი რამ გააკეთა. აღსანიშნავია, რომ ის ჯერ კიდევ მოსწავლე და სტუდენტი ეზიარა ამ ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობითი კაბინეტის ნაღვანს.

გიორგისათვის ბიბლიოთეკა ოჯახივით ახლობელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მათ ოჯახში საუკეთესო კოლექცია ჰქონდათ, სრულიად პატარა გახდა ჯერ სკოლის, შემდეგ უფრო მოზრდილი ბიბლიოთეკების აქტიური მკითხველი. ბათუმში, სადაც დაიწყო მისი სასკოლო პერიოდი, აკ. წერეთლის

სახელობის აჭარის სახელმწიფო ბიბლიოთეკის მუდმივი მკითხველი იყო. შემდეგში, როდესაც ოჯახი თბილისში გადავიდა, მამას, პროფ. იური სიხარულიძეს ის საქართველოს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში (ამჟამად პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა) მიჰყავს, და ისიც დიდი მონდობითა და გატაცებით ეცნობა ქართველოლოგიურ კაბინეტის მუშაობას, სადაც მოღვაწეობდნენ დარგის ცნობილი პროფესიონალები: თამარ მაჭავარიანი, თამარ დონდუა, ელენე ყიფშიძე, კლარა რამიშვილი და სხვანი. მაშინ, ალბათ, ყმანვილი ვერც წარმოიდგენდა, რომ გავიდოდა დრო და ის მათი კოლეგა შეიქმნებოდა. ამ დროს გიორგის უკვე შრომითი საქმიანობის საკმარის გამოცდილება ჰქონდა. უმაღლესის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა პედაგოგი და შემოქმედი წარმატებით მოღვაწეობდა სოფელ ჭახათის სკოლაში, შემდეგ კი თბილისის №2 ექსპერიმენტულ სკოლაში, საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში; გამოვლილი ჰქონდა, აგრეთვე სამხედრო სამსახურიც.



რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მოსვლისთანავე გიორგიმ თავისი ჩვეული ენერგიულობითა და კვალიფიციურობით გაშალა მუშაობა და მაშინვე მიიპყრო ხელმძღვანელობის ყურადღება. თუ როგორ მუშაქსაც წარმოადგენდა ის, ამაზე ნათლად მეტყველებს მაშინდელი დირექ-

ტორის ა. კავკასიის დახასიათება: „... გიორგი სიხარულიძემ ჩინებულად აულო ალლო ახალ საქმიანობას. მას აქვს სამუშაოსადმი ნოვატორული მიდგომის უნარი, გააჩნია ორგანიზატორული ნიჭი, სამუშაოს ასრულებს მობილიზებულად და მინიმალური დროისა და ენერჯის ხარჯვით აღწევს სასურველ ეფექტს“.

გ. სიხარულიძის მთელი საქმიანობა განსაკუთრებით გამოირჩეოდა აქტიურობითა და ინიციატივიანობით, რითაც დიდად უწყობდა ხელს ბიბლიოთეკაში მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა მაღალ დონეზე ჩატარებას, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობაში. ვინ მოსთვლის იმ ლიტერატურულ დილასა თუ საღამოებს, შემოქმედებით შეხვედრებს, საიუბილეო თარიღების აღნიშვნას, გამოჩენილ ადამიანებთან ღონისძიებების გამართვას, წიგნების განხილვა-გარჩევებს, მეცნიერულ დისკუსიებს, რომლებიც მისი ინიციატივითა და ორგანიზაციით იმართებოდა.

განსაკუთრებით სამახსოვროა მისი მეცადინეობით შექმნილი უნიკალური ხელნაწერი ალმანახი „არილი-1“. ერთ საარქივო დოკუმენტში, რომელსაც ხელს აწერენ რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი და სხვა პასუხისმგებელი პირები, ეს ალმანახი ამგვარად არის შეფასებული: „... „არილი-1“-მა მნიშვნელოვანი აღმზრდელობითი როლი შეასრულა და კეთილშობილური საქმისთვის დარაზმა ბიბლიოთეკის ახალგაზრდობა, გამოავლინა მათი შემოქმედებითი რეზერვები“. ალმანახს მაღალი შეფასება მისცა პრესამაც (ლექვენიშვილი ი. ნაიკითხე „არილი“ – თბილისი, 18 მარტი, 1985.). ეს




ალმანახი ბიბლიოთეკის უნიკუმების თანაბრად დაცული.

გიორგი სიხარულიძე განსაკუთრებით გამოირჩეოდა საზოგადოებრივი აქტივობით, რაც სრულიად გამომჟღავნდა მის პოლიტიკურ მოღვაწეობაში. მისი ყველაზე ნაყოფიერი შემოქმედების ხანა დაემთხვა საქართველოში დიდ განმათავისუფლებელ მოძრაობას, რაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობით დამთავრდა, თუმცა ამით არ ამოწურულა. ამ მოძრაობაში

ის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ფიგურას წარმოადგენდა; იყო მრავალი საქმისა და წამოწყების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, მაგრამ არასოდეს ლიდერობისა და თავის გამოჩენისათვის ნაბიჯი არ გადაუდგამს, ამიტომაც, ნ. ბარათაშვილის გამოთქმას თუ დავესესხებით, დიდი დრო გავა, ვიდრე გავიგებთ, „ბევრი ჩვენ ვერ ვსცანით მისი“. 1990-97 წლებში, ყველაზე დაძაბულ, მკაცრ პერიოდში, იგი სახალხო პარტიას თავმჯდომარეობდა; იყო საქართველოს ეროვნული კონგრესისა და პარტიათა საკოორდინაციო საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი, არჩეული იყო ეროვნული კონგრესის ფრაქციის თავმჯდომარედაც. დიდი ღვაწლი მიუძღვის მას ინტერპარტიული ორგანიზაციათა ჩამოყალიბებაში, როგორიცაა ღვთისშვილთა სახალხო მოძრაობა, ქრისტიან-დემოკრატთა გაერთიანება, არასაპარლამენტო პარტიათა საკოორდინაციო საბჭო და სხვა.

გ. სიხარულიძე ინტენსიურად მოღვაწეობდა პოლიტიკური პუბლიკაციის დარგში. მისი იდეურ-პოლიტიკური პოზიცია მან შესანიშნავად წარმოაჩინა ქართული პოლიტიკური აზროვნების ამსახველ ორ წიგნში – „ხელისუფლება და ოპოზიცია“ (1999), „ფედერალიზმი – მითი და რეალობა“ (2004), მაგრამ როგორც მისი მოღვაწეობიდან ჩანს, ჩვენი რწმენით, პოლიტიკა მისი მოქალაქეობრივი მოვალეობა უფრო იყო, ვიდრე მოწოდება. მისი ნამდვილი მოწოდება მეცნიერული და შემოქმედებითი ასპარეზი იყო. თვით პოლიტიკურ მოღვაწეობაშიც თავს იჩენდა მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი, მოვლენების თეორიული დამუშავება და განზოგადება. ყოველივე ამას ის ბავშვობიდანვე ეზიარა და შეისისხლხორცა. მისი მამა, ცნობილი ქართველი მეცნიერი პროფ. იური სიხარულიძე, ოჯახში წიგნიერების, მეცნიერული აზროვნების, სწავლა-განათლებისადმი დაუცხრომელი მიდრეკილების ტრადიციებს წერგავდა. ნაყოფიერ მიწაზე დარგულმა წერგმა ფესვძლიერად იხარა, გიორგი და მისი ძმა ზაზა მამის ტრადიციებს ერთიორად ამტკიცებდნენ და ამრავლებდნენ.

გიორგი 1954 წელს დაიბადა და 54 წელიც ცოცხლა (2008). ასეთი მოღვაწეობისათვის ეს ასაკი უმნიშვნელოა და მით უფრო გვაოცებს გაკეთებული საქმის უსაზღვრო მოცულობა. სხვადასხვა დროს ის მუშაობდა ქართული ლიტერატურის მუზეუმში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიო-



**სხალთის ხეობის  
ფოლკლორული  
მასალები**

თბილისი  
2005

**გიორგი  
სოსელია**



**სელინა  
და  
ოპოზიცია**

**გიორგი  
სოსელია**



**ფედერალიზმი  
2001 და აწარმოა**

ტეტის დაარსების ინიციატორს, იყო თბილისის უნივერსიტეტის „გეორგიას“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სადაც მისი მოღვაწეობის პერიოდში პირველად საქართველოში ჰუმანიტარული დარგის ყველა სპეციალობაზე იკითხებოდა ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის საფუძვლები, ის რაც მხოლოდ ახლა შემოიღეს ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტში.

გიორგი სიხარულიძე ბათუმში დაიბადა და იქ დაიწყო სწავლა, სკოლა თბილისში დაამთავრა და უმაღლესი განათლებაც აქ მიიღო სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. გაინვიეს რა სამხედრო სამსახურში, სამხედრო სასწავლებელიც დაამთავრა. ჯერ ოცეულს მეთაურობდა, მოგვიანებით მოხალისეთა ასეულს.

ძნელია ამის თქმა, მაგრამ იქნებ სწორედ ჯარში სამსახური ექცა მას ერთგვარ ბედისწერად. აქ მიღებულმა ტრავმამ განაპირობა შემდგომში მისი ჯანმრთელობის შეწყვევა, რაც ბოლოს და ბოლოს, 54 წლის ასაკში მძიმე და ხანგრძლივ ავადმყოფობად ჩამოყალიბდა.

დაუოკებელი იყო გ. სიხარულიძის მიდრეკილება სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობისადმი. არმიიდან დაბრუნებული, სწავლას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში აგრძელებს, რაც, ბოლოს და ბოლოს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორობით დაგვირგვინდა.

საოცრად განუზომელი იყო ამ ადამიანის ნიჭიერობა, მისი მიდრეკილებანი ფილოლოგია, ისტორია, ეთნოგრაფია, ფოლკლორისტიკა, პოლიტო-

ლოგია, რასაც თან სდევდა პოეტური, ბელეტარისტული და პუბლიცისტური შემოქმედება. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, სტუდენტობის დროს მიიღო მონაწილეობა სხალთის ხეობის ექსპედიციაში და ხალხური შედეგების შეკრება დაიწყო. ფოლკლორულ მასალას სისტემატურად აგროვებდა, რაც საბოლოოდ მის ნაშრომში „სხალთის ხეობის ფოლკლორული მასალა“ განზოგადდა (2005). სწორედ ფოლკლორისადმი დიდმა ინტერესმა განაპირობა ის, რომ მან ამ თემაზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მაგრამ პოლიტიკური მიმდინარეობა მის დიდ ინტერესს წარმოადგენდა. ეს გამოვლინდა მის ფილოლოგიურ ნაშრომებში: „იაკობ ცურტაველი“, „შუშანიკის წამების პოლიტიკური ასპექტები (1997)“, „გიორგი მერჩულეს პოლიტიკური შეხედულებანი“ და სხვა.

მრავალმხრივი მეცნიერი ძველი მსოფლიოს ისტორიის საკვანძო საკითხებსაც იკვლევდა. განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებოდა ჩვენი ერის წარმოშობის პრობლემებს, ასევე შეისწავლიდა საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიას. დიდი დრო და ენერგია მოანდომა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ისტორიის კვლევას.

მისმა ნიჭმა გზა მხატვრული ლიტერატურისაკენაც გაიკაფა. ცნობილია მისი შესანიშნავი მოთხრობა „მეკარე“, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პოეტური კრებული „ხმელი ფოთოლი“ (2002), რომელშიც ასზე მეტი ლექსი და პოემაა დაბეჭდილი.

გ. სიხარულიძემ ჟურნალისტიკაშიც ალბეჭდა თავისი კვალი. იყო „სახალხო გაზეთის“ განახლების ინიციატორი და მთავარი რედაქტორი, შემდეგ, მოგვიანებით მის მიერ დაარსებულ „საქართველოს მაცნეს“ რედაქტორობდა.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს მისი პედაგოგიური მოღვაწეობა როგორც სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში. ის იყო ამ საქმის ნამდვილი პროფესიონალი.

მიუხედავად უკუზრუნებელი სენისა, ფარხმალი არასოდეს დაუყრია, მუდამ მომავალ სამოღვაწეო საქმეზე ფიქრობდა. ბევრი რამ გამოუქვეყნებელი დარჩა და, ვინ იცის, რამდენი ჩანაფიქრი ჰქონდა განუხორციელებელი, მაგრამ რაც იღვანა, ისიც საკმაოდ დიდი მოცულობისა და მნიშვნელობისაა. ჩვენი მკითხველისათვის უდავოდ სასურველი იქნება მისი შემოქმედების გაცნობა და დაფასება.

გიორგი სიხარულიძის მოღვაწეობა შედარებით სრულყოფილადაა გადმოცემლი 2008 წლის 17 ივნისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.



რეცენზია

თამარიკო ბუაღავა

# ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების სრულყოფისათვის



მიმდინარე წელს მკვლევარმა და პრაქტიკული დარგის სპეციალისტმა ნატო მჭედლიშვილმა გამოაქვეყნა მონოგრაფიული ნაშრომი „ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების ორგანიზაცია და მისი პედაგოგიური როლი საგანმანათლებლო სისტემაში“. წიგნის რედაქტორია პროფ. ალ. ლორია, რეცენზენტი გ. თაყნიაშვილი, შეიცავს 100 გვერდს. ანოტაციიდან ვგებულობთ, რომ აქ „განხილულია თანამედროვე ფონზე სასკოლო ბიბლიოთეკების მოღვაწეობის სხვადასხვა აქტუალური საკითხები: სასკოლო ბიბლიოთეკაროგორც

უბი; ბავშვთა მომსახურების სამართლებლივი საფუძვლები; ბავშვი მკითხველის ძირითადი თავისებურებანი.

„მედია-ცენტრი“, საინფორმაციო საგანმანათლებლო ცენტრი, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება“.

წიგნი სამი თავისაგან შედგება: 1. ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების სისტემა; 2. საბავშვო ბიბლიოთეკები ბავშვთა მომსახურების სისტემაში; 3. სასკოლო ბიბლიოთეკა და მისი ფუნქციონალური დანიშნულება.

ასევე საყურადღებოა საბავშვო ბიბლიოთეკებისა და სასკოლო ბიბლიოთეკების ურთიერთმოქმედების მოდელის შექმნა. როგორც ცნობილია, მოცემულ ეტაპზე, მართალია, ინტენსიურად არა, მაგრამ მიანც, იქმნება ტენდენცია დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკების გაუქმებისა. ეს საკითხი დღემდე არ არის მოკვეთით გადაწყვეტილი. ავტორი ეხება მას, მაგრამ თავის აზრს არ ასაბუთებს რომელიმე სისტემის სასარგებლოდ – კერძოდ, რომელი მოდელი დაინერგოს საქართველოში – დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკები თუ მათი შერწყმა საჯარო ბიბლიოთეკებთან, ან იქნებ დარჩეს, როგორც დღეს არის – ორივე მოდელი იყოს მიღებული. ამ საკითხის განხილვა თუნდაც იმითაცაა საყურადღებო, რომ დისკუსიის შედეგად გადაწყდეს, ბოლოს და ბოლოს, როგორ უნდა იქნეს აგებული საქართველოში ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურება.

რასაც თავიდან ბოლომდე მივესალმებით, ეს არის ავტორის მიერ გამოკვეთილად ჩამოყალიბებულ დებულებას, რომ ბავშვთა ყოველგვარმა საბიბლიოთეკო მომსახურებამ ადგილი უნდა ჰპოვოს საგანმანათლებლო სისტემაში. არ შეიძლება სკოლა არ იყენებდეს თავისი მიზნებისათვის არა მარტო სასკოლო ბიბლიოთეკას, როგორც აღზრდის ლაბორატორიას, არამედ დამოუკიდებელ თუ საჯარო ბიბლიოთეკებში ორგანიზებულ საბავშვო მომსახურებას, ამასთან დაკავშირებით ნ. მჭედლიშვილი რამდენიმე საინტერესო მოსაზრებას იძლევა.

საყურადღებოა ავტორის მიერ ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების ფორმებისა და მეთოდების განხილვა როგორც კითხვის ხელმძღვანელობის გამოხატულებისა. მით უფრო მიზანშეწონილია ეს, რომ დღეს ამ მოვლენისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მიგვაჩნია, რომ ამ საკითხში სავსებით სწორია ავტორის პოზიცია.

წიგნში გამოკვეთილად არის განხილული

ნატო მჭედლიშვილი

**ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების ორგანიზაცია და მისი პედაგოგიური როლი საგანმანათლებლო სისტემაში**

თეკა და მისი ფუნქციონალური დანიშნულება. ყველა თავი დაყოფილია პარაგრაფებად; ნაშრომს ახლავს შესავალი, დასკვნები, რეკომენდაციები და დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურა.

პრობლემა, რომელსაც ავტორი – ნ. მჭედლიშვილი ეხება, ახალი არ არის, თუმცა მრავალი რამ ახლებურად შეფასებასა და გადაფასებას მოითხოვს, რაზედაც არაერთგანაა ლაპარაკი წიგნში. ამუშავდ, როდესაც ბავშვთა მომსახურების მწყობრი სისტემა ჯერ კიდევ დასახვეწია, ნამდვილად საყურადღებოა იმ საკითხების განხილვა, რომელსაც ავტორი გვთავაზობს – სისტემის აგებულება და განვითარების ტენდენციები; ძირითადი მიმართულებები და პრინცი-

საბავშვო ბიბლიოთეკების განვითარების პერსპექტივები. სამწუხაროდ, აქ ლაპარაკია არა იმ რეზერვზე, არა იმ საქმიანობაზე, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს ამ მიმართულებით, არამედ უფრო რეკომენდაციების სახითაა მოცემული მოსაზრებები, რომლებიც, რა თქმა უნდა, მისაღები და მართებულია. რასაც ავტორი გვისაბუთებს, ჭეშმარიტია, მაგრამ ეს რამდენად პერსპექტიულია, რამდენად ეხსნება იდეებს აქ გზა, ეს არ ჩანს. ეს არცაა გასაკვირი – ჩვენში ხომ ამჟამად ეს საქმე სავსებით უყურადღებოდაა მიტოვებული. ვერავინ იტყვის, რა არის გაკეთებული ან რა კეთდება ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების შემდგომი განვითარებისათვის. სავსებით ვეთანხმებით ავტორს, რომ თუ შეიქმნება ძლიერი მეთოდური ბაზა, ბევრი პრობლემა ობიექტურად – თავისთავად მოგვარდება.

მისასალმებელია ის, რომ ნ. მჭედლიშვილი ცალკე გამოყოფს პარაგრაფს, რომელიც მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას ეხება. დასაანანია, რომ უფრო ფართო არიალი არ არის მოცული და მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის მაგალითით ვკმაყოფილდებით. მიუხედავად ამისა, ნათლად ჩანს, რა დონე არსებობს მსოფლიოში. მისი შედარება ჩვენი განვითარების დონის მაუწყებელიცაა და გვიჩვენებს, რისკენ, საითკენ უნდა მივიწინააღმდეგოთ ჩვენ.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სასკოლო ბიბლიოთეკის ფუნქციონალურ დანიშნულებას; ფაქტობრივად, აქ ლაპარაკია იმ ახალ

კონცეფციებზე, რომელიც სასკოლო ბიბლიოთეკებს შეიძლება მიეკუთვნოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საკითხების განხილვა, რომელიც სკოლის ბიბლიოთეკის ადგილს ეთმობა სასწავლო-აღმზრდელით პროცესში.

მეტად შთამბეჭდავია მითითებული ლიტერატურის ხარისხი და ოდენობა. აქ მოცემულია როგორც სამამულო, ისე უცხოური ლიტერატურა, ინტერნეტში მოპოვებული მასალის მისამართები.

ნაშრომის კითხვისას თვალში საცემია ის გარემოება, თუ როგორ ოსტატურად იყენებს და აწვითარებს ავტორი უცხოელი თუ ჩვენი ავტორების მასალას.

წიგნი გამოირჩევა საკმაოდ კარგი პოლიგრაფიული დონით, ავტორისეული თხრობის სისადავით, ენით, თავისი კონსტრუქციით, თუ არ ჩავთვლით ზოგ უმნიშვნელო კორექტურულ შეცდომას. ამ მხრივ ერთი დეფექტი არის ის, რომ წინ მოცემულ „შინაარსში“ თავებსა და პარაგრაფებს არ მიეთითება გვერდები.

საერთოდ, ნამდვილად მისასალმებელია ბიბლიოთეკათმცოდნეობაში ამგვარი წიგნის გამოჩენა. ის ხელს შეუწყობს როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად მომუშავე სპეციალისტებს გაცნობიერებასა და ინფორმაციის მიღებაში, ბევრ მეტად საინტერესო საკითხის შემდგომ განხილვა-დამუშავებაში. სხვათაშორის, ეს წიგნი საინტერესო იქნება პედაგოგებისთვისაც, განსაკუთრებით მათთვის, რომლებიც დაწყებითი კლასების მოსწავლეებთან მუშაობენ.

## ინფორმაცია

# ახალი უხვედრა ანა ერისთავთან



ანა ერისთავის გაცნობა ჩვენს მკითხველებს არ სჭირდება. იგი რომ საბიბლიოთეკო დარგის ერთ-ერთი თვალსაჩინო სპეციალისტი და ნამდვილი პროფესიონალია, ეს ყველამ კარგად იცის, ისიც იციან, რომ ბავშვობიდანვე ეზიარა პოეზიას და ახლა უკვე რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია. დიდი ხანი არაა გასული, ჩვენ ხელთ გვქონდა მისი საკმაოდ საინტერესო ლექსების წიგნი, დღეს უკვე ახალი წიგნი გვაქვს ხელთ – „ქვათა ღაღადი“. წიგნის რედაქტორია ელგუჯა თავბერიძე.


კრებულში თავმოყრილია არა მარტო პოეტური შემოქმედება; საკმაოდ დიდი ნაწილი

უჭირავს აზრებსა და გამონათქვამებს, რომლისთვისაც ავტორს ერთიანი სათაური მიუცია – „გზადაგზა“. საგულისხმოა, რომ კრებულში მოცემული ლექსების ნაწილს „ეპიტაფია“ ეწოდება, რაც თავისთავად მეტყველებს პოეტიქალის სულიერ განწყობილებასა და განზრახვებზე – ერთმანეთთან ურთიერთმიმართებაში დაინახოს სიცოცხლე და სიკვდილი.

ქალბატონ ანას სულიერ სამყაროზე ძნელია უკეთ ილაპარაკო, ვიდრე ეს გამოთქმული აქვს ვეფხია გავაშელს თავის მომართვაში, რომელიც ანოტაციის მაგიერ არის წიგნზე დართული:



„ანა ერისთავის პოეზიით სუნთქვისას ყინულოვანი სიმხურვალე შემოგეფრქვევა სულში... ანამ რამდენიმე თემა-ყამირი გატეხა და გულმოდგინედაც ამუშავებს მას... განსაკუთრებით სულის და გულის დამბელტავია მისი ეპიტაფიები, – მოკლე-მოკლე ლექსებში თითო ვეება ტკივილია განცდილი, ჩანს ღრმა საფლავიც და იმ საფლავში მწოლიარე სევდაც, – მხოლოდ სააქაოში დარჩენილი ხსოვნაა ამ პიროვნებათა, ცოცხალი ძეგლი, რომელთაც პოეტური სიტყვითაც უდგამს ძეგლს.



ტკივილისა და სევდის გარეშე არ არსებობს სიხარულის განცდა!... სიხარულის განცდის გარეშე – მშვენიერება, რასაც პოეზია ჰქვია, არ იქნება...


მრავალი სიხარული განეცადოს ანას გულს, რათა მშვენიერებით დაეტკობს ჩვენი სულები...

„შეძლებული ამო ყოფა რომ შევიყვარო, მოგაქვს ლამპარი, ლოცვად ვადგივარ ისევ განთიადს, ამობრწყინდება ბედის ვარსკვლავი. იმედით, რწმენით, კეთილი სურვლებით“.

ჩვენც ვუერთდებით ამ სიტყვებს!


## ჩვენი კოლეგის მხატვრული სიტყვა

ნოდარ ჟიჟიაშვილი ასპინძის რაიონის სოფელ ტოლოშის მკვიდრია. დაბადებულია 1974 წელს. საშუალო სკოლა სოფლად დაამთავრა. ამას



მოჰყვა შრომითი საქმიანობა. 1999 წელს სწავლა თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და წიგნმცოდნეობის სპეციალობაზე. 2003 წელს დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და მალე თბილისში ერთ-ერთ საქალაქო

ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა რიგით მუშაკად. ამჟამად თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ფილიალის გამგეა. ლექსებს ადრიან ასაკში წერდა. თანდათან იხვეწებოდა მისი შემოქმედება. ამჟამად იგი უკვე წიგნის ავტორია. ახლახან გამოიცა მისი ლექსებისა და პოემების პატარა კრებული – „მე პოეზიის ანგელოზი მალაპარაკებს“ და პოემა „მესხეთის არწივები“. ცხადია, ბიბლიოთეკარები და მათი მკითხველები დაინტერესდებიან თავიანთი კოლეგის შემოქმედებით.





# სასწავლო წიგნის მეორე ნაკვეთი

2006 წელს, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, გამოქვეყნდა ალექსანდრე ლორიასა და მარინა სურმაგას სახელმძღვანელო „საბიბლიოთეკო საქმის ისტორია“ – პირველი ნაკვეთი.

დიდი ხანი არაა, რაც ამ სახელმძღვანელოს მეორე ნაკვეთი იქნა გამოქვეყნებული. იგი განკუთვნილია ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალობის სტუდენტებისათვის. ამჟამად ამ სპეციალობამ განიცადა სათანადო კორექტივები – დაუკავშირდა საარქივო და საინფორმაციო საქმეს, მაგრამ სახელმძღვანელოს ამით არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, რადგანაც საბიბლიოთეკო საქმის ისტორიას ამ შემთხვევაშიც შეისწავლიან სტუდენტები პროგრამის მიხედვით. როგორც წიგნის ანოტაციაშია ნათქვამი, „ის გარკვეულ დახმარებას აღმოუჩენს მოცემული თემით დაინტერესებულ მკითხველებსაც“.

ნაშრომში განხილულია მსოფლიოს ქვეყნების საბიბლიოთეკო საქმის განვითარების საკითხები გასული საუკუნის 20-იან წლებიდან 90-იან წლებამდე. მასში არ არის შესული რუსეთისა და საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ისტორია,

რადგანაც ეს გათვალისწინებულია მესამე მონაკვეთში შესატანად.

სახელმძღვანელოში ცალ-ცალკეა განხილული როგორც ევროპის, ისე აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის და შეერთებული შტატების საბიბლიოთეკო საქმის მოკლე ისტორია. იგი ითვალისწინებს სასწავლო პროგრამას და არა აქვს პრეტენზია ისტორიული საკითხების ამომწურავად განხილვისა, ეხება მხოლოდ იმას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ამა თუ იმ ქვეყნისათვის.

ნაშრომი ეყრდნობა როგორც ადრეული ხანის, ისე უახლეს ლიტერატურას და კომპიუტერულ მასალას. იგი წარმატებით შეასრულებს ერთგვარი ორიენტირისა და გზამკვლევის როლს მათთვის, რომლებიც მოცემული თემის უფრო ფართოდ და ღრმად შესწავლას მოისურვებენ.

ქართულ ენაზე ამგვარი სახელმძღვანელო პირველად გამოდის, რაც მეტ მნიშვნელობას ანიჭებს მას.

წიგნის რედაქტორია პროფესორი ნ. გომართელი. წიგნს დართული აქვს ლიტერატურა; შეიცავს 94 გვერდს.

ალ. ლორია, მ. სურმაგა

**საბიბლიოთეკო საქმის ისტორია**

თბილისი  
2007

## ჯამილა გაჯიევა

# მნიშვნელოვანი გამოცემა

როგორც ცნობილია, 2003 წელს ნასიბ ნასიბოვის, ვენერა ჯანგიძისა და სულიმან სულიმანოვის ავტორობით გამოქვეყნდა „ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი“. ლექსიკონი 22 ათას სიტყვას შეიცავს და, ამდენად, საკმაოდ დიდი მოცულობისაა – 550 გვერდი. ლექსიკონი ფრიად დიდ სამსახურს უწევს განსაკუთრებით აზერბაიჯანულ მოსახლეობას, რომელიც საქართველოს მკვიდრია, ქართული ენის შესწავლაში.

ქართულ-აზერბაიჯანული  
**ლექსიკონი**

---

GÜRCÜCƏ-AZƏRBAYCANCA  
**LÜĞƏT**

იმათაც, რომლებიც ცდილობენ შეისწავლონ ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანელების სალაპარაკო ენა, წარმატებით შეუღლიათ გამოიყენონ ეს წიგნი. ცხადია, მისი გავრცელება გაცილებით მნიშვნე-

ლოვანია იმ ადგილებში, სადაც აზერბაიჯანელი მოსახლეობა კომპაქტურადაა დასახლებული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისინი გულწრფელად გამოთქვამენ ნუხილს, რომ არა აქვთ ნორმალური პირობები და საშუალება, ქართულს დაეუფლონ, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას ეხება ეს.

ლექსიკონი უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია იმ საქმიანობაში, რომელიც მიმართულია აზერბაიჯანელების მიერ ქართული ენის დაუფლებისათვის. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გამოცემის ტირაჟი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას და არ იქნებოდა ურიგო მისი განმეორებით გამოქვეყნება. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ წიგნის შესახებ მკითხველი საზოგადოება და დაინტერესებულნი პირნი არ არიან სრულყოფილად ინფორმირებულები, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, მათ შორის, შესაბამისი რეგირონების ბიბლიოთეკების მიერ.

## ქრონიკა

# საქართველოს საბიბლიოთეკო სსოპრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

■ 30-31 ივლისს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქ. ქუთაისში ჩაატარა იმერეთის მხარის საბიბლიოთეკო გაერთიანებების დირექტორთა ტრენინგ-სემინარი. განიხილეს საბიბლიოთეკო მუშაობის აქტუალური საკითხები: საბიბლიოთეკო მენეჯმენტი, ელექტრონული რესურსების გამოყენება ბიბლიოთეკებში, პროექტებზე მუშაობის, ბიბლიოთეკების საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სხვა. სემინარი ჩატარდა აშშ-ს საელჩოს სპეციალური პროგრამით.

■ მიმდინარე წლის აგვისტოში შიდა ქართლში, გორში და გორის რაიონში დატრიალებული ტრაგედიის გამო საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ, ბიბლიოთეკარებმა, საბიბლიოთეკო საქმის გულშემატკივრებმა, მკითხველებმა მორალური და მატერიალური დახმარება გაუწიეს აღნიშნული რეგიონებიდან ლტოლვილ ბიბლიოთეკართა ოჯახებს. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის სახელზე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან გადმოირიცხა თანხები: – ლიტვის საბიბლიოთეკო ასოციაციამ 1000 ევრო, ავსტრიის ევრონულმა ბიბლიოთეკამ 400 ევრო, აღნიშნული თანხები და საბიბლიოთეკო ასოციაციის ანგარიშზე არსებული სახსრებით ფულადი დახმარება გაენია 70-ზე მეტ ოჯახს, თითოეულს 50-50 ლარის რაოდენობით. გარდა ამისა, ერთონული სამეცნიერო ბიბლიოთეკა მატერიალურ დახმარებას უწევს მათ მეზობლად, მათემატიკის ინსტიტუტში შესახლებულ 12 ოჯახს; დახმარება სისტემატურ ხასიათს ატარებს: ბიბლიოთეკარებმა ასევე დახმარება გაუწიეს თბილისში საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღების შენობებში შესახლებულ ლტოლვილებს. საბიბლიოთეკო ასოციაციას აქვს მონაცემები დროებით გადმოსახლებული ბიბლიოთეკარის 130 ოჯახის შესახებ და შეძლებისდაგვარად ეხმარება მათ.

საომარი მოქმედებების ტერიტორიაზე დაზარალებული ბიბლიოთეკების შესახებ ინფორმაციებს, ამჟამად აგროვებენ შესაბამისი უწყებები და ჩვენი ჟურნალი თავის დროზე მიაწვდის მათ დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს.

■ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა აგრძელებენ მუშაობას ბიბლიოთეკართა და მენეჯერთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით; დაინტერესებულ სპეციალისტებს შეუძლიათ დააზუსტონ ინფორმაციები ამ საკითხთან დაკავშირებით ტელეფონზე 36-34-13, 36-09-51, 33-44-81.

# „ჩემო სწოვე უკალო“...



მწარე დღეები უდგას საქართველოს... თუმცა როდის ედგა დღელხინობა? ომი იყო – ვიჟლიტებოდით, მშვიდობა გვექონდა, და – მწარე. სულ დაყვედრებული ლუკმა გაგონილა? რაც თავი მახსოვს, მუდამ იმას ჩაგვიჩინებდნენ: რუსეთი გაჭმევთ, რუსეთი გასმევთ, რუსეთი გაცმევთ, რუსეთი გიცავთ!.. ერთი სიტყვით, თურმე თავიდან ბოლომდე რუსეთის კმაყოფაზე ვყოფილვართ, ჩვენ არაფერი გვიკეთებია, არაფერი შეგვიქმნია, ურუსეთოდ თვალი არ გაგვიხელია, ვერ გვიცხოვრია. პირში სული რომ გვიდგას, რუსეთის წყალობაა!.. ვიცით, ბატონო, რუსეთთან ერთად დიდი გზა გვივლია, ბევრი სასიკეთოც მომხდარა მათი წყალობით, მაგრამ უმეტესად იმერელი ოინბაზის ეშმაკობით: „მომე მაგ ჭადი და მოგიტეხავ რამდენიც გეყოფა“. მიუხედავად ამისა, უმადურები არასოდეს ვყოფილვართ. თუ ვინმეს რამე გაუკეთებია საქართველოსთვის კარგი, არაფერი დაგვიწყნია – პატივი გვიცია, დაგვიფასებია, ძმურად გაგვიყვია მისთვის ლუკმაპური, სული და გული გაგვიზიარებია, ვიცით, რუსეთის ძლევამოსილებამ რამდენჯერმე დაგვიფარა, მაგრამ რა ფასად? ომი იყო თუ მშვიდობა, ჩვენ ჩვენი წვლილი შეგვექონდა საერთო საქმეში, გულხელდაკრეფილი არ ვმსხდარვართ.


რუსეთის პოლიტიკა განსაკუთრებულია მსოფლიოში, ყველაზე დიდი განსაკუთრებულობა იმაშია, ქვეყნად ვერავის გაუგია, რა პოლიტიკაა ეს. კაციშვილი ვერ მიმხვდარა, რომ რუსეთის დიპლომატია ეს არის მოტყუების, გაცურების, პირის გატეხის, თვალში ნაცრის შეყრის და ღონის პოლიტიკა.

რუსეთის ძმობა და მეგობრობა ყოველთვის გულისხმობდა და გულისხმობს, ემორჩილებოდე და ქედს უხრიდე მას, აქებდე და ადიდებდე. თუ მის დუდკზე არ თამაშობ, მისი მტერი ხარ.

სანამ რუსეთი – იგივე საბჭოთა კავშირი იყო, „მოდმე რესპუბლიკების“ წყალობით, ფიზიკურად გაზრდილ-გაფურჩქენილს, ყინჩად ეჭირა თავი. და ახლა რაღა ქნას? ხომ გაგიგიათ – „მიუჩვეველს ნუ დააჩვევ, დაჩვეულს – ნუ მოაკლებო“... ჰოდა რაღას ერჩით? რასაცაა დაჩვეული, იმას აკეთებს. რა ქნას სანყალმა, სხვებისაგან მორჩილებას რომ არის დაჩვეული? ცოდვა არაა, მონების გარეშე დარჩეს?

რა მისი ბრალია, ჩვილბავშვობიდან თუ დაეჩვია ტაცობას, წაგლეჯას, მითვისებას, მექრთამეობასა და იარაღის ჟღარუნს. ბევრს შეიძლება არ გახსოვთ, სულ პირველად რა იდეოლოგია ჩამოუყალიბდა რუსეთს ჩვილობიდანვე, როდესაც ათას სამთავროდ და საბატონოდ დაქუცმაცებულ ქვეყნის ყველა ბოიარი სხვისი მიწისა და ქონების დასაკუთრებას რომ ცდილობდა? გზაზე მიმავალ კაცს, დაღლილ-დაქანცულს ბარგი რომ მიწაზე დაედო დასასვენებლად, ჩასაფრებული კაცები მიცვივდებოდნენ, ეს ჩვენი ბოიარის მიწაა და რაც მასზე დევს, იმას ეკუთვნისო, და წაართმევდნენ. ურმიდან რომ ვინმეს რამე გადმოვარდნოდა, ეს კაცები იმწამსვე მის კონფისკაციას მოახდენდნენ, ეს ახლა უკვე ჩვენი ბატონისააო. რა წილი იყო ბატონისა და რა მათი, ამას ვინ გაარკვევდა? ზოგ შემთხვევაში ჩასაფრებული კაცები ძალით გადააბრუნებდნენ სხვის მიწებიდან მომავალ საზიდარს და რაც მიწაზე აღმოჩნდებოდა,

ის უკვე მათი იყო. ამგვარი იდეოლოგია და ზნეობა რუსეთს სისხლსა და ხორცში გაუჯდა. ალბათ გახსოვთ, ივანე პირველი (კალიტა) როგორ გამდიდრდა და დანინაურდა მონღოლთათვის ხარკის აკრეფაში, რომელიც ოქროს ურდომ მას დააკისრა. რას იღებდა ხანისთვის და რას თავისთვის, არავინ იცის. ათასგვარი თაღლითობითა და



ძალადობით, სარგებლობდა რა თავისი დიდი უფლებებით, იტაცებდა და აერთიანებდა სხვის პატარ-პატარა სამთავროებს, თუმცა რუსეთისათვის კარგი საქმე კი გამოუვიდა – დაიწყო რუსეთის ერთიანი სახელმწიფოს შექმნა. ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ თქვენ ნახეთ, რა მეთოდებსა და საშუალებებს მიმართავს კალიტა, ჰოდა, რას ერჩით ახლა მის შთამომავლობას, წინაპართა მეთოდებს თუ ამრავლებენ და ხვეწავენ?

სხვათა შორის, „კალიტა“ ოქროს ტომარას ნიშნავს, რაშიც ჩაქსოვილია ყოველგვარი აზრი თანამედროვე რუსეთის მოქმედებისა.

სხვისი ქონების მიმტაცებლობა, წენვა-გლეჯა თანდათან ისე დაკანონდა, კოდექსად გადაიქცა – „Что с воу упало – то пропало“. რას ერჩი? უტყუარი ქვემარტებაა რუსული გაგებით, გაგვარდა? ჰოდა, კარგად მეყოლე, ახლა ჩემია!

ასე მოდის XI საუკუნიდან დღემდე

(XXI საუკუნემდე), ოღონდ ამ ათი საუკუნის განმავლობაში რუსეთმა დახვეწა ცოტათი ეს წეს-ჩვეულება, ახალი მეთოდები შემოიღო ურმის გადასაბრუნებლად. არ გაემტყუნება. აბა, ისე როგორ გახდებოდა იმპერია – „დერჟავა?“

ჰოდა, წარმოგიდგენიათ, ახლა ამოდენა ქვეყანას ვილაც ვეროპაა თუ ამერიკა უბედავს, ასე მტაცებლურად ნუ იქცევით. რა მათი საქმეა, მაგალითად, რუსეთი საქართველოსა და უკრაინას შეახრამუნებს თუ შესანსლავს? ვისი რა საქმეა? რისი დიპლომატია, რისი პოლიტიკა?.. „მინდა“, და მორჩა-გათავდა!

თქვენ რა, ი. კრილოვის არაკს „მგელი და კრავი“, აკაკიმ რომ მშვენივრად თარგმნა, არ იცნობთ? დალოცვილმა კრილოვმა, თითქოს დღევანდელ რუსეთზე დაწერა ეს, საქართველოში რომ დაურიდებლად შემოიჭრა და უტიფრად ცდილობს რამენაირად კანონიერ მოქმედებად წარმოაჩინოს ეს. მგელს კრავის სუნი რომ ეცა, „გამოიგონა შარები და საცოდავ კრავს მივარდა“. არც ერთი საფუძვლიანი არგუმენტი არ მიიღო მხედველობაში. ბოლოს, ვერავითარი გამართლება რომ ვერ მოუნახა თავის საქციელს, პირდაპირ განუცხადა კრავს: „შენიჩაკვრება რომ მნებავს, მიზეზად ისიც კმარაო!“

მოიგდო სანყალი კრავი ზურგზე და ტყეში გაიტაცა. მეტი რა დარჩენოდა ავტორს? გულისტკენით ამბობს: „დიდკაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალიო?“

კრილოვმა კარგად იცოდა, სწორედ ამგვარი მგელი რომ იყო რუსეთი, მაგრამ იმას როგორ წარმოიდგენდა, თითქმის ორი საუკუნის შემდეგაც ეს ქვეყანა არამც თუ დაიოკებდა, პირიქით – გაიორმაგებდა კიდევ თავის მადას. მაგრამ მარტო მადას?.. სინდისი? პატიოსნება? სიტყვის გაუტეხლობა? წესიერება?.. ეს საერთოდ აღარ გააჩნია, მთლიანად დაკარგა (თუ ჰქონდა, საერთოდ, ოდესმე).

მისი ჯარები ანგრევენ მშვიდობიანი მოსახლეობის სახლებს, სკოლებს, ბავშვთა ბანაკებს, სამედიცინო დაწესებულებებს, აფეთქებენ ხიდებს, გზებს, ნავსადგურებს, მასიურად უკიდებენ ცეცხლს ტყეებსა და პურის ყანებს, ხოცავენ ჟურნა-

ლისტებს. უსწორდებიან მოსახლეობას, აჰყავთ მძევლები, არ ერიდებიან უბრალო სისხლისღვრას, სალდათები დაძრწიან, იპარავენ და ძარცვავენ ყველაფერს, თოკზე გაფენილ დედაკაცის გარეცხილ ნიფხავ-პერანგსა და თეთრეულსაც კი, საწოლებიდან ლეიბებსა და ბალიშებს იტაცებენ, მშივრები და მწყურვალეები ავტომატების გამოყენებით შეიჭრნენ ძეხვის საამქროში და კვნიტი არ დატოვეს მძევლად. ხომ იცით, რუსებს როგორ უყვართ ძეხვი?.. მერე ზედ არაყი მიაყოლეს. მთვრალმა არმიელმა მძღოლმა მანქანა გადააყირავა და ამხანაგებთან ერთად ცხვირ-პირი დაილენა. მიტაცებულ ქონებას ჰყიდიან, ასაღებენ თავიანთ იარაღს, ხელყუმბარებსა და ტყვიებს, რუსეთში გასაყიდად უგზავნიან ნაცნობ სპეკულანტებს სკამ-სავარძლებს, გადასაფარებლებს, ყველაფერს, რაც კი გაიგზავნება, მათ შორის თანამედროვე საინფორმაციო და კომუნიკაციურ საშუალებებს, მათზე წარმოდგენაც რომ არა აქვთ.

ეს არის თანამედროვე რუსეთის თანამედროვე არმია, მისი მორალური სახე.

ყოველივე ამაზე წერილობითი, ფოტო-ვიდეო-აუდიო მასალა არის, არსებობს უამრავი მნახველი და მონწივე, მაგრამ რუსეთის ხელისუფლება როყოფდა აცხადებს, ეს არ არის მართალი. ისინი თვლიან, რომ სიმართლე მაშინ არის მისაღები, როცა ის ხელსაყრელია.

რუსეთის ხელისუფლება, როგორც მგელი ცხვრის წინაშე, ცდილობს, რაღაც მიზეზები დაასახელოს და აცხადებს, მე ჩემს მოქალაქეებს ვიცავო. საკითხავია: ჯერ ერთი, რა უნდა კონფლიქტის ზონაში მის მოქალაქეებს, ვინ მისცა მათ სხვის ქვეყანაში ჩასვლისა და ჩასახლების უფლება? მაგრამ ეს ხალხი ხომ იმ მორალით მოქმედებს, რასაც მიიტაცებ, შენია, რაც არა, ეცადე რომ იყოს შენი.

მეორეც \_ თუ ეს ხალხი იქაურია, როგორღა არიან რუსეთის მოქალაქენი? მაშინ ისინი

ჩვენი ოკუპირებული ქვეყნის შვილები არიან და ჩვენს მოქალაქეებთან თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, რაღა რუსეთის დასაცავი არიან ისინი? თუ ეროვნებაზეა საქმე, მთელ საქართველოში უამრავი რუსი ცხოვრობს და, რა, თმის ღერი შეურხევია მათთვის ვინმეს ოდესმე? მათი „დაცვის“ მიზეზითაც ხომ არ უნდოდა რუსეთს მთელი საქართველო დაენგრია? რუსები მთელ მსოფლიოში ცხოვრობენ \_ ევროპა, ამერიკა, აზია, აფრიკა, ავსტრალია... ამ საბაბით რუსეთს ნება აქვს ყველგან შეიჭრეს მათ დასაცავად? ისე, ძალა რომ ყოფნიდეს, რუსეთი ამაზეც არ დაიხვედა. განა ტყუილად განაცხადა ერთხელ ერთმა რუსმა (თუ გაურკვეველი ეროვნების საკმაოდ იდიოზურმა პირმა) რუსის ფეხი (ჩექმა) ინდოეთის ოკეანეში უნდა ჩადგესო.

მესამეც \_ განუკითხავად რომ ბომბავენ ქალაქებს და ყუმბარებს უშენენ, რა, ეს ყუმბარები არჩევენ ვინ რუსია, ვინ აფხაზი, ვინ ოსი და ვინ ქართველი? როგორც თვით რუსები იტყვიან \_ „Курам на смех“ \_ „ქათმებს სასაცილოდაც არ ეყოფათ ესო“.

ასეთია დღეს ორთავიანი არწივი. ნიშანდობლივია: ერთი თავი პუტინისაა, მეორე მედვედევისა. ისე, სიმართლე თუ გინდათ, ეს ორთავიანი არწივი ისე იქცევა, საერთოდ, გეგონება სულაც არა აქვს თავი; ჩვენში დარჩეს-და, რად უნდა თავი? თავი იმისაა, იაზროვნო, იფიქრო, განჭვრიტო, ლოგიკურად განსაჯო... როცა კუნთების ძალაა მთავარი, ყოველივე ეს სრულიად ზედმეტია, ესაა რუსეთის დიპლომატია, პოლიტიკაც და სოციოლოგიაც. სხვა არაფერი იცის რუსეთმა, სამწუხაროდ, მგონი, ისიც არ იცის, რომ უკვე ოცდამეერთე საუკუნეში ვართ და, ბოლოს და ბოლოს, აღარ გასჭრის ათასი წლის წინ ჩამოყალიბებული იდეოლოგია \_ „Что с возу упало \_ то пропало!“..  
კონწარა



## მერი იაშვილი




თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტს, მის სამეცნიერო ბიბლიოთეკას გამოაკლდა ღვანლმოსილი, საბიბლიოთეკო საქმის ამაგდარი სპეციალისტი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი მერი იაშვილი. მ. იაშვილმა ხუთ ათეულ წელზე მეტი შესწირა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების კეთილშობილურ საქმეს. განათლებით ფილოლოგი, მთელი არსებითა და მონდომებით მოკლე დროში დეუფლა ბიბლიოთეკარის უმნიკვლო და ფრიად საქირო პროფესიას; წიგნისა და ადამიანთა სიყვარულმა მას დიდი წარმატება მოუტანა; იყო გულისხმიერი, სათნო და მოსიყვარულე გულის მანდილოსანი. მისი ურთიერთობა კოლეგებთან, სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ყოველთვის

იყო მისაბაძი, ხოლო მისი პასუხები წიგნთან და ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციასთან დაკავშირებული, გამოიჩეოდა ღრმა პროფესიონალიზმითა და დამაჯერებლობით.

მერი იაშვილის ღვანლი და ამაგი, მისი დანატოვარი კვალი კეთილშობილებისა და სათნოების ნიმუშად დარჩება იმ ადამიანთა მეხსიერებაში, ვინც ახლოს იცნობდა მას. უფალმა შეიფაროს მისი ნათლითმოსილი სული.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“  
რედაქცია





1973 წ.



1974 წ.

